



# მასწავლებელი

№5(90), 2022

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რეიდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

**მთავარი რედაქტორი:**  
ნატო ინგოროყვა

**რედაქტორები:**  
მანანა ბოჭორიშვილი,  
ნანა მაჭავარიანი

**რედკოლეგია:**  
ბერეკა შუკაკიძე,  
ნათია ნაცვლიშვილი

**სტილისტი:**  
ირმა ტაველიძე

**დიზაინი:**  
ბესიკ დანელია

**მხატვარი:**  
მამუკა ტყემელაშვილი

**კორექტორი:**  
ქეთევან ნიკოლეიშვილი

**ნომერზე მუშაობდნენ:**  
მაია ჯალიაშვილი, მაია ფირჩხაძე,  
თინათინ ზარდიაშვილი,  
ინა იმედაშვილი, თეკლა კაპანაძე,  
ქეთევან კობალაძე,  
ქეთევან ოსიაშვილი,  
ანა ლვინიაძე,  
ლელა კოტორაშვილი, ნინო ლომიძე,  
ირენა მახარაძე, მაია ბლიაძე,  
გურამ მეგრელიშვილი,  
სოფიო კუბლაშვილი,  
ნასტასია არაბული,  
შორენა ტყემელაშვილი,  
ირმა ტაველიძე

**საკონტაქტო ინფორმაცია:**  
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.  
მისამართი:  
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,  
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: Futurabook Geo. ავტორი: კობა კურტიანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უწყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

## ნატო ინგოროყვა



ეს დღეებია, ხშირად მახსენდება ჯონ ჰოლტის წიგნი, უფრო კი – მისი სათაური: „როგორ მარცხდებიან ბავშვები“.

ჩვენ ხშირად ვფიქრობთ და ბევრს ვმსჯელობთ ამ მარცხის მიზეზებზე, მაგრამ ბავშვები მაინც მარცხდებიან, მარცხდებიან უფროსების გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის, არაჯანსაღი სასწავლო გარემოს, არათანაბარი სასწავლო პირობებისა თუ შეფასების არასწორი სისტემის გამო.

წიგნის ავტორს ბავშვების მარცხის მთავარი მიზეზებად შიში, მოწყენა და დაბნეულობა მიაჩნია. მისი აზრით, სკოლები ხელს უწყობენ შიშის ატმოსფეროს დამკვიდრებას – წარუმატებლობის შიში, დამცირების შიში, დაწუხების შიში ყველაზე უარყოფითად მოქმედებს მოსწავლის ინტელექტუალური ზრდის უნარზე.

მოსაწყენობა მეორე დაბრკოლებაა, რომელიც თრგუნავს სწავლისადმი თანდაყოლილ მოტივაციას და სწავლის სიყვარულს. სკოლაში შესვლამდე ბავშვები თავისუფლად იკვლევენ და აღმოაჩენენ იმას, რაც აინტერესებთ, მაგრამ როგორც კი ისინი თანამედროვე სასკოლო სისტემის ნაწილად იქცევიან, მათი განათლება იძულებითი ხდება, რასაც გაუცნობიერებლად უწყობენ ხელს სკოლაც და მშობლებიც.

სკოლები, ნაცვლად იმისა, რომ გაუღვივონ მოსწავლეებს სწავლისადმი ბავშვებისთვის დამახასიათებელი სიყვარული, იზრუნონ მათი ინდივიდუალური ნიჭისა და უნარების გაძლიერებაზე, აძლევენ მათ უნიფორმულ განათლებას, რომელიც ბავშვებს ერთმანეთთან შეფხობრებას აიძულებს.

სკოლაში შესვლის შემდეგ ბავშვები ხშირად აღმოაჩენენ, რომ მათ ისეთ რამეს ასწავლიან, რაც ეწინააღმდეგება ადრე მშობლებისგან ან სხვა უფროსებისგან ნასწავლს. უფრო მეტიც – უფროსები სკოლაში მათ ისე არ ექცევიან, როგორ ქცევასაც შინ, თავისიანებისგან იყენენ ჩვეულები.

ბავშვის შეცბუნება კიდევ უფრო მძაფრდება, როდესაც ის იგებს, რომ ცნობისმოყვარეობა, რომელიც, როგორც მან ოჯახიდან იცის, საქებარი თვისებაა, სკოლაში შესაძლოა მასწავლებლებისა თუ თანაკლასელების მხრივ დაცინვის მიზეზად იქცეს.

ჰოლტი ფიქრობს, რომ მათ შორის, რაც იცის ბავშვმა და რაც გვეგონია იცის, დიდი სხვაობაა. თითქმის ყველაფერი, რასაც სკოლებში ვაკეთებთ, იქით არის მიმართული, რომ ბავშვები შეკითხვებზე იყენენ კონცენტრირებულნი და არა პრობლემის გადაწყვეტაზე, ამას კი იქამდე მივყავართ, რომ მათ აკლდებათ უნარები, რომლებიც „რეალურ სამყაროში“ ცხოვრებისას გამოადგებოდათ.

კარგი იქნებოდა, კიდევ ერთხელ მივბრუნებოდით ამ წიგნს და გულისყურით წაგვეკითხა. მასში განხილული პრობლემები გვაიძულებს, მეტი ყურადღებით მოვევიდეთ გაცვეთილებს, რომლებიც უნდა ვასწავლოთ ჩვენს მოსწავლეებს და რომლებიც ჯერ თავად უნდა ვისწავლოთ, რომ მათ აღარ მოუნდეთ ჩვენი გაცვეთილებიდან გაპარვა და სახიფათო თამაშებით თავის შექცევა. ან სულაც უწყინარი თამაშებით, რომლებიც შესაძლოა სახიფათო გახდეს, მეტიც – ფაქტურად დასრულდეს და ჩვენ გვრცხვენოდეს, რომ ცოცხალი გადავრჩით.

მერე ისევ წრეზე ვტრიალებთ, ერთი და იმავე შეცდომების გამეორებით.



**მოსაზრება**

**4** | **მაია ჯალიაშვილი**  
**გამორჩეული მოსწავლე**

სკოლა საზოგადოების მიკრომოდელია და მასში ყველა აქტუალური პრობლემა სარკესავით ირეკლება. საკლასო სივრცეში მასწავლებელს ბევრ რამეზე უწევს დაფიქრება, არჩევანის გაკეთებამდე სხვადასხვა გზის მოსინჯვა.

**თეკლა კაპანაძე**

**20** | **სკოლაშეგარეშე ალბრდის**  
**მიდგომების გავლენა ბავშვის**  
**მიდევნებაზე სკოლაში**

მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი ტიპის საბავშვო ბაღს ბავშვები დადებითად აღიქვამენ და ყველა საკმარისად ავითარებს აღმასრულებელ ფუნქციებთან დაკავშირებულ ყველა სფეროს, ალტერნატიული სკოლაშეგარეშე განათლება მეტი წარმატებით ამზადებს ბავშვებს მომავლისთვის.

**მაია ბლიაძე**

**48** | **გეოგრაფიის როლი**  
**თანამედროვე საზოგადოებაში**

გეოგრაფია ერთადერთი ფუნდამენტური მეცნიერებაა, რომელიც ერთდროულად სწავლობს საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთგავლენის პრობლემებს.



**განათლების ფსიქოლოგია**

**22** | **ქეთევან კობალაძე**  
**„არასწორი ალბრდის წესები“**

ემოციები „გონების არქიტექტორები არიან“. ასე ფიქრობენ ფსიქიატრები, რომლებმაც კვლევებზე დაყრდნობით დაადგინეს ემოციების უდიდესი გავლენა ბავშვის თავის ტვინის განვითარებაზე.

**25** | **ქეთევან ოსიაშვილი**  
**როგორ ვასწავლოთ ბავშვს**  
**წესების დაცვა**

ვეცადოთ, ვიყოთ ბავშვთან უფრო ახლოს, მეტი დრო გავატაროთ მასთან ერთად – ამ შემთხვევაში ალბათ ძალიან ცოტა აკრძალვა და წესი იქნება საჭირო, საკამათო საკითხებზე კი ადვილად შევთანხმდებით.

**ანა ღვინიაძე**

**32** | **„უუნარო ვარ“.**  
**გახსოვდათ დამარცხებული?**

როდესაც ადამიანი აღმოჩნდება ისეთი სირთულის ან ამოცანის წინაშე, რომელიც მასში აცოცხლებს შეფასებას – „უუნარო ვარ“, ის ცდილობს, გაეცქერას ამ რწმენის მაცოცხლებელ გარემოს თუ გამაღიზიანებელს.



**გაკვეთილი**

**35** | **ლელა კოტორაშვილი**  
**სამოქმედო გეგმა**  
**ახალი სასწავლო წლისთვის**

დიფერენცირებული სწავლება თითოეული მოსწავლელის საჭიროებების, ინტერესებისა და მზაობის გათვალისწინებას გულისხმობს. არჩევანის თავისუფლება, დამოუკიდებლობისა და ინდივიდუალობის განვითარება სწავლა-სწავლების მამოძრავებელი ღერძია.

**ირენა მახარაძე**

**43** | **ალბერსის**  
**ხელოვნების გაკვეთილები**

ალბერსის აზრით, მხატვრებს თვალები ფართოდ უნდა ჰქონდეთ გახელილი მგრძობიარე ხაზების, ფორმებისა და ელფერების დასანახავად, რომლებიც ხშირად შეუმჩნეველი რჩებათ.

ინტერნეტგაზეთი  
www.mastsavlebeli.ge

განათლება - თავისუფლება!



ინტერნეტგაზეთი  
www.mastsavlebeli.ge

სოფიო კუბლაშვილი

27 შენ რას ხედავ?

ნასტასია არაბული

28 რას (არ) ვასწავლით სკოლაში?

შორენა ტყეშელაშვილი

29 ფემციდის უხილავი მსხვერპლნი

ირმა ტაველიძე

30 თედო სახოკია - ბავშვობის წლები

რესურსი

მაია ფირჩხაძე

8 როგორ გამოვიყენოთ აქამდე მოძალობები მასალის ასათვისებლად

მოძალობას როგორც ინფორმაციის მიღების სახეობას (გრძნობათა ორგანოებსა და შეგრძნებებთან მიმართებით) დიდი მნიშვნელობა აქვს შემეცნებით პროცესებში.

ნინო ლომიძე

40 ფრანკლინის მეთოდი - თუ „წერა არ შეგიძლია“, სცადა ეს!

წერილობითი მეტყველება - ეს არის უნარი, რომელსაც ყოველდღიური რამდენიმეწუთიანი ვარჯიშით აუცილებლად განივითარებ. საკვანძო სიტყვა კი „შრომაა“. სისტემატური შრომა ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს.

გურამ მეგრელიშვილი

51 ბედნიერი ბავშვობის უბედურებები

მშობლებს შვილებისთვის უსიამოვნებების არიდება საკუთარ მოვალეობად მიგვაჩნია, არადა, უსიამოვნებაც ზომ ისეთივე ნაწილია ცხოვრებისა, როგორც სიამოვნება.

შეფასება

ინა იმედაშვილი

17 მოდი, შევაჯსოთ ჩვენი „თვითშეფასების სათლი“

ბავშვებისთვის თვითშეფასება საკრალური და უაღრესად მნიშვნელოვანი რამაა. ადეკვატურ, მაღალ თვითშეფასებაზე დამოკიდებული არა მხოლოდ სასკოლო წარმატებები, არამედ მომავალი ცხოვრებაც.

კვლევა

თინათინ ზარდიაშვილი

13 ონლაინ კლასკომპლექტში კომპლექსური დავალების დაუშავების დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ონლაინ კლასკომპლექტის შემადგენლობა უნდა იყოს მეტ-ნაკლებად მუდმივი, რადგან ცვალებადობა საგაკვეთილო პროცესში მუდმივ რყევებს იწვევს.





მაია ჯალიაშვილი

# გამორჩეული მოსწავლე

**სკოლა საზოგადოების  
მიკრომოდელია  
და მასში ყველა  
აქტუალური პრობლემა  
სარკესავით ირეკლება.  
საკლასო სივრცეში  
მასწავლებელს  
ბევრ რამეზე უნევს  
დაფიქრება, არჩევანის  
გაკეთებამდე  
სხვადასხვა გზის  
მოსინჯვა.**

სკოლა საზოგადოების მიკრომოდელია და მასში ყველა აქტუალური პრობლემა სარკესავით ირეკლება. საკლასო სივრცეში მასწავლებელს ბევრ რამეზე უნევს დაფიქრება, არჩევანის გაკეთებამდე სხვადასხვა გზის მოსინჯვა. ზოგჯერ განსაკუთრებით რთულია რაიმე ნიჭით გამორჩეულ ბავშვებთან ურთიერთობა. განსხვავებული ადამიანების მიმართ ხომ საზოგადოებასაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს. ასეა სკოლაშიც. მთავარია, სწორედ სასკოლო სივრცეში შეიგრძნოს მოსწავლემ სამყაროს უზოგადესი კანონი: მრავალფეროვნების აუცილებლობა სიცოცხლისთვის.

ყველა ადამიანი უნიკალურია, მაგრამ ხანდახან გამოირჩევიან ხოლმე სხვებისგან მკვეთრად განსხვავებული მოსწავლეები. ესენი შეიძლება იყვნენ ე.წ. ვუნდერკინდები ან განსაკუთრებული ინტერესების მქონე ბავშვები, რომლებსაც მასწავლებლის მხრივ სათანადო მოპყრობა და ყურადღება სჭირდებათ. რა თქმა უნდა, ყველა პედაგოგი ცდილობს დავალების იმგვარად შერჩევას, საკითხთა ისე დიფერენცირებას, რომ ყველა მოსწავლემ თავისი უნარების შესაბამისად მიიღოს მონაწილეობა დაგეგმილ თუ სპონტანურ აქტივობებში. ბიოლოგიის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ქართულისა თუ სხვა საგნის მასწავლებლებს არაერთი შემთხვევა გაახსენდებათ, როდესაც მოსწავლე, რომელსაც განსაკუთრებით აინტერესებს მეცნიერების რომელიმე დარგი, ბევრს კითხულობს ამ სფეროში, გამოირჩევა ნიჭით, – მოულოდნელ უხერხულ კითხვას უსვამს პედაგოგს, რომელიც პასუხისთვის შესაძლოა არ აღმოჩნდეს მზად.

მოსწავლის ასეთი კითხვა შესაძლოა სულაც არ იყოს საგანგებოდ თავმოსაწონებლად ან მასწავლებლის „ჩასაჭრელად“ გამიზნული – კონკრეტულ თემზე ფიქრისას ბუნებრივად დაებადოს ბავშვს და მასწავლებელსაც ასევე ბუნებრივად დაუსვას, არა მაინცდამაინც სწორი პასუხის მოლოდინით, არამედ განსჯისა და კრიტიკული ანალიზისთვის, რაც ესოდენ დამახასიათებელია ამ ტიპის მოსწავლეებისთვის.

როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში მასწავლებელი?

რეაქცია შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს. თუ საკითხის შესახებ პედაგოგს სათანადო ცოდნა არ გააჩნია, უმჯობესია, გულწრფელად აღიაროს, რომ ახლა ამაზე პასუხის გაცემა არ შეუძლია და აჯობებს, ამ თემზე სხვა დროს ისაუბრონ. ამასობაში მასწავლებელი უფრო ჩაუღრმავდება საკითხს - ინტერნეტი ხომ ნებისმიერ თემზე ინფორმაციის სწრაფად მოპოვებას აადვილებს. ასეთი პასუხი დამაჯერებელი იქნება და პედაგოგი მოსწავლეთა ნდობასაც მოიპოვებს.

ხანდახან მასწავლებლის რეაქცია უხეშია, რათა მოსწავლის მოულოდნელი და ზოგჯერ საგაკვეთილო თემისგან დაშორებული კითხვა აგრესიით გაანეიტრალოს. ამან შესაძლოა კლასში დაძაბულობა შექმნას და ვითარება გაამწვავოს, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის უნდობლობა წარმოშვას.

არაერთი ფსიქოლოგიური გამოკვლევა თუ დავკვირვება ადასტურებს, რომ ნიჭიერი ბავშვები

სხვებისგან განსხვავებულად იქცევიან, უფრო ლაღები და თავისუფლები არიან, არ უჭირთ სწავლა, კრიტიკულად აზროვნებენ, არ აკლიათ თავდაჯერება, ხშირად პრობლემების გადაჭრის ორიგინალურ გზას მიმართავენ, სწრაფად ადაპტირდებიან ახალ გარემოში, პიროვნულადაც განვითარებულები არიან (თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი ნიჭიერი ბავშვი, პირიქით, ასოციალურია, ჩაკეტილი, უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა). ისინი, რა თქმა უნდა, სწავლაში უსწრებენ თანატოლებს, ამიტომ მასწავლებელსაც უმატებენ თავსატეხს. კარგი პედაგოგი ცდილობს, მათთან საურთიერთობოდ საუკეთესო გზა გამონახოს, რათა კი არ შეაფერხოს, არამედ ხელი შეუწყოს ასეთი მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარებას. თუ პედაგოგი შეეცდება, თვალი აარიდოს ამ გამორჩეულობას, შესაძლოა, მასაც და მოსწავლესაც გაუჭირდეთ ერთ სივრცეში თანაარსებობა და გაკვეთილი მუდმივი კონფლიქტის წყაროდ იქცეს.

არსებობს სტერეოტიპი, შეიძლება ითქვას, მითიც, რომ ნიჭიერი ბავშვი ძნელი აღსაზრდელია, ამიტომ ასეთ მოსწავლეს პედაგოგი უფრო ხის, მშობელი საგონებელშია ჩავარდნილი, თანატოლებიც ათვალწუნებით უყურებენ. ჩვეულებრივ მოსწავლეებთან პრობლემა თუ გაჩნდა, მასწავლებელი, ფსიქოლოგი და მშობლები ეძებენ მისი გადაჭრის გზებს, მაგრამ თუ ბავშვი ნიჭიერია, მაშინ, უმრავლეს შემთხვევაში, ხელს ჩაიქნე-

ვენ ხოლმე, თითქოს თავს იმართლებენ, მაინც ვერაფერს გავაწყობთო. ეს კი გულგრილობის, პრობლემის მიჩუმათების, სირაქლემას პოზაში ჩადგომის ტოლფასია. ნიჭიერი ბავშვის შემთხვევაშიც საჭიროა ანალიზი, განსაკუთრებული მიდგომა, შესაბამისი დავალებების მიცემა და მისთვის სასურველი აქტივობების შერჩევა, რათა კლასისგან გამოცალკევებულად არ იგრძნოს თავი. პედაგოგმა მასაც ისევე უნდა მისცეს საკუთარი ნიჭის გამოვლენის, თავის გამოჩენის შესაძლებლობა, როგორც სხვებს, ოღონდ ეს ისე უნდა გააკეთოს, რომ არ გაჩნდეს უთანასწორობის, სხვებზე აღმატებულობის განცდა.

ყველა მოსწავლე იმით უნდა ფასდებოდეს, რასაც აღწევს თავისი უნარების შესაბამისად. შეჯიბრების განცდა სწავლისას არაჯანსაღ გარემოს ქმნის, ვითარებას დაბავს, ამიტომ პედაგოგმა გაკვეთილი ისე უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს სრულფასოვნების განცდა და საკუთარი „როლითაც“ კმაყოფილი იყოს. პრობლემები, რომლებიც გამორჩეულ მოსწავლეებთან იჩენს თავს, სხვადასხვაგვარია და მათი მოგვარება შესაძლოა მოითხოვდეს, უპირველესად, მოსწავლის სოციალიზაციას, თანატოლთა კოლექტივში ჩართვას, სასწავლო პროგრამების კორექტირებას, შეფასებათა განსხვავებული კრიტერიუმების შემუშავებას და სხვ. ყოველ



**ზოგჯერ  
განსაკუთრებით  
რთულია რაიმე  
ნიჭით გამორჩეულ  
ბავშვებთან  
ურთიერთობა.  
განსხვავებული  
ადამიანების მიმართ  
ხომ საზოგადოებასაც  
არაერთგვაროვანი  
დამოკიდებულება  
აქვს. ასეა სკოლაშიც.**

ცალკეულ შემთხვევაში პრობლემათა სპექტრი იცვლება. შესაბამისად, მოგვარების გზებიც ხელახლა საძიებელი, რისთვისაც შემოქმედებითი მიდგომა დაგვჭირდება.

ნიჭიერი ბავშვები ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალია. დღეს ბევრი ჩივის, რომ ნიჭიერი ადამიანები სხვა ქვეყნებში მიდიან თავიანთი ადგილის საპოვნელად და აღარ ბრუნდებიან. თანამედროვე ცივილიზებულ, ტექნოლოგიურ-ციფრულ სამყაროში ქვეყანა განსაკუთრებით უნდა უფრო თხილდებოდეს ნიჭიერ ბავშვებს, რომლებსაც გამორჩეული უნარები აქვთ. ამიტომ, შეიძლება ითქვას, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ბევრი სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის გამოწვევაცაა, შეიმუშაოს განსაკუთრებული სტრატეგიები ასეთი მოსწავლეებისთვის.

ისეც ხდება, რომ ნიჭიერ მოსწავლეს ერთი საგანი აინტერესებს და სხვების მიმართ გულგრილია. ამ შემთხვევაში საჭიროა პედაგოგთა ერთგვარი კონსილიუმი, ერთობლივი მსჯელობა და პრობლემის ისე გადაწყვეტა. მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის ჩართვა სასწავლო პროცესში. მასთან კონსულტაციებით პედაგოგი უფრო ნაკლებ შეცდომას დაუშვებს ნიჭიერ ბავშვთან, რათა არ გაუჩინოს გაუცხოების, გარიყულობის განცდა. სპეციალურ და მხატვრულ ლიტერატურაში ამ თემასთან დაკავშირებულ არაერთ საინტერესო მაგალითს ვხვდებით. ამჯერად ერთს მოვიხმობ, რომელიც თვალსაჩინოდ გამოკვეთს, რა შეიძლება „შეშალოს“ მასწავლებელს ნიჭიერ, არაორდინარულად მოაზროვნე ბავშვთან ურთიერთობისას, როგორი თავშეკავება, სიმშვიდე და გულსხმიერებაა საჭირო იმისთვის, რომ მცირე „უთანხმოება“ კონფლიქტში არ გადაიზარდოს.

ჯემალ ქარჩხაძის რომან „ქარავანში“ ერთი ეპიზოდია, რომელშიც კარგად წარმორჩდება ნიჭიერი მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობის ასპექტები. მართალია, ამ ეპიზოდში ქართულის გაკვეთილზე მომხდარი შემთხვევა აღწერილი, მაგრამ იგივე თავისუფლად შეიძლება ბოდა მომხდარიყო ისტორიის, ფიზიკის, ქიმიისა თუ მათემატიკის გაკვეთილებზეც:

„იმ დღეს გაკვეთილად აკაკი წერეთლის ბიოგრაფია ჰქონდათ. მასწავლებელმა, მსუქანმა,

ასთმიანმა ქალმა, რომელმაც ხვნეშითა და სვენებ-სვენებით ლაპარაკი იცოდა, შეკითხვა დასვა:

– აბა, როდის დაიბადა აკაკი წერეთელი? – და თავისდა ჭირად მირიანი გამოიძახა.

– შენ მიპასუხე, როდის დაიბადა აკაკი წერეთელი?

მირიანი წამოდგა და მიუგო:

– არ ვიცი.

– არ გიყვარს ხომ აკაკი წერეთელი? აბა, ვინ იტყვის? შენ თქვი, – სხვას მიუბრუნდა ახლა. იმ სხვამ თქვა. მასწავლებელმა ნიშნის მოგებით შეხედა მირიანს და უთხრა:

– უნდა იცოდე, დაჯექი.

მირიანმა მხრები აიჩეჩა.

– რა საჭიროა... – თქვა და დაჯდა. მასწავლებელმა ქშენა დაიწყო.

– ადექი!

მირიანი ადგა.

– აბა, რა არის საჭირო, შენი ჯირით? გაკვეთილის სწავლა არაა ხომ საჭირო?!

– აკაკი წერეთელი 1840 წელს დაიბადებოდა თუ 1841-ში, ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარი ისაა, რატომ დაწერა „მზემან სხივი მომაფინა“ და არა, ვთქვათ, „მზემან შუქი მომაფინა“. ესაა საინტერესო და ამას უნდა ვსწავლობდეთ.

მასწავლებელმა ფეხები განგან გადგა, დოინჯი შემოიყარა და მირიანს გაკვირვებით მიაჩერდა. ბოლოს ამოიხვნეშა.

– შენ ასწავლი, ბიჭო, განათლების სამინისტროს, რა გასწავლოს და რა არა?!

განათლების სამინისტრო ისეთი კოზირი იყო, რომელიც არ იჭრება. მაგრამ მირიანმა მხრები აიჩეჩა და ეს გაუჭრელი კოზირიც გაუჭრა.

– თუკი საჭირო იქნება, რატომაც არ ვასწავლი...

ეს მკრეხელობა იყო და მასწავლებელმა დაიქუხა:

– დაჯექი მანდ!

ამ სიტყვებზე თვითონაც დაჯდა და დიდხანს იქ- შინა, რადგან მის თვალში განათლების სამინისტროს ლაქა მოეცხო“.

ამ იუმორით შეზავებულ, ცოტა კარიკატურულად დახატულ პასაჟში კარგად წარმოჩნდება „ურჩი“ მოსწავლისა და „მკაცრი“ მასწავლებლის დაძაბული ურთიერთობა. რა ქმნის ასეთ სიტუაციას? მხოლოდ ის, რომ პედაგოგს არ სურს მოსწავლის აზრის გათვალისწინება, მიუღებლად მიაჩნია მისი განსხვავებული დამოკიდებულება საკითხის მიმართ. მოსწავლე კი ნაკითხია, მოაზროვნე, უყვარს ლიტერატურა, ცდილობს, განსხვავებული კუთხით შეხედოს მოვლენებს. მასწავლებელი ამას პირად შეურაცხყოფად მიიჩნევს, ლელავს, ბრახობს მოსწავლეზე და მის გაჩუმებას, დამცირებას ცდილობს, რითაც თავს გამოუვალ მდგომარეობაში იგდებს, რადგან ჯიუტ, თავის თავში დარწმუნებულ მოსწავლეს ვერაფერს უხერხებს.

ამავე რომანში ჯემალ ქარჩხაძე მირიანთან სხვა მასწავლებლის ურთიერთობასაც აღწერს, რომელიც მშვიდობიანი და თანამშრომლობითია: „ერთადერთი, ვინც მირიანთან კამათს არ გაურბოდა, ისტორიის მასწავლებელი იყო. არათუ არ გაურბოდა, ხანდახან ისე ჩაეფლობოდა ხოლმე, რომ მთელი კლასის სასიხარულოდ ძველის გამოკითხვაც ავიწყდებოდა და ახლის ახსნაც. მაგრამ წლის ბოლოს იგი სადღაც გადაიყვანეს და მისმა შემცვლელმა მკაცრად და უხეშად უთხრა მირიანს: რასაც ვასწავლიან, ის ისწავლე, დანარჩენ ისტორიას უშენოდაც მოველებათ“.

საინტერესო იქნებოდა, თვითონ პედაგოგებსაც განეხილათ ეს ეპიზოდი და ემსჯელათ, როგორ მოიქცეოდნენ ამ შემთხვევაში ან რას ურჩევდნენ მასწავლებელს, რომელმაც ნიჭიერი მოსწავლე კი არ შეაქო განსხვავებული თვალსაზრისისთვის, არამედ გაკიცხა და მთელი კლასი სადუელო დრამის მონაწილედ აქცია.

ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად არც ისე გამორჩეული ნიჭის, მაგრამ შემოქმედებითად მოაზროვნე

მოსწავლეებსაც უყვართ მასწავლებლისთვის უცნაური კითხვების დასმა. საგაკვეთილო პროცესს სწორედ ასეთი კითხვები აცოცხლებს. ამიტომ მასწავლებელმა კი არ უნდა ჩაახშოს თავისუფლებისკენ სწრაფვის ეს მცდელობა, არამედ, პირიქით, წაახალისოს. სწორედ იმგვარი „რევოლუციების“ მომხრე უნდა იყოს მასწავლებელი, როგორსაც ილია აღწერს „მგზავრის წერილებში“: „ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მალლა მოექცნენ, მალლა დალაგებულნი – ძირსა და მერე აირივნენ ერთმანეთში. სიტყვამ „რევოლუციამ“ არ შეგამინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადულდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაიწმინდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზე“.

კარგ მასწავლებელს არ გამორჩება ნიჭიერი და განსხვავებული მოსწავლის ფიქრთა ეს „დულილი“ და ამ რევოლუციურ ენერჯიას იმისთვის გამოიყენებს, რომ სხვა მოსწავლეებსაც დაეხმაროს, რათა მათ ნაცნობ და გატკეპნილ გზებზე ცოდნისკენ მიმავალი უცხო ბილიკები აღმოაჩინონ.





მაია ფირჩხაძე

# როგორ გამოვიყენოთ ალქმის მოდალობები მასალის ასათვისებლად

**ალქმის მოდალობისა და მიღებული ტიპის შესაბამისი მეთოდური მიდგომების გათვალისწინება მნიშვნელოვანია დიფერენცირებული სწავლებისა და რემედიაციული ჩარევის დროსაც.**

მოდალობას როგორც ინფორმაციის მიღების სახეობას (გრძნობათა ორგანოებსა და შეგრძნებებთან მიმართებით) დიდი მნიშვნელობა აქვს შემეცნებით პროცესებში. არსებობს მოდალობის ოთხი ძირითადი ტიპი:

- ❶ **ვიზუალური** – როდესაც დომინანტია მხედველობითი სისტემა: ფორმა, განლაგება, ფერი;
- ❷ **სმენითი** – ინფორმაციის გადამუშავებისას დომინანტის როლს ასრულებს ხმები, მელოდიები, ტონი, ტემპრი, სიხშირე;
- ❸ **კინესთეტიკური** – აქ დომინანტია სენსორული ინფორმაცია: შენება, გემო, სუნი, ტექსტურის შეგრძნება, ტემპერატურა;
- ❹ **ციფრული** – ასოცირებულია ლოგიკურ კონსტრუქციებთან.

ამ ოთხი მოცემულობიდან ერთ-ერთი დომინანტია ანუ წამყვანი სისტემაა, ის იწყებს აზროვნების პროცესს, მისგან ხდება იმპულსის გადაცემა სხვა ფსიქიკური პროცესებისთვის, როგორცაა მეხსიერება, წარმოდგენა და წარმოსახვა. მაგალითად, მოსწავლეებს სთხოვენ, წარმოიდგინონ

„აღელვებული ზღვა“ შედეგად:

- ❶ **მოსწავლე-ვიზუალი** ჯერ ზღვას წარმოიდგენს და მხოლოდ ამის შემდეგ გაიხსენებს, როგორია აღელვებული ზღვა;
- ❷ **მოსწავლე-აუდიალი** ჯერ ტალღების ან თოლიების ხმას გაიხსენებს და შემდეგ – სხვა შეგრძნებებს;
- ❸ **მოსწავლე-კინესთეტიკი** მაშინვე გრძნობს წყლის შეხებას და მხოლოდ ამის შემდეგ დაინახავს ზღვის გამოსახულებას.
- ❹ **ციფრული მოდალობის მოსწავლე** ჯერ თავის თავს „გაესაუბრება“, თავის ცნობიერს „ეტყვის“, რა არის ზღვა და შემდეგ წარმოიდგენს აღელვებულ ზღვას.

ფაქტობრივად, თითოეული მათგანი თავის თავში დაინახავს აღელვებული ზღვის გამოსახულებას, მაგრამ ზოგი – მაშინვე, ზოგიც – ცოტა მოგვიანებით, მისთვის დამახასიათებელი დომინანტური სისტემის შესაბამისად. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ მკაცრად გავლებული ხაზები აქ არ არსებობს. შესაძლებელია, მოსწავლე ბუნებით ეკუთვნოდეს რომელიმე ტიპს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას სხვა მოდალობების გამოყენება არ შეუძლია. რაც უფრო მეტ

არხს გამოიყენებს მასწავლებელი ინფორმაციის გადაცემისას და სწავლებისას, ცხადია, მით უფრო მეტი იქნება შედეგიც.

იმისთვის, რომ ინდივიდის ალქმის მოდალობები წარმატებით გამოვიყენოთ სასწავლო პროცესში, მნიშვნელოვანია:

- I – მოსწავლის წამყვანი სისტემის, მისთვის დამახასიათებელი ნებისმიერი ინფორმაციის ალქმისა და დამახსოვრების პრინციპის დადგენა. ამისთვის შესაძლებელია დაკვირვებისა და ტესტის გამოყენება; II – მიღებული შედეგების საფუძველზე პრაქტიკული საგაკვეთილო საქმიანობის დაგეგმვა და რეკომენდაციისა თუ შენიშვნის გაცემის ფორმის გათვალისწინებაც. მაგალითად:

### I – დაკვირვების ეტაპზე:

- ა) მოვინიშნოთ, ვინ როგორ ჩაიწერს და ჩაინიშნავს დაფაზე დაწერილ დავალებას:
  - ❶ **ვიზუალი:** წყნარად გადაშლის რვეულს და ჩაიწერს/გადაიწერს დავალებას. ის ადვილად აღიქვამს დაფაზე დაწერილ ტექსტს. ურჩევნია, თავად ჰქონდეს საჭირო ინფორმაცია, ვიდრე სხვებს ჰკითხოთ



და ამის შემდეგ მშვიდად გრძნობს თავს;

**აუდიალი:** დაფიდან გადაწერის/ჩაწერის ნაცვლად ურჩევნია, სახლში მისვლისთანავე დარეკოს თანაკლასელთან და ტელეფონით ჩაინიშნოს დავალებას;

**კინესთეტიკი:** დიდხანს ეძებს რვეულს, შემდეგ ამოიღებს ჩანთიდან სახელმძღვანელოს, მოძებნის საჭირო გვერდს და პირდაპირ სახელმძღვანელოში მოინიშნავს დავალებას.

ბ) დავაკვირდეთ, რას აკეთებენ მოსწავლეები შესვენებაზე, გაკვეთილის დამთავრების შემდეგ:

**ვიზუალი** რჩება საკლასო ოთახში, როდესაც მოსწავლეთა უმეტესობა ოთახიდან გადის. მისთვის მთავარია, მშვიდად „ჩაიძიროს“ ვიზუალურ გამოსახულებებში. მაგრამ მას შესაძლოა ხელი შეუშალოს კლასში შემოსულმა სმენითების ხმაურმა ანდა კინესთეტიკების დაუსრულებელმა თამაშმა. ის მხოლოდ ამის შემდეგ გადის კლასიდან და ისიც იმიტომ, რომ ახლა დერეფანში დააკვირდეს სხვა ბავშვებს ან მიიღოს ინფორმაცია კედელზე გაკრული მასალებიდან;

**აუდილები** დასვენებაზე ბევრს საუბრობენ და ხმაურობენ;

**კინესთეტიკები** დასვენებას იყენებენ აქტიური ფიზიკური მოძრაობისთვის.

რას გვეუბნება ასეთი დაკვირვება? არ უნდა ვაიძულოთ ყველა მოსწავლე, დასვენებაზე წყნარ მუსიკას უსმინონ. მთავარია, შევქმნათ პირობები, ყველა მოიქცეს ისე, როგორც უნდა და გამოიყენოს დასვენება და საგაკვეთილო დრო ძალების აღდგენისა და აქტიური სწავლისთვის.

გ) ინდივიდისთვის დამახასიათებელი პერცეფციული დომინანტი მოდალობის დასადგენად აქტიურად გამოიყენება სპეციალური ტესტები (<https://goaravetisyan.ru/en/test-na-vospriyatie-onlain-test-na-opredelenie-tipa-vospriyatiya-kanaly/>)

მოსწავლისთვის დამახასიათებელი წამყვანი არხის დასადგენად შესაძლებელია ადაპტირებული ტესტის გამოყენებაც. სპეციალისტების მითითებით, სწავლის დაწყებით საფეხურზე იყენებენ ნაწილობრივ ვარიაციას – 5 ცნების გამოყენებით, ხოლო ზედა საფეხურის მოსწავლეებთან – სრულ ვარიანტს – 15 ცნების გამოყენებით (იმის მიხედვით, რა დონეზე იცნობენ მოსწავლეები ცნების შინაარსს).

**ტესტის ინსტრუქცია:** ქვემოთ მოცემული სიტყვათწყობიდან ამოირჩიეთ შესაბამისი, რომელიც მეტ-ნაკლებად ზუსტად შეესაბამება დასახელებულ ცნებას.

**ტესტის გასაღები:** თუ პასუხებში ბევრი „ვ“ დაფიქსირდა, ნიშნავს, რომ ეს ვიზუალი-მოსწავლეა, თუ უმეტესობაა „ა“ – აუდიალი/სმენითი, თუ „კ“ – კინესთეტიკი.

ტესტი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის:

**„ცული ამინდი“**

1. ქარის ზუზუნი, წვეთების წკაპუნი (აუდიალი)
2. სიცივე, ტენიანობის შეგრძნება (კინესთეტიკი)
3. ღრუბლიანი ცა, ნაცრისფერი ღრუბლები (ვიზუალი)

**„თაფლი“**

1. ტკბილი სუნი (კ)
2. ოქროსფერი გამჭვირვალე სითხე (ვ)
3. ფუტკრების ზუზუნი, კოვზების ხმა (ა)

**„ზღვა“**

1. მოლურჯო-მომწვანო წყალი, თეთრი ტალღები (ვ)
2. თბილი მარილიანი წყალი, ცხელი ქვიშა (კ)
3. ტალღებისა და თოლიების ხმა (ა)

**„ვაშლი“**

1. ჩაკბურჩის ხმა (ა)
2. მაღალ ხეზე ჩამოკიდებული წითელი, ყვითელი ან მწვანე ფერის მრგვალი ნაყოფი (ვ)
3. ტკბილი / მჟავე გემო... ჯემი... (კ)

**„თოვლი“**

1. მზეზე მობრჭყვიალე თეთრი ფარდა (ვ)
2. ცივი, რბილი, ფუმფულა (კ)
3. ხრამუნის ფეხქვეშ (ა)

ტესტი საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის:

**1. „სიჩქარე“**

- ა) ლანდშაფტის სწრაფი ცვლილება, „გარბიან“ ხეები, სახლები (ვ)
- ბ) ქარის ხმაური, საბურავებისა და მუხრუჭების ხმა (ა)



ა) გულისცემის სმა, სახეში ქარი გცემს... (კ)

**2. „ცუდი ამინდი“**

- ა) ქარის ზუზუნი, წვეთების წკაპუნი (ა)
- ბ) სიცივე, ტენიანობის შეგრძნება (კ)
- გ) ღრუბლიანი ცა, ნაცრისფერი ღრუბლები (ვ)

**3. „თაფლი“**

- ა) ტკბილი სუნი (კ)
- ბ) ოქროსფერი გამჭვირვალე სითხე (ვ)
- გ) ფუტკრების ზუზუნის კოვზების სმა (ა)

**4. „ზღვა“**

- ა) მოლურჯო-მომწვანო წყალი, თეთრი ტალღები (ვ)
- ბ) თბილი მარილიანი წყალი, ცხელი ქვიშა (კ)
- გ) ტალღებისა და თოლიების სმა (ა)

**5. „დაღლილობა“**

- ა) ძილიანობა, თავის ტკივილი... (კ)
- ბ) ნაცრისფერი სამყარო... უფერული გარემო (ვ)
- გ) გამაღიზიანებელი ხმაური... სიშშიდე გინდა (ა)

**6. „ვამლი“**

- ა) ჩაკბეჩის სმა (ა)
- ბ) მაღალ ხეზე ჩამოკიდებული წითელი, ყვითელი ან მწვანე ფერის მრგვალი ნაყოფი (ვ)
- გ) ტკბილი / მჟავე გემო... ჯემის სუნი... (კ)

**7. „თოვლი“**

- ა) მზებზე მობრჭყვიალე თეთრი ფარდა (ვ)
- ბ) ცივი, რბილი, ფუმფულა (კ)
- გ) ხრამუნის ფეხქვეშ (ა)

**8. „საღამო“**

- ა) ბუნდოვანი ფერები, ფარნების შუქი, გრძელი ჩრდილები (ვ)

ბ) ახლობლების სმა, ვანშმის ფუსფუსი სამზარეულოში (ა)

გ) სასიამოვნო დაღლილობის შეგრძნება, მოხერხებული სავარძელი, ცხელი ჩაი ფინჯნით (კ)

**9. „კოცონთან“**

- ა) სითბო, კვამლი თვალებს წვავს, ათბობს (კ)
- ბ) ცეცხლის წითელი ენები, ნაცრისფერი კვამლი (ვ)
- გ) გახურებული ნახშირი, შემის ტკაცუნა (ა)

**10. „ხესთან“**

- ა) ფოთლების შრიალი, ტოტების რხევა (ა)
- ბ) მაღალი, სწორი ყავისფერი ზრო, მწვანე გვირგვინი, მზის სხივები ფოთლებში (ვ)
- გ) უხეში ქერქი, რბილი ფოთლები, სივრილის შეგრძნება (კ)

### 11. „ბიბლიოთეკა“

- ა) გადაფურცელის ხმა, მოგუ-  
დული საუბარი, სკამების  
ჭრაჭუნი (ა)
- ბ) რბილყდიანი წიგნები, სქე-  
ლი ტომები, ძველი წიგნების  
სუნი (კ)
- გ) მაღალი თაროები, ფერადი,  
პრიალა წიგნის ყდები (კ)

### 12. „ქალაქი“

- ა) შერეული სუნი, მრავალფე-  
როვნება, ფერადი ვიტრინე-  
ბი (კ)
- ბ) მაღალი შენობები, ნაცრის-  
ფერი ხიდები, მყვირალა  
სარეკლამო ბანერები (კ)
- გ) მანქანების ხმა, გუგუნი,  
სიგნალების ხმა, კარების  
ჯახუნი (ა)

### 13. „დილა“

- ა) ვარდისფერი მზე ჰორიზონ-  
ტთან (კ)
- ბ) ჩიტების ჭიკჭიკი, სიჩუმე,  
ფოთლების მშვიდი შრიალი  
(ა)
- გ) გრილი ჰაერი, ნესტიანი ბა-  
ლახი, მზის თბილი სხივები,  
გინდა, ღრმად ისუნთქო (კ)

### 14. „რემონტი“

- ა) მტვრის, საღებავის, ლაქის  
სუნი, წებოვანება (კ)
- ბ) სისუფთავე, თეთრი ჭერი,  
უწესრიგობა (კ)
- გ) ჩაქურის ხმა, ბურღის გუგუ-  
ნი, ექო ცარიელ ოთახებში  
(ა)

### 15. „ტაძარი“

- ა) სანთლის შუქი, უძველესი  
ხატების დაბინდული ფერე-  
ბი (კ)
- ბ) ღვთისმსახურთა მონოტო-  
ნური ხმა, საგალობლები,  
სანთლების ციმციმი (ა)
- გ) საკმევლის ტკბილი სუნი,  
დამწვარი სანთლის სუნი,  
სიშვიდის განცდა (კ)

### II – მას შემდეგ, რაც


დავადგენთ მოსწავლეთა  
პერცეფციულ, დომინანტ  
მოდალობებს, შეგვიძლია,  
გავითვალისწინოთ ისინი  
პრაქტიკულ საგაკვეთილო  
საქმიანობაში სწავლის  
შედეგების გასაუმჯობესებ-  
ლად. მაგალითად, ახალი  
მასალის გადაცემისას:

- ❖ ვიზუალი: ა) ცდილობს,  
დაიმხსოვროს, როგორ  
გამოიყურება გაკვეთილის  
ფურცელი, სახელმძღ-  
ვანელო, სურათები. მას  
ამის საშუალება უნდა  
მივცეთ; ბ) ამავე დროს  
შეიძლება მოვთხოვოთ  
დავალების სწრაფად  
შესრულება, შევთავაზოთ,  
აღწეროს ფერი, ფორმა,  
ზომა, ადგილმდებარეობა,  
სხვადასხვა ფერით გამოყოს  
ცალკეული პუნქტები, ან  
შინაარსი ასახოს სქემატუ-  
რად, ჩაიწეროს მოქმედება,  
ცხრილები და სხვადასხ-  
ვა გამომსახველობითი  
საშუალების გამოყენებით  
შეასრულოს დავალება; გ)  
უმჯობესია, შევთავაზოთ  
ფურცელი, რომელზეც  
მასალის გაზრების დროს  
შექმდებ ინფორმაციის  
ტრანსფორმაციას – დაბა-  
ზავს, დახატავს და სხვ.; დ)  
ვიზუალებთან მუშაობისას  
სასურველია, კარგად გა-  
მოვიყურებოდეთ, სწავლე-  
ბისას ხშირად ვიყენებდეთ  
ვიზუალურ მასალებს, ნა-  
ხატებს, ინტელექტუალურ  
რუკებს, ილუსტრაციებს,  
სქემებს; ე) მათ შედარებით  
უჭირთ რიცხვით მოქმედე-  
ბებთან დაკავშირებული  
დავალებების შესრულება,  
ამიტომ სასურველია, ვიზუ-  
ალიზაციის საშუალებები  
ჩავართოთ სწავლებაში.



კინესთეტიკისთვის კი ამას  
მნიშვნელობა არ აქვს. მისთ-  
ვის მასალის ამ გზით ათვის-  
ება წარმოდგენილია. ის  
უკეთესად გაიგებს ინფორ-  
მაციას: ა) თუ შეიგრძნობს  
მასალას, სუნს, გემოს; ბ) თუ  
გამოიყენებს თეორიული  
მასალის მატერიალურ გან-  
სახიერებას, მაგალითად,  
ისეთ სასწავლო მოდელებს,  
როგორცაა სათვლელი  
ჩხირები (სწავლის დაწყე-  
ბით საფეხურზე), ასევე –  
სწავლის ზედა საფეხურზე,  
მაგალითად, ფიზიკის შეს-  
წავლისას, იმის ასახსნელად,  
როგორ ბრუნავს დედამიწა  
მზის გარშემო... მისთვის არ  
არის აუცილებელი, უყუ-  
როს სასწავლო ფილმს ამის  
შესახებ, საკმარისია, ვაშლი-  
სა და ნათურისგან შექმნი-  
ლი „მოდელი“ ნახოს. სწორი  
პედაგოგიური მიდგომა  
იქნება, თუ მასწავლებელი  
საშუალებას მისცემს ასეთ  
მოსწავლეს, ვაშლზე („დე-  
დამიწაზე“) თავად მონიშნოს,  
„დღე“ და „ღამე“, მონიშნოს,  
„დედამიწის“ რომელ მხარე-  
საა „ზაფხული“ და რომელ  
მხარეს – „ზამთარი“ ... კინეს-  
თეტიკი ნებისმიერ ახსნაზე  
უკეთესად ამ გზით იგებს  
მასალას; გ) გაკვეთილზეც  
და შინ მეცადინეობის  
დროსაც კინესთეტიკებს  
მეტი მოთმინებით უნდა მო-  
ვეპყროთ; არ უნდა მივცეთ  
ისეთი დავალება, რომელიც  
მათგან დიდხანს ჯდომას  
მოითხოვს; შევთავაზოთ  
მოტორული აქტივობები:  
დაწერონ დაფაზე, შეამოწ-  
მონ თანაკლასელების რვე-  
ულები. უყვართ როლური  
თამაშებიც. მოძრაობის  
დროს ისინი მასალას უკეთ  
იმახსოვრებენ და იაზრებენ;

**მოდალობას როგორც  
ინფორმაციის მიღების  
სახეობას (გრძნობათა  
ორგანოებსა და  
შეგრძნებებთან  
მიმართებით) დიდი  
მნიშვნელობა  
აქვს შემეცნებით  
პროცესებში.**



**გამოყენებადი  
ლიტერატურა:**

1. <https://goaravetisyan.ru/en/test-na-vospriyatie-onlain-test-na-opredelenie-tipa-vospriyatiya-kana-ly/>

**აუდიალ მოსწავლეებს:**

ა) ურჩევნიათ, ხმამაღლა იკითხონ მასალა. ამის აკრძალვა ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოიღებს – უბრალოდ, ისინი ვერ დაიმასხვრებენ იმას, რაც უნდა იცოდნენ. უმჯობესია ვთხოვოთ, ჩუმად იმეცადინონ;

ბ) დამახსოვრებისთვის სჭირდებათ სიჩუმე, გულისყურის მოკრება; გ) ამავე დროს, შეიძლება მოვთხოვოთ მოსმენილი მასალის მშვიდად გამეორება, ახსნის დროს კი გამოვიყენოთ შესაბამისი ტონალობა, პაუზები; ისინი ინფორმაციას უკეთესად გაიზრებენ საუბრის დროს; დ) დავალების შესრულებისას თუ ხმაურობენ, ხმებს გამოსცემენ, ესე იგი, უკეთ იმასხვრებენ და იზრებენ; ე) არაჩვეულებრივი მთხრობელები და მუსიკოსები არიან;

**ციფრული მოდალობის მოსწავლეები:**

ა) კარგად სწავლობენ ზუსტ მეცნიერებებს, შეუძლიათ ლოგიკური კავშირების დამყარება; ბ) თუმცა იშვიათად ავლენენ ემოციებს ურთიერთობის დროს; გ) სტრესულ სიტუაციებში ისინი ყველაზე მეტად ინარჩუნებენ ლოგიკური აზროვნების უნარს, სიმშვიდეს, აზროვნების სიცხადეს და გარემო პირობების ობიექტურ აღქმას.

**შენიშვნის მიცემის დროსაც უმჯობესია, „მათივე ენა“ გამოვიყენოთ:**

- ვიზუალებთან შესაძლებელია უსტრუქტურული მიმდევრობის გამოყენება, თავის დაქნევა და სხვ.
- აუდიალს შეგვიძლია ჩავჩუროთ: „ჩჩჩ...“
- კინესთეტიკს ხელით ვანიშნოთ მოწონება, ტაში შემოვკრათ და სხვ.

აღქმის მოდალობისა და მიღებული ტიპის შესაბამისი მეთოდური მიდგომების გათვალისწინება მნიშვნელოვანია დიფერენცირებული სწავლებისა და რემედიაციული ჩარევის დროსაც. ის ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და ეფექტურობას და წარმატებით გამოიყენება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში.





თინათინ ზარდიაშვილი

# ონლაინ კლასკომპლექტში კომპლექსური დავალების დამუშავების დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები

მსოფლიოში კოვიდ ვირუსის გავრცელების შემდეგ სხვადასხვა ქვეყანა სწავლების სხვადასხვა ფორმატზე გადავიდა. დისტანციური სწავლება ზოგ ქვეყანაში სინქრონულად მიმდინარეობდა, ზოგან – ასინქრონულად. 2020 წლის 12 ივნისს ცვლილება შევიდა ზოგადი განათლების შესახებ კანონშიც, სადაც დისტანციური სწავლება აღიარეს როგორც სწავლების ფორმა, რომელსაც არეგულირებს კანონი, მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, რესურსცენტრთან შეთანხმებით, ცალკეული სკოლა ან კლასი შესაძლოა დისტანციურ რეჟიმზე გადავიდეს. მოსწავლის მშობელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, დაარეგისტრიროს ის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე კვირის განსაზღვრულ დღეს, ან მოხსნას დისტანციური სწავლების ფორმატიდან. საქართველოს სკოლებში, განსაკუთრებით – დედაქალაქის სკოლებში, მოსწავლეთა საკმაოდ დაბალი რაოდენობა რეგისტრირდება ან ხსნის რეგისტრაციას ყოველკვირეულად. შესაბამისად, სკოლის ონლაინ კლასკომპლექტებში ცვლილებები მუდმივად მიმდინარეობს. ეს ართულებს შემაჯამებელი სამუშაოების ნიშნების ასახვას, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობას.

ონლაინ კლასკომპლექტში მუშაობას აქვს როგორც დადებითი, ისე გასაუმჯობესებელი მხარეებიც. მინდა, გაგიზიაროთ გამოცდილება, რომელიც დამიგროვდა ბიოლოგიის სწავლების პროცესში ონლაინ კლასკომპლექტში მუშაობისას. წარმოგიდგინო მოსწავლეების გამოკითხვის შედეგებს:


- კლასის ზოგადი დახასიათება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
  - კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მიმდინარეობდა კლასკომპლექტში, ონლაინ რეჟიმში;
  - კლასკომპლექტში მოსწავლეთა რაოდენობა სემესტრის განმავლობაში სისტემატურად იცვლებოდა (საშუალოდ 20 მოსწავლე);
  - ცვლილება ხდებოდა ყოველი კვირის ბოლოს;
  - კომპლექსური დავალება განთავსებული იყო Teams-ის კლასის საქალაქურ რეჟიმში, რომელზეც წვდომა ჰქონდა ყველა მოსწავლეს;
  - სსსმ მოსწავლეს (აუტისტური სპექტრი) ის ეგზავნებოდა პირადი შეტყობინების სახით;
  - კომპლექსური დავალებების შესრულებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესში ჩაერთო მოსწავლეთა საშუალოდ 65%;
  - კონკრეტული დავალების შესრულების პროცესში დამუშავების ეტაპზე ჩაერთო

**სასურველია, სისტემატური ხასიათი ჰქონდეს მოსწავლის განმავითარებელ შეფასებას, რაც ონლაინ კლასკომპლექტის მასწავლებელს დაეხმარება, მიიღოს მის შესახებ ინფორმაცია.**

საშუალოდ 70%, პროდუქტი წარმოადგინა 60%-მა.

მოსწავლეებმა შექმნეს ბროშურები. ბროშურის სახით სრულყოფილად დავალება წარმოადგინა ხუთმა მოსწავლემ. სსსმ მოსწავლემ დაკვირვების შედეგი მცირე ტექსტის ფორმით წარმოადგინა. დანარჩენები დამუშავების ეტაპზე მონაწილეობდნენ და ასრულებდნენ დავალებებს, თუმცა პროდუქტი არ/ვერ შექმნეს.

შეფასება ხდებოდა SOLO ტაქსონომიის რუბრიკის მიხედვით. შედეგები ასე გადაწაწილდა:



კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპების თანმიმდევრობა ასეთია:

- 🍎 **აქტივობა 1:** კომპლექსური დავალების პირობის წარდგენა და პროდუქტზე მსჯელობა;
- 🍎 **აქტივობა 2:** წინარე ცოდნის გააქტიურება კითხვებზე პასუხის გზით;
- 🍎 **აქტივობა 3:** გარემოზე ქიმიური ნაერთების (სასუქები, პესტიციდები, ინსექტიციდები, ფუნგიციდები) ზემოქმედების შედეგების ამსახველი ტექსტის გაცნობა/მსჯელობა;
- 🍎 **აქტივობა 4:** ვიდეოს <https://www.youtube.com/watch?v=1PDjVDlrFec> ნახვა და მუშაობა ვიდეოს მიზეზებისა და შედეგების ჩანიშვნა;
- 🍎 **აქტივობა 5:** სათბურის ეფექტი – ვირტუალურ ლაბორატორიაში მუშაობა <https://bit.ly/3Oა6m8g>;
- 🍎 **აქტივობა 6:** მაკროცნობა. კვლევის ეტაპებისა და ანგარიშის განხილვა/მსჯელობა;
- 🍎 **აქტივობა 7:** სადემონსტრაციო ვიდეოქსპერიმენტი <https://bit.ly/3ynntCL>;
- 🍎 **აქტივობა 8:** საშინაო კვლევა – მუშაობა ვიდეოს გაგენა ცოცხალ და არაცოცხალ გარემოზე;

- 🍎 **აქტივობა 9:** ბუკლეტზე მუშაობა და წარდგენა;
- 🍎 **აქტივობა 10:** რეფლექსია.

გამოიკვეთა საგანთა შორის კავშირები:

- 🍎 **ბიოლოგია** – ეკოლოგიური ფაქტორები;
- 🍎 **ქიმია** – ნივთიერება, ქიმიური რეაქცია;
- 🍎 **ფიზიკა** – ენერჯის მუდმივობის კანონი და ნივთიერებათა მიმოქცევა;
- 🍎 **სამოქალაქო განათლება** – მდგრადი განვითარების მიზნები და საზოგადოებრივი ჯანმრთელობა.

მეტაკოგნიციის უნარის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მოსწავლეები:

- 🍎 მსჯელობდნენ, როგორ შეექმნათ პროდუქტი;
- 🍎 ერთმანეთს ადარებდნენ საკუთარ ახლანდელ და წინა ნამუშევრებს;
- 🍎 განიხილავდნენ, როგორ განახორციელეს კვლევის ეტაპები;
- 🍎 პასუხობდნენ კითხვას: „რას შეცვლიდი, თავიდან რომ იწყებდე მუშაობას?“
- 🍎 პროდუქტის წარდგენის დროს მსჯელობდნენ, რა გააკეთეს ადვილად და სად სჭირდებოდათ დახმარება.

დავალების დამუშავების პროცესში დასმული იყო კითხვები, რომლებიც მიემართებოდა ცოდნის სამივე კატეგორიას:

**დეკლარაციული (ვიცი):**

- 🍎 დაასახელე ანთროპოგენული ფაქტორები;
- 🍎 აღწერე მუშაობის წიგნის ჩამოყალიბების ეტაპები.

**პროცედურული (შემიძლია):**


- 🍎 როგორ შექმნი მუშაობის წიგნის ექსპერიმენტულ მოდელს?
- 🍎 როგორ შექმნეს ექსპერიმენტული მოდელი;
- 🍎 როგორ ჩაატარეს კვლევა.

**პირობისეული (ადეკვატურად ვიყენებ):**


- 🍎 იმსჯელე ცემენტის მტვრით გამოწვეულ საფრთხეებზე და შეაფასე მისი გავლენა გარემოს ბიომრავალფეროვნებასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

დავალებაზე მუშაობის დასრულებისას, რეფლექსიის ეტაპზე, ჩავატარე ანონიმური ონლაინგამოკითხვა. რამდენიმე კითხვის პასუხი დიაგრამის სახით არის წარმოდგენილი:


**რა სირთულეებს წააწყდით კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?**




**კომპლექსური დავალება ნიშნით უნდა ფასდებოდეს თუ არა?**



**როგორია მასწავლებლის უკუკავშირი?**



**რა სირთულეებს წააწყდით კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?**



გამოიკვეთა შემდეგი სახის სირთულეები:

მოსწავლეებისთვის:

- 🍎 მობილობის გამო მოსწავლეებს სამუშაოდ არათანაბარი დრო ჰქონდათ;
- 🍎 კლასკომპლექტში ახალშემოერთებული მოსწავლეების ჩართვას გარკვეული დრო სჭირდებოდა;
- 🍎 მოსწავლეებს უჭირდათ დავალების შესრულება. მათი აზრით, უფრო მეტი ცოდნა და გამოცდილება იყო საჭირო;
- 🍎 მოსწავლეებისთვის ვირტუალური ლაბორატორიული დავალებები სიახლეა, ამიტომ ამ ეტაპზე მუშაობა გაუჭირდათ.


მასწავლებლისთვის:

- 🍎 კლასკომპლექტში მოსწავლეების სისტემატური ცვლა დამატებით დროს მოითხოვს;
- 🍎 საგაკვეთილო დროის სიმცირე;
- 🍎 ზოგიერთი მოსწავლე უარს ამბობს დავალების ვერბალურად წარდგენაზე;
- 🍎 პარალელური კლასებიდან გადმოსული მოს-

წავლების გამოცდილება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან (ერთ სიტუაციაში დადებითია, მეორეში – უარყოფითი);

- 🍎 მოსწავლეთა ნაწილის დაბალი მოტივაცია და ჩართულობა;

**მართივი ტესტური დავალების შესრულებისას უფრო მდგრადი მიღებული ცოდნა და გამოცდილება, თუ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?**





**ონლაინ კლასკომპლექტის შემადგენლობა უნდა იყოს მეტ-ნაკლებად მუდმივი, რადგან ცვალებადობა საგაკვეთილო პროცესში მუდმივ რყევებს იწვევს.**

- 🍏 სუსტად განვითარებული სასწავლო უნარები;
- 🍏 ვირტუალურ ლაბორატორიაში სამუშაოდ საჭიროა დამატებითი გზამკვლევის შექმნა. *(საინტერესო იქნება მშობლების პრობლემების გამოვლენაც).*

**როგორ გადავჭერი პრობლემები:**

- 🍏 ახალშემოერთებულ მოსწავლეებთან საჭიროების შემთხვევაში მქონდა მიმოწერა;
- 🍏 ზოგიერთი მოსწავლის დავალებას ვისმენდი ინდივიდუალურად, რადგან კლასში წარდგენისას უზერხულად გრძნობდნენ თავს (დამატებითი შეხვედრა);
- 🍏 მოსწავლეებს (ზოგიერთ შემთხვევაში) ვაწყვილებდი საკუთარი სურვილით, ერთი მეორის კონსულტანტი იყო;
- 🍏 გაკვეთილის ჩანაწერები მოსწავლეებს საშუალებას აძლევდა, გაცდენის შემთხვევაში გასცნობოდნენ დამუშავებულ საკითხებს.

**რეკომენდაციები:**

- 🍏 მნიშვნელოვანია კათედრის წევრების, პარალელური კლასებისა და კლასკომპლექტის მასწავლებლის კოორდინირებული მუშაობა;
- 🍏 სასურველია, სისტემატური ხასიათი ჰქონდეს მოსწავლის განმავითარებელ შეფასებას, რაც ონლაინ კლასკომპლექტის მასწავ-

- ლებელს დაეხმარება, მიიღოს მის შესახებ ინფორმაცია;
- 🍏 ონლაინ კლასკომპლექტში მოსწავლეების შემოერთებისას მათ დამატებითი შეხვედრები სჭირდებათ;
- 🍏 ონლაინ კლასკომპლექტის შემადგენლობა უნდა იყოს მეტ-ნაკლებად მუდმივი, რადგან ცვალებადობა საგაკვეთილო პროცესში მუდმივ რყევებს იწვევს;
- 🍏 ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენებით საშინაო კვლევების ჩატარება მნიშვნელოვანია მოტივაციის ასამაღლებლად;
- 🍏 კომპლექსური დავალების პირობა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ტექსტი იყოს ადვილად გასაგები და ჰქონდეს კავშირი ყოველდღიურობასთან;
- 🍏 უნდა მოხდეს კომპლექსური დავალების საკლასო განხილვა;
- 🍏 მასწავლებლის უკუკავშირი უნდა იყოს ძალიან კონკრეტული.



**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. <https://www.kritik.io/resources/challenges-of-teaching-online;>
2. [https://www.3plearning.com/blog/5-common-pitfalls-distance-teaching-avoid/;](https://www.3plearning.com/blog/5-common-pitfalls-distance-teaching-avoid/)
3. <https://tophat.com/blog/online-teaching-challenges/>





ინა იმედაშვილი

# მოდო, შეჯავსოთ ჩვენი „თვითშეფასების სათლი“

ერთი აქტივობა მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად

ბავშვებისთვის თვითშეფასება საკრალური და უაღრესად მნიშვნელოვანი რამაა. ადეკვატურ, მაღალ თვითშეფასებაზე დამოკიდებული არა მხოლოდ სასკოლო წარმატებები, არამედ მომავალი ცხოვრებაც.

მოსწავლეთა პრობლემების ყველაზე გავრცელებული მიზეზი სწორედ დაბალი თვითშეფასებაა. მათ უჭირთ საკუთარი თავის პოვნა და მიღება, სხვებისგან გამოცალკევება და განსხვავებულ ინდივიდად აღქმა. ზრდასრულებისთვის თითქოს მარტივია იმის გააზრება, რომ ჩვენ ყველანი სხვადასხვანაირები, ნიჭიერები და საინტერესოები ვართ, რომ ინდივიდუალური მისწრაფებები და ხასიათი, ინდივიდუალური წარმატებები თუ წარუმატებლობები გვხდის უნიკალურებს.

მოსწავლეს ამის აღქმა უჭირს. ის ხშირად ადარებს საკუთარ თავს კლასელს ან მეგობარს, რაც იწვევს ეჭვებს, საკუთარი ძალისა და უნარების უარყო-

ფითად შეფასებას; არ მოსწონს, როგორ გამოიყურება, რა აცვია, სად ცხოვრობს, როგორი მშობლები ჰყავს. საბოლოოდ კი იკეტება, მორცხვი, მორიდებული ხდება.

ასეთი ბავშვები გაკვეთილზე პასიურობენ, ცდილობენ, არ გამოიჩინონ სხვებისგან, არ მოსწონთ ყურადღება და შესაძლოა, ბულინგის მსხვერპლადაც იქცნენ.

ისინი საშინლად მოწყვლადები და ემოციურები არიან, მთელი მათი სამყარო და შინაგანი „მე“ სავსეა შფოთვებითა და შიშებით. ამას თუ დავამატებთ გარშემო მყოფთა არასწორ დამოკიდებულებას, დაცინვას, დატუქსვას, შერცხვენას, შენიშვნის მიცემას, მივიღებთ კიდევ უფრო ჩაკეტილ მოზარდს, რომელსაც საკუთარი თავის რწმენა დაკარგული აქვს, ვერ ახერხებს ნიჭის აღმოჩენასა და რეალიზებას და ამის გამო უბედურად, გარიყულად, უიღბლოდ გრძნობს თავს.

თუ გავითვალისწინებთ გარდატეხის ასაკის ბოზოქარ ხასიათს, საქმე შესაძლოა ტრავმული იყოს კი მივიღეს. თინეიჯერებს უკიდურესობები უყვართ, სამყაროს შავ ფერში დანახვა, განსაკუთრებით კი მათ, რომლებსაც თვითშეფასების პრობლემები აქვთ.

მაღალი თვითშეფასების მქონე ბავშვები ადვილად უმეგობრდებიან სხვებს, მიღწევებით ამყობენ, თავისუფლად გამოთქვამენ მოსაზრებებს, ფიქრობენ მომავალზე, ცდილობენ თავიანთი უნარების გამოამკარავებინ, აქვთ ჰობი, არიან კომუნდობელები და აქტიურები. დაბალი თვითშეფასების მქონე მოსწავლეებს უჭირთ წარუმატებლობასთან გამკლავება, ვერ იაზრებენ წაგებას, შეცდომებს. ამის გამო შესაძლოა მათდამი დამოკიდებულება არ იყოს ჯანსაღი, საბოლოოდ კი მანკიერი წრე გამოდის.

ვფიქრობ, მასწავლებელი უნდა იდგეს მოსწავლეების

**მოსწავლეთა პრობლემების ყველაზე გავრცელებული მიზეზი სწორედ დაბალი თვითშეფასებაა. მათ უჭირთ საკუთარი თავის პოვნა და მიღება, სხვებისგან გამოცალკევება და განსხვავებულ ინდივიდად აღქმა.**

თვითშეფასების სადარაჯოზე, უნდა ზრუნავდეს თითოეული მათგანის განწყობაზე, დამოკიდებულებაზე საკუთარი შეგრძნებების, ემოციების მიმართ.

ინტერნეტში ერთ სახალისო აქტივობას წავაწყდი, რომელიც სწორედ თვითშეფასებაზე მუშაობისას დაგეხმარებათ. აღნიშნული აქტივობა უცხოელი მასწავლებლის/ფსიქოლოგის მიგნებაა, რომელსაც კოლეგებს უზიარებს.

მამ ასე, აქტივობას დაგარქვათ „ჩემი თვითშეფასების სათლი“.

ბავშვებს ვთხოვთ, ფურცელზე დახატონ სათლი (შეგვიძლია, თავად დაფუხატოთ ან გამზადებული შაბლონი მივცეთ, ან დახატვა ვასწავლოთ), სიტყვიერად კი ვეუბნებით, რომ ჩვენ ყველას გვაქვს „თვითშეფასების სათლი“, რომელიც სასგეა ჩვენი საუკეთესო შეგრძნებებითა და ემოციებით, იმით, რაც თავს ბედნიერად გვაგრძნობინებს. ვკითხოთ: რა ახარებთ? რა მოსწონთ მათში მათ შობლებს? მეგობრებს? მასწავლებლებს?


დაახლოებით ასეთი რამ უნდა გამოვიდეს:

შემდეგ ვეუბნებით, რომ შეიძლება, ისეთი რაღაც მოხდეს, რაც სათლს ხვრელებს გაუჩენს და კარგი გრძნობები გარეთ გამოჟონავს. ეს შეიძლება იყოს ის, რაც სხვებს უთქვამთ, ან რასაც შენ ფიქრობ, ან რაც ისე არ გამოვიდა, როგორც შენ გინდოდა. ვთხოვთ მათ, ყველა ის სიტყვა და ფრაზა ჩამოწერონ, რომელიც სათლს ხვრელებს უჩენს.

აი ასე:

მძიმე რამ დაწეროს, რასაც ვერც კი წარმოვიდგენდით. მნიშვნელოვანია, ბავშვებმა გააცნობიერონ, რა სტკენთ გულს. უნდა ვასწავლოთ, საკუთარ ემოციებს, გრძნობებს სახელი დაარქვან.

რა თქმა უნდა, „სათლში“ ხვრელს ვერ დავტოვებთ. ეს მათ თავს უიმედოდ აგრძნობინებდა. უნდა ვეცადოთ, ხვრელები ამოვავსოთ.



უნდა დავრწმუნდეთ, რომ ბავშვებმა ყველა ის გრძნობა გამოხატეს, რაც აწუხებდათ და ამის გამო თავს ცუდად გრძნობდნენ. შესაძლოა, მოსწავლემ ისეთი

ვესაუბროთ იმაზე, რომ არსებობს გზები, რომლებითაც შეიძლება ჩვენს თავს დავგეხმაროთ, რათა უკეთ ვიყოთ მაშინ, როდესაც ჩვენი ვედროდან „გაჟონავა“



ხდება. შესაძლოა, მოსწავლეებს გაუჩნდეთ იდეა, ასეთ შემთხვევებში მასწავლებელს მიმართონ დასახმარებლად. ეს, რა თქმა უნდა, სწორი სტრატეგიაა, მაგრამ ჩვენ უნდა ვასწავლოთ იმის გაცნობიერება, რას ეტყოდნენ ამ დროს საკუთარ თავს და რას მიმოიქმედებდნენ.

თავად სურთ, გამოამუღავნონ შემოქმედებითობა.


### ჩემი თვითმეცხვები ვედრო

ჩემი ვედრო იცხვება:

- როცა მეტობრუნებ ერთად ვთამაშობ.
- როცა მხარს მოჭრუნ.
- ზუშქოდ რომ ვამაშობ.
- ჩემი ველსთვლით სიხრობით.
- ჰიანინობე დავტრით.
- სუვარული ანიმაციის ფუნქციით.
- ვიღო ამჟამის მუტარბრინ ფხიარბებით.
- როცა ზაქებზე.
- ძილის წინ დედისაინ ობიდ ნიჭის კიბხით.

ჩემი ვედროდან ყინავს:

- მეტობრუნე ცუფრი ზეცვლიან.
- ზურბის რიცე ვაბტვ.
- ბოდესე ვარ ვიბარტვებ.
- ბოდესე ჭუი ვარვდ.
- არ გომოდის.
- ჩემბინ დამაშე რიცე არ უნდათ.



ამოვასოთ ზერელეები

- ჩავებეცხუ ღუას დ მამს.
- ვიბამაშებ ნებსბორ ზუშქოდან.
- ხიდხან მგონია, რომ სეტელუსო მეტობრინი ვარ.
- გვიხსენო რიგორ ვუვარვარ მსობლებს.
- იუ ძიინ ვანდებო უტელბდდ ცმომუა.
- გვიხსენო ხიდხან რომ ვიბარტვებ.


### ჩემი თვითმეცხვები ვედრო

ჩემი ვედრო იცხვება:

- როცა მეტობრუნებ ერთად ვთამაშობ.
- როცა მხარს მოჭრუნ.
- ზუშქოდ რომ ვამაშობ.
- ჩემი ველსთვლით სიხრობით.
- ჰიანინობე დავტრით.
- სუვარული ანიმაციის ფუნქციით.
- ვიღო ამჟამის მუტარბრინ ფხიარბებით.
- როცა ზაქებზე.
- ძილის წინ დედისაინ ობიდ ნიჭის კიბხით.

ჩემი ვედროდან ყინავს:

- მეტობრუნე ცუფრი ზეცვლიან.
- ზურბის რიცე ვაბტვ.
- ბოდესე ვარ ვიბარტვებ.
- ბოდესე ჭუი ვარვდ.
- არ გომოდის.
- ჩემბინ დამაშე რიცე არ უნდათ.



ამოვასოთ ზერელეები

- ჩავებეცხუ ღუას დ მამს.
- ვიბამაშებ ნებსბორ ზუშქოდან.
- ხიდხან მგონია, რომ სეტელუსო მეტობრინი ვარ.
- გვიხსენო რიგორ ვუვარვარ მსობლებს.
- იუ ძიინ ვანდებო უტელბდდ ცმომუა.
- გვიხსენო ხიდხან რომ ვიბარტვებ.

**ბავშვებისთვის თვითმეფასება საკრალური და უაღრესად მნიშვნელოვანი რამაა. ადეკვატურ, მაღალ თვითმეფასებაზე დამოკიდებული არა მხოლოდ სასკოლო წარმატებები, არამედ მომავალი ცხოვრებაც.**

ვეცადოთ, ბავშვებთან ერთად ვიპოვოთ ის „საცობები“, სვრელებს რომ დააწმობს. ეს „საცობები“ შეიძლება იყოს იდეები, რომლებიც მათ მაშინ დაეხმარება, როდესაც თავს ცუდად იგრძნობენ. კარგი იქნება, თუ ამ იდეების ავტორები თავად მოსწავლეები იქნებიან.

ეს აქტივობა ბავშვებს დაეხმარება, დაინახონ საკუთარი ძლიერი მხარეები და სირთულეებთან გამკლავება სცადონ.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას მივიღებთ, შეგვიძლია, მივცეთ ნება, ისე გააფორმონ, როგორც





თეკლა კაკანაიძე

# სკოლამდელი აღზრდის მიდგომების გავლენა ბავშვის მიღწევებზე სკოლაში

**სკოლამდელი აღზრდის ფილოსოფიისა და სწავლების მეთოდების განსხვავებულობის მიუხედავად, ბავშვების განვითარება ერთმანეთს ძალიან ჰგავს.**


ჩემი შვილებისთვის საბავშვო ბაღის ძებნა ორი წლის წინ დავიწყე. დავინტერესდი, სად რომელ მეთოდს მიჰყვებოდნენ და თუ შეეძლოთ, გაეზიარებინათ მიმდინარე წლის პროგრამა. ცოტა დაბნეული თანამშრომლებისგან იმდენად ზოგად პასუხებს ვიღებდი, რომ რამდენიმე ცდის შემდეგ კითხვების დასმა შეეწყვიტე და ვენდე დაწესებულებას, რომელიც სახლთან ახლოს მდებარეობდა. ალბათ ბევრი მშობელი იქცევა ასე და ბაღის შერჩევის კრიტერიუმებიდან (ადგილმდებარეობა, გარემო, ფასი, სწავლის მიდგომები, სამუშაო საათები, კვების რაციონი, ჯგუფში ბავშვების რაოდენობა...) ძალიან ცოტა ანიჭებს პრიორიტეტს სასწავლო პროგრამას, რომლითაც აღზრდელები ბავშვებთან ყოველდღიური მუშაობისას უნდა ხელმძღვანელობდნენ. არადა სკოლამდელი აღზრდა და განათლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამომავლო მიღწევებზე სკოლაში.

არსებობს სკოლამდელი განათლების ტრადიციული და ე.წ. ალტერნატიული მიდგომები. მცირერიცხოვანია სამეცნიერო კვლევები იმის შესახებ, რა გავლენას ახდენს სკოლამდელი აღზრდის სხვადასხვა მიდგომა ბავშვის განვითარებაზე და განსხვავდება თუ არა სწავლის შედეგები სწავლების ალტერნატიული მიდგომების მიხედვით.

2022 წელს ჟურნალში „Frontiers in Psychology“ გამოქვეყნდა კვლევა, რომელიც სწავლობდა სკოლამდელი ასაკის ბავშვების დამოკიდებულებებს, სასკოლო მოტივაციასა და აღმასრულებელი ფუნქციების<sup>1</sup> განვითარებას სხვადასხვა ტიპის საბავშვო ბაღში. კვლევის მიზანი იყო ჩვენთვის რესპუბლიკაში სკოლამდელი განათლების სხვადასხვა მიდგომის გავლენის შეფასება

ფსიქოლოგიური ცვლადების კონტექსტში, სადაც აისახებოდა კვლევის მონაწილე ბავშვების ის უნარები, რომლებიც სკოლის სამომავლო მიღწევებს უწყობს ხელს. კვლევის ცვლადი იყო სასკოლო მზაობის ჯგუფის ბავშვების დამოკიდებულებები, მოტივაცია და ძირითადი აღმასრულებელი ფუნქციები. კვლევის ავტორებმა შეადარეს სკოლამდელი განათლების ტრადიციული და ე.წ. ალტერნატიული, სკოლამდელი განათლების პროგრამის შედეგები. კვლევაში მონაწილეობდა 861 ბავშვი, რომლებიც დადიოდნენ ტრადიციულ (84.9%) და ალტერნატიულ (15.1%) – რელიგიურ, მონტესორის და ვალდორფის – საბავშვო ბაღებში. ვინაიდან მონტესორისა და ვალდორფის პედაგოგიური მიდგომები ბევრისთვის კარგად ნაცნობი და საერთაშორისოდ აღიარებულია, მოკლედ შევეხები ტრადიციულ და რელიგიურ საბავშვო ბაღებს, რომლებიც ჩვენთვის რესპუბლიკაში მოქმედებს.

ტრადიციული საბავშვო ბაღები ალტერნატიული ბაღებისგან განსხვავდება მეთოდებით, დაკვირვების ფორმებითა და საგანმანათლებლო სივრცის ორგანიზებით. ტრადიციულ ჯგუფში 24-28 ბავშვია. ეს ინდივიდუალურ მუშაობას ხელს უშლის, ამიტომ აღზრდელები ირჩევენ ყველასთვის ხელმისაწვდომი შინაარსის აქტივობებს. სკოლამდელი განათლება ჩვენთვის რესპუბლიკაში რეგულირდება ჩარჩო პროგრამით, რომელიც განსაზღვრავს სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლების შინაარსს, პირობებს და წესებს. ტრადიციულ საბავშვო ბაღებს აქვთ საერთო მახასიათებლები, რომლებიც ეფუძნება სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ჩვენთვის სკოლამდელი განათლების ისტორიულ კონტექსტს. მიუხედა-



**მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი ტიპის საბავშვო ბაღს ბავშვები დადებითად აღიქვამენ და ყველა საკმარისად ავითარებს აღმასრულებელ ფუნქციებთან დაკავშირებულ ყველა სფეროს, ალტერნატიული სკოლამდელი განათლება მეტი წარმატებით ამზადებს ბავშვებს მომავლისთვის.**

ვად ამისა, ბაღებს შეუძლიათ აირჩიონ სწავლების მიდგომები. მთელი სასწავლო პროცესი კი დამოკიდებულია აღმზრდელის მითითებებსა და სწავლების რიტმზე.

რელიგიური სკოლების დაარსება ჩვენთვის მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ეკლესიებსა თუ რელიგიურ თემებს შეუძლიათ. მათი მიდგომები ემსახურება რელიგიურ განათლებას და მორალს (ქრისტიანობას, იუდაიზმს და ა.შ.). ჩვენთვის რესპუბლიკაში ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებებში უმეტესად ქრისტიანული საბავშვო ბაღები ქარბობს და ტრადიციულისგან ის გამოარჩევს, რომ დღის განმავლობაში იქ ლოცვებს კითხულობენ და რელიგიურ დღესასწაულებს (აღდგომა, შობა...) აღნიშნავენ.

სკოლამდელი აღზრდის ფილოსოფიისა და სწავლების მეთოდების განსხვავებულობის მიუხედავად, ბავშვების განვითარება ერთმანეთს ძალიან ჰგავს. კვლევამ მხოლოდ მინიმალური განსხვავება გამოავლინა ჩვენთვის რესპუბლიკის სხვადასხვა ტიპის საბავშვო ბაღებს შორის სასკოლო მიღწევებთან (ბავშვების დამოკიდებულება საბავშვო ბაღის მიმართ, მთავარი აღმასრულებელი ფუნქციები, სკოლაში სწავლის მოტივაცია)

მიმართებით. ამავე დროს სხვადასხვა ტიპის საბავშვო ბაღებს აქვთ სპეციფიკური ძლიერი მხარეებიც. მაგალითად, მონტესორის განათლება ყველაზე დადებითად აღიქმება ბავშვების მიერ და ხელს უწყობს მიღწევებზე ორიენტირებულ აღმასრულებელ მოტივაციას, ხოლო ვალდორფის მიდგომა ხასიათდება საუკეთესო შედეგებით აღმასრულებელი ფუნქციების განვითარების თვალსაზრისით.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი ტიპის საბავშვო ბაღს ბავშვები დადებითად აღიქვამენ და ყველა საკმარისად ავითარებს აღმასრულებელ ფუნქციებთან დაკავშირებულ ყველა სფეროს, ალტერნატიული სკოლამდელი განათლება მეტი წარმატებით ამზადებს ბავშვებს მომავლისთვის.



**შენიშვნა:**

1 აღმასრულებელი ფუნქცია არის კონსტრუქტული, რომელიც ეხება ურთიერთდაკავშირებულ ნეიროფსიქოლოგიურ ფუნქციებს და ჩართულია ისეთი კოგნიტიური, ქცევითი და ემოციური ფუნქციების წარმართვაში, რეგულირებასა და მართვაში, რომლებიც მნიშვნელოვანია აკადემიური და ცხოვრებისეული წარმატებისთვის. ეს პროცესები ბავშვობაში ვითარდება. განსაკუთრებით სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ყურადღება ეთმობა თვითრეგულაციას, იმპულსების კონტროლს, სამუშაო მეხსიერებას და გონებრივ მოქნილობას. თუმცა ასევე არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვითაც სკოლამდელი ასაკის ბავშვები აჩვენებენ დაგეგმვის, ორგანიზებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარებსაც. მრავალი კვლევა ადასტურებს მჭიდრო კავშირს სასკოლო მიღწევებსა და აღმასრულებელ ფუნქციებს შორის.



ქეთევან კობალაძე

# „არასწორი აღზრდის ნესები“

**ჯანსაღი ემოციური უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა ადრეული ბავშვობიდანვე აუცილებელია. ბავშვების მიერ გრძნობების გამოხატვის უნარ-ჩვევების შემუშავება კი არის შესაძლებლობა, ისწავლონ იმ ემოციებთან გამკლავება, რომლებიც აუცილებლად გაუჩნდებათ ცხოვრების განმავლობაში.**

ჰებერ შუმეიკერი ცნობილი ამერიკელი ავტორი და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის საკითხების ექსპერტია. სწავლობდა სოციოლოგიასა და ანთროპოლოგიას. 1996 წლიდან დაიწყო პროფესიული მოღვაწეობა. წერს სტატიებს რადიოსა და ჟურნალ-გაზეთებისთვის, თანამშრომლობს ისეთ გამოცემებთან, როგორებიცაა „ნიუ-იორკ პოსტი“, „ჰაფინგტონ პოსტი“ და სხვა. არის ორი წიგნის ავტორი, რომლებიც, როგორც თავად ამბობს, „არასწორ აღზრდას“ ეძღვნება. მისთვის საყრდენი გახდა მის მშობლიურ ქალაქ კოლამბუსში (შტატი ოჰაიო) მოქმედი უნიკალური საბავშვო ბაღის ფილოსოფია, რომელიც თავისუფალ, არასტრუქტურირებულ თამაშებს უწევს პროპაგანდას.

მაგალითი წიგნიდან: ოთხი წლის მეთიუს ძალიან არ უნდოდა საბავშვო ბაღში სიარული. ის მთელ თავის ბრავს დედაზე აფრქვევდა და როდესაც მშობელმა მაინც მიიყვანა ბაღში, ხელიც კი დაარტყა. დედა შეწუხდა, მაგრამ მაინც არ მისცა შენიშვნა შვილს. სამაგიეროდ, აღმზრდელმა, რომელმაც ეს ყველაფერი დაინახა, ხმამაღლა და მტკიცედ მიმართა პატარას: „დაიხსოვე, ადამიანების ცემა არ შეიძლება. შეგიძლია გაბრაზდე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა სცემო დედას და არც ვინმე სხვას!“

„მრისხანება, წყენა, შიში – ეს ყველაფერი ნორმალური ემოციური რეაქციებია, – წერს ავტორი, – ბავშვებს უნდა აჩვენოთ, როგორ გამოხატონ მსგავსი გრძნობები. მშობლები ხშირად ამბობენ: „მე უბრალოდ მინდა, ჩემი შვილი ბედნიერი იყოს“. ჭეშმარიტი ბედნიერება არ გულისხმობს, რომ ბავშვი გამუდმებით უნდა განიცდიდეს ამ მდგომარეობას. ბედნიერება – ეს არის ადამიანური ემოციების სრული დიაპაზონის მართვის

უნარი. შესაძლებელია, ბავშვს ეს უნარ-ჩვევა დავასწავლოთ“.

„იმ საბავშვო ბაღში, რომელშიც თავად დავდიოდი, – იხსენებს ჰებერ შუმეიკერი, – იატაკზე ფეხმორთხმულები ვისხედით და ასეთ სიმღერას ვმღეროდით: „თუ ბედნიერებას განიცდი, ტაში შემოჰკარი“, „თუ ბედნიერებას განიცდი, შენს სახეზე ღიმილი გამოისახება“. ამას რამდენჯერმე ვიმეორებდით. მერე კი სიმღერა ასე გრძელდებოდა: „თუ გაბრაზებული ხარ, იატაკზე ფეხები აბაკუნე“.

ეს საბავშვო კლასიკაა და მას შეუძლია, პატარას ცხოვრებისეული ემოციების გამოხატვის მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინოს. სიმღერის სიტყვები იცვლება იმის მიხედვით, თუ ვინ ასრულებს მას და რა ემოციას განიცდის. ბავშვმა შესაძლოა კიდევ იტიროს, როდესაც მისი „კუპლეტი სევდიანია“ („თუ მოიწყინე, შეგიძლია იტირო“). ეს სიმღერა პატარებს ნებისმიერი ემოციის გამოსახატავად გამოადგებათ. „თუ გვიშინია, შეგიძლია უფროსს გაუზიარო“.

უნდა ითქვას, რომ სიმღერის თანამედროვე ვერსიებში ძირითადად მხოლოდ ბედნიერებაზე ამღერებენ პატარებს. ისე გამოდის, თითქოს უფროსების მიზანია, მთელი სამყარო აიძულონ, მუდამ იღიმოდეს.

სინამდვილეში უფროსებს არ შეუძლიათ, ყოველ წამს ბედნიერებას განიცდიდნენ და ისიც მშვენივრად უწყიან, რომ არც ბავშვები არიან ბედნიერების უწყვეტად გაცდის რეჟიმში. პატარებს შეუძლიათ, უცერად დიდი აღფრთოვანებით გამოხატონ სიხარული და ასევე სწრაფად და ასეთივე სიმძაფრით „გადაერთონ“ მრისხანების

განცდაზე. სწორედ ამიტომ ვცდილობთ, ვასწავლოთ მათ, სიტყვების დახმარებით ჩაანშონ საკუთარი „არასწორი“ ემოციები. უფროსები უზნებთან შვილებს/ალსაზრდელს: „რა გატირებს? შენ ხომ უკვე დიდი ბიჭი/გოგო ხარ!“ ან: „ეს ცუდია, ასე არ უნდა გამოხატავდე გრძობებს/ემოციებს“. სინამდვილეში მშობლებმა უნდა ისწავლონ შვილების უსიამოვნო ემოციების მიღება, განსაკუთრებით – თუ ისინი თავად მშობლებისკენ არის მიმართული. ბავშვები ტირიან, ბრაზობენ, მშობლებს ებღაუჭებიან, ჭირვეულობენ, წუწუნებენ. უფროსებმა უნდა გაუგონ შვილებს, მიიღონ მათგან გრძობების ამგვარი გამოხატვა, მაგრამ არაფრით არ უნდა შეუფერხდნენ შვილების ანტისოციალურ საქციელს. მათ ერთგვარად უნდა აკონტროლონ პატარების ქცევები. თქვენ წარმოიდგინეთ, კონტროლი ბედნიერების გამოხატვის დროსაც კი საჭიროა.

„არასწორი წესების“ სარგებელი: გრძობების მიმღებლობისა და ემოციური უნარ-ჩვევების სწავლა ბავშვს რაღაც ისეთს შესძენს, რაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში გამოადგება.

- ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ:
  - გრძობების დამალვა არ არის საჭირო.
  - არ არის სავალდებულო, გამუდმებით ბედნიერებას განიცდიდე. მშობლებს და სხვა ახლობელ ადამიანებს მაინც ეყვარები.
  - ნებისმიერი განცდა შეიძლება დაგეუფლოს (უბედურება, ბრაზი, მრისხანება, სასოწარკვეთა, მარტოობა...). ეს ნორმალურია.
  - გრძობები მოდიან და მიდიან.
  - „ადამიანები მისმენენ, რადგან ჩემი შეგრძნებები და ფიქრები მათთვის მნიშვნელოვანია“.
  - „მე ვიცი, როგორ გამოვხატო საკუთარი გრძობები ისე, რომ სხვა ადამიანს ზიანი არ მივაყენო და არც უსულო საგნები დავაზიანო“.

პატარა ბავშვები გრძობების სამყაროში ცხოვრობენ. ორი წლის პატარა, რომელიც ადამიანებს სათამაშოებს ესვრის და ყვირის, ძალიან გაბრაზებულია და, სავარაუდოდ, ამავე დროს – შეშინებული, უმართავი და თავგზააზნეულიც. მას არ შეუძლია მოზღვავებული, თავს დატყეხილი ემოციების მართვა. ეს უფროსების მოვალეობაა. სწორედ მშობლებსა და აღმზრდელს შეუძ-

ლიათ, განუვითარონ ბავშვებს ადაპტაციის უნარ-ჩვევები. პატარები თანდათანობით, ნელ-ნელა, სკოლამდელი ასაკიდანვე სწავლობენ ძლიერი ემოციების შეკავებას მათი იდენტიფიცირების, მიღებისა და მათთვის გარკვეული მიმართულების მიცემის მეშვეობით“.

ემოციები და ქმედებები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული, მაგრამ მათში გასარკვევად განცალკევება მაინც საჭიროა. როგორც ბავშვთა ფსიქოლოგი ჰაიმ ჯ. ჯაინოტი წერს ბესტსელერად აღიარებულ წიგნში „მშობელსა და შვილს შორის“, ბავშვობისას დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემების უმეტესობა გრძობებსა და ქმედებებს უკავშირდება, ამიტომ ისინი ინდივიდუალურ, პერსონალურ განხილვას ექვემდებარება. გრძობები ბავშვმა უნდა აღწეროს და გამოხატოს. ქცევები კი საჭიროა გარკვეულწილად შეიზღუდოს და გადამისამართდეს. უფროსის მთავარი ამოცანაა, დაეხმაროს ბავშვს გრძობების გამოსახატავად მისაღები ხერხების პოვნაში. ორი წლის პატარა, რომელიც სათამაშოებს ისვრის, უნდა შეაჩერონ, რომ ვინმე ან რამე არ დაზიანოს, მაგრამ მას აუცილებლად უნდა მიეცეს თავისი გრძობების გამოხატვის საშუალება.

„ბავშვის ემოციებს შეუძლია, უფროსებში უმართავობის განცდა გააჩინოს, ამიტომ მშობლები და აღმზრდელნი იმ ქცევებზე უნდა კონცენტრირდნენ, რომელთა მართვაც შეუძლიათ. უფროსებმა უნდა შეაჩერონ ბავშვის მიუღებელი ქცევა, მაგრამ არ შეიძლება, პატარას გრძობების გამოხატვა შეიზღუდოს. ამა თუ იმ გრძობის გარეთ გამოტანა, მისი არსებობის უფლების დადასტურება – ბრაზი იქნება თუ წყენა – არავითარ შემთხვევაში არ აძლიერებს მას. არასასურველი გრძობები ვერ გაქრება მხოლოდ იმიტომ, რომ უფროსებს ასე სურთ. შეუძლებელია, ბავშვს უფროსების სურვილის შესაბამისი რაიმე გრძობა გაუჩნდეს. ეს ფაქტი უფროსისთვის ანბანურ ჭეშმარიტებად უნდა იქცეს“.

„საყოველთაოდ ცნობილია, რომ არავის მოსწონს, როცა შეშინებული ან უბედურია, – განაგრძობს ჰენრი უმეიკერი, – არც მარტოსულობა, ბრაზი, ნერვების აშლა და მუდმივად გაღიზიანებულ მდგომარეობაში ყოფნა ნიბლავს ვინმეს. ამ და მსგავსი განცდებისგან გათავისუფლების ერთ-



**ემოციები „გონების არქიტექტორები არიან“. ასე ფიქრობენ ფსიქიატრები, რომლებმაც კვლევებზე დაყრდნობით დაადგინეს ემოციების უდიდესი გავლენა ბავშვის თავის ტვინის განვითარებაზე.**

ერთი საუკეთესო ხერხი კი მათზე საუბარია. სამწუხაროდ, უფროსები ხშირად უარყოფენ ან, საუკეთესო შემთხვევაში, ცდილობენ შეამცირონ უარყოფითი განცდები. ეს ეხება შვილების განცდებსაც. მშობლები/უფროსები ეუბნებიან შეწუხებულ, დამწუხრებულ პატარას: „არა უშავს, ეს არც ისე მტკივნეულია, ნუ ტირი!“ ან „ნუ მელაპარაკები ასეთი ტონით“. აი, კიდევ ერთი ფრაზა, რომელსაც დაუფიქრებლად იყენებენ უფროსები: „ნუ აზვიადებ, სინამდვილეში ხომ ასე სულაც არ ფიქრობ/განიცდი“. ზოგ შემთხვევაში უფროსებს უბრალოდ ძალიან უნდათ, რაც შეიძლება მალე გათავისუფლდნენ ნეგატიური გრძნობებისგან

და ამით ყველაფერი გამოასწორონ. შესაძლოა, მშობლები/უფროსები იმიტომ უარყოფენ შვილების ნეგატიურ განცდებს, რომ ეს მათთვისაც ძალიან უსიამოვნოა.

ფსიქოლოგები ფიქრობენ, რომ მსგავსი მეთოდები მცდარია და მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია როგორც უფროსებისთვის, ისე ბავშვებისთვისაც. ყველას აქვს უფლება, გამოხატოს საკუთარი განცდები და გრძნობები – როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიურიც. თუ ჩვენ ვასწავლით პატარებს, მხოლოდ დადებითი გრძნობები გამოხატონ, ამით უგულვებელყოფთ ბავშვის პიროვნების ნაწილს, რომელიც ყოველთვის პოზიტიურ განცდებში არ არის. დადგენილი ქვეყნებისთვის, რომ დათრგუნული გრძნობები და განცდები არ ქრება – ისინი, ასე ვთქვათ, მხოლოდ დროებით „იმალებიან“. ღრმად ჩაბუდებულ ნეგატიურ განცდებს შეუძლია, სამუდამოდ მოშალოს მოზარდის, მერე კი უკვე ზრდასრული ადამიანის სოციალური კავშირები. ემოციები „გონების არქიტექტორები არიან“. ასე ფიქრობენ ფსიქიატრები, რომლებმაც კვლევებზე დაყრდნობით დაადგინეს ემოციების უდიდესი გავლენა ბავშვის თავის ტვინის განვითარებაზე. როდესაც პატარები მრავალფეროვან გრძნობებს განიცდიან, მათ გონებაში სასიცოცხლოდ აუცილებელი შესაბამისი კავშირები ვითარდება“.

ჯანსაღი ემოციური უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა ადრეული ბავშვობიდანვე აუცილებელია. ბავშვების მიერ გრძნობების გამოხატვის უნარ-ჩვევების შემუშავება კი არის შესაძლებლობა, ისწავლონ იმ ემოციებთან გამკლავება, რომლებიც აუცილებლად გაუჩნდებათ ცხოვრების განმავლობაში.







ქეთევან ოსიაშვილი

# როგორ ვასწავლოთ ბავშვს წესების დაცვა

უნდა ვთხოვეთ ბავშვს წესების დაცვას?

როცა სასკოლო ასაკზე საუბარი, ვფიქრობ, საკამათო არაფერია. ყველა დამეთანხმება, რომ უამისოდ ძნელია წარმატებულად საუბარი. მაგრამ განვითარების ადრეული პერიოდი ბევრისთვის თავისუფლებასთან ასოცირდება. მათ წესების დაცვა შესაძლოა ზედმეტადაც კი მიიჩნიონ. წესები, მათი აზრით, ზღუდავს ბავშვის თავისუფლებას და აფერხებს განვითარებას – თავისუფლება ხომ ბავშვის წარმატებული განვითარების გასაღებია.

თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ბავშვის სრულყოფილი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავისუფლება, არამედ განსაზღვრული სახის აკრძალვები და შეზღუდვებიც. ისინი საჭიროა არა მხოლოდ უსაფრთხოებისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ ბავშვმა გაიგოს, როგორ არის მოწყობილი სამყარო და როგორ უნდა ურთიერთობდეს მასთან. წარმატებული აღზრდა აუცილებლად მოიწოდებს ბა-

ლანსის დაცვას თავისუფლება-სა და აკრძალვებს, შეზღუდვებს შორის, ეს კი განსაზღვრული წესების დაცვის გარეშე ვერ მიიღწევა.

კარგი იქნება, თუ უმარტივესი წესების დაცვის უნარს ბავშვს ადრეული ასაკიდანვე გამოვუმუშავებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლაში მისულს ძალიან გაუჭირდება ახალ გარემოსთან ადაპტირება და სკოლა მისთვის საყვარელ ადგილად ვერ იქცევა, რადგან იქ მას უამრავი წესის დაცვას მოსთხოვენ.

### რეკომენდაციები:

როგორ ვასწავლოთ ბავშვს წესების დაცვა

ჩვენ მიერ შეთავაზებული წესები ბავშვისთვის გასაგები უნდა იყოს. დავრწმუნდეთ, რომ ბავშვი გვისმენს და გავაცნოთ ეს წესი მისთვის გასაგებ ენაზე. გვახსოვდეს, რომ პატარას გარკვეული დრო სჭირდება ახალი წესის გასაცნობიერებლად და ასათვისებლად, ამიტომ სწრაფ ეფექტს ნუ მოველით.

ნუ დავუდგენთ ბავშვს მეტისმეტად ბევრ წესს.

პატარას ჯერ კიდევ არ ესმის ბოლომდე მოთხოვნებისა და შეზღუდვების მნიშვნელობა. ამიტომ თავდაპირველად მან მცირე რაოდენობის წესების დაცვა უნდა ისწავლოს.

უმჯობესია, წესები ეტაპობრივად შემოვიღოთ. ახალი წესი მხოლოდ მას შემდეგ შევთავაზოთ, რაც ადრე მიწოდებულს დაეუფლება. ასე უფრო ადვილად დაიმახსოვრებს ყველაფერს და არ დაიბნევა.

წესების ფორმულირებისას ნაკლებად გამოვიყენოთ სიტყვები „არ შეიძლება“. რაც უფრო იშვიათად ვიყენებთ სიტყვას „არა“, მით მეტი წონა აქვს მას საჭირო დროს. თუ ბავშვს დედასთან ერთად სეირნობისას გამუდმებით ესმის: „ნუ დარბიხარ – წაიქცევი“; „ძალს ხელი არ ახლო – რწყილები ეყოლება“; „გუბებში ნუ დგები – მოითხუპნები“, ბუნებრივად უჩნდება კითხვა: „აბა, რა შეიძლება?“ ძნელი წარმოსადგენია პარკში მშვიდად მოსეირნე სამი წლის ბავშვი. თუ აკრძალვების ტოტალური სისტემა

**ვეცადოთ, ვიყოთ ბავშვთან უფრო ახლოს, მეტი დრო გავატაროთ მასთან ერთად – ამ შემთხვევაში ალბათ ძალიან ცოტა აკრძალვა და წესი იქნება საჭირო, საკამათო საკითხებზე კი ადვილად შევთანხმდებით.**

სახლშიც არ ასვენებს პატარას, სურვილის მიუხედავად, ძალიან გაუჭირდება უფროსების მოთხოვნების შესრულება. და ვინაიდან „მისია შეუსრულებელია“, ცდაც კი არ ღირს. შედეგად ბავშვი უკონტროლო ხდება.

წესების ფორმულირებისას გავითვალისწინოთ ბავშვის ასაკი. უფროსების მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს მის შესაძლებლობებს, ადვილად აღქმადი და გასაგები უნდა იყოს; მაგალითად, 4-5 წლის ბავშვს არ შეუძლია, ექიმთან შეხვედრის მოლოდინში თუნდაც 15 წუთი მშვიდად იჯდეს, ამიტომ მოუსვენრობისთვის მისი გაკიცხვა უსამართლობა იქნება.

ერთი წლის ასაკიდან ბავშვს შეუძლია მარტივი ინსტრუქციების გაგება, მაგრამ მისი მებსიერება ჯერ კიდევ ძალიან სუსტია. მას არ შეუძლია, დაიცვას წესები, რომლებიც თითქოს უკვე კარგად ჰქონდა ათვისებული. იმპულსურობა, თავშეუკავებლობა ხელს უშლის ცნობისმოყვარეობა, სიახლის წყურვილი წარმართავს პატარას ქცევას, სუსტად განვითარებული ნებელობა კი საშუალებას არ აძლევს, თავი შეიკავოს აკრძალული ქმედებებისგან. ამიტომ, სკოლამდელი ასაკის ბავშვს პერიოდულად უნდა შევახსენოთ, რა შეიძლება და რა – არა.

ბავშვთან ურთიერთობისას ვიყოთ გულწრფელი, მტკიცე და თავდაჯერებული. თუ მან იგრძნო ჩვენი სიყალბე და მერყეობა, ყველანაირად ეცდება იმის გაკეთებას, რაც სურს, სანამ

არ „დაგნებდებით“. ბავშვთან ამგვარი ურთიერთობა იქამდე მიგვიყვანს, რომ ის კვლავ და კვლავ გამოგვცდის სიმტკიცეში, ამიტომ უარი ვუთხრათ თავდაჯერებულად, მტკიცედ, მოვერიდოთ ამ დროს ღიმილს, რადგან ღიმილიანი მზერა ბავშვისთვის გულისხმობს შემდეგს: „ჩემო საყვარელო, „არას“ კი გუუბნები, მაგრამ ჩემი გადარწმუნება ყოველთვის შეიძლება“. აღმზრდელის მერყეობა უარყოფითად აისახება ბავშვზე. მას სჭირდება საკუთარ თავში დარწმუნებული უფროსი, რომელმაც იცის, რას და რისთვის აკეთებს.

იმისთვის, რომ მოთხოვნები ქმედითი იყოს, საჭიროა უფროსების შეთანხმებული მოქმედება. მოთხოვნები უნდა დაიცვას ოჯახის ყველა წევრმა – თუ დედა ბავშვს რამეს უკრძალავს, მამა კი – არა, ნაკლებსავარაუდოა, პატარამ ეს მოთხოვნა შეასრულოს.

აუცილებელია თანმიმდევრულობაც. ამ შემთხვევაში ბავშვი დაცულად იგრძნობს თავს და გააცნობიერებს არჩევანის შედეგებს. ადრე თუ გვიან ის ისწავლის წესების დაცვას; ჩვენი ამოცანაა, ეს პროცესი მას მაქსიმალურად გავუადვილოთ.

მნიშვნელობა არ აქვს, ბავშვი ერთი წლისაა, სამის თუ ხუთის – ყოველ ჯერზე, როცა მას რამეს ვუკრძალავთ ან მორჩილებას ვთხოვთ, სასურველია, ჩავხედოთ თვალში – ეს ჩვენს სიტყვებს უფრო მეტ წონას შესძენს. გვახსოვდეს: როცა არ ვუყურებთ, არ გვისმენენ. საუბარი

ადამიანთან, რომელიც არ გვიყურებს, ნამდვილად არ არის ადვილი. ალბათ ვიფიქრებთ, რომ ის თავის პრობლემებზე ფიქრობს ან რამეზე ოცნებობს, ჩვენ კი საერთოდ არ ვედარდებით. თვალში ჩახედვით ჩვენ ვეხმარებით ბავშვს, ფოკუსირება მოახდინოს ჩვენს სიტყვებზე. უაზრობაა მეზობელი ოთახიდან განკარგულებების გაცემა. ასეთ დროს პატარამ ყოველთვის შეიძლება თავი ისე მოგვაჩვენოს, რომ ჩვენი ნათქვამი არ ესმის.

როცა ბავშვი ბრაზობს, ბობოქრობს, ვუთხრათ, რომ ათამდე დავითვლით, რათა დამშვიდება ვადროვოთ. თუ ბოლომდე დავითვალეთ, ის კი ისევ ბობოქრობს, შეგვიძლია, განსაზღვრული აკრძალვები დავუწესოთ. ეს ხერხი ეფექტურია ორ წელზე უფროსი ასაკის ბავშვებისთვის.

როდესაც ჩვენი პატარა მართლა აუტანლად იქცევა, საუკეთესო გამოსავალი იქნება მისი ცოტა ხნით მარტო დატოვება. ასეთი იძულებითი ტაიმ-აუტი სერიოზული სასჯელია ბავშვისთვის. თამაშის აკრძალვა და ერთ ადგილას ჯდომა მოსაწყენია მისთვის. მითითებული დროის გასვლის შემდეგ გავარკვიოთ, გააცნობიერა თუ არა, რისთვისაც დაისაჯა.

მივცეთ ბავშვს არჩევანის თავისუფლება, მაგრამ შევთავაზოთ გონივრული არჩევანი. მკაცრი წესები, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებზე უნდა გავრცელდეს. ისეთ სფეროებში



# განათლება – თავისუფლებაა!



[www.mastsavlebeli.ge](http://www.mastsavlebeli.ge)

მეზუთე კლასში ვიყავი. ჩემს ბავშვობაში ოთხი კლასი ითვლებოდა დაწყებით საფეხურად. შემდეგ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები გვასწავლიდნენ. ქართულის მასწავლებლად შეგვირჩიეს ბატონი დემურ ძიძიგური. ამ სტატიას მას ვუძღვნი.

სექტემბერში დაიწყო სასწავლო წელი. პირველ შეხვედრაზე გაგვეცნო და არდადეგების შესახებ გვკითხა. მომდევნო ვაკეეთილისთვის არასაპროგრამო დავალეხა მოგვცა.

დავიჩვიე, რამ მოაფიქრა ეს სათაური-მეთქი, როცა მაგიდასთან დავჯექი, ბევრივე მოვიკრიბე ყურადღება და მერთულა. ერთხანს ვაკაკუნე მაგიდაზე ავტოკალამი და ვიქექე თავი. დავიწყე წერა, მაშინვე გადავხაზე; ისევ შევეცადე – უფრო გადავვლახე. თვალი დავხუჭე, იქნებ წარმოვიდგინო მაინც, როგორც დავალების პირობა მოითხოვს-მეთქი, მაგრამ ამაოდ. ერთფეროვანი კოორპუსების, ასფალტის გზისა და ტრანსპორტის მეტი ვერაფერი დავინახე - იმისა, რისგანაც შედგება ქალაქი. „ამას ხომ არ დავწერ, ეს რა სამყაროა, ესაა ბუნება?! სხვა დავალება მოეცა, თუნდაც მთელ წიგნს წავიკითხავდი...“ – ვწუწუნებდი.

გაბუტული წამოვდექი და გულის გასაგრილებლად ფანჯრიდან თავი გადავყავი. სექტემბრის ნიაგი შემომეგება, ჯერ გამაღიმა, მერე ამომქოქა, აი, ზუსტად ისე, როგორც მექანიზმს მომართავს ძრავა, და ჩემს თავს აქამდე უცნობი რამ დატრიალდა – ფანტაზიის ციბრუტი.

გონებით ავედი მაღლა, იმდენად მაღლა, რომ თვალსაწიერში

მოხვდა ქალაქი და სოფელი ერთად. აი, ჩემი ფანჯრიდან დანახული სამყარო-მეთქი, – სიხარულით ავცქმუტდი, იქვე, რაფაზე გადმოვიტანე რვეული და წერას შევუდექი, სწრაფად, გაუჩერებლად...

სამყარო შევადარე ქორწილს. ალვის ხეები, როგორც მყარები, მიაკილებდნენ ტაძრისკენ ატმისა და ტყემლის აყვავებულ წყვილს

ამდენი ხე ჩანდა ჩემი ფანჯრიდან. სისულელედ ჩამეთვლება და შევრცხები-მეთქი.

იცით, რამ გადამარჩინა? – გადაჭარბებულად ვგრძნობდი პასუხისმგებლობას და ვიცოდი, ის უფრო დამტანჯავდა, რომ დავალების შეუსრულებლობის გამო შევრცხებოდი ახალ მასწავლებელთან. რაც არის, არის-მეთქი და წარვადგინე.

იქმყოფების ყურადღება მოუთხოვია, წაუკითხავს ეს მოძირო ტექსტი – ეს სოფიო კუბლაშვილის დაწერილია, ამ ბავშვს წერა შეუძლიაო, და ვიბეჭდი ჩაუდვია საფულადგულოდ დაკეცილი. ის ფურცელი სკოლის დამთავრებისას დამიბრუნა დემური მასწავლებელმა. ის უფროთხილდებოდა, მე – აღარ!

რისთვის ვწერ და ვიგონებ ამ ამბავს?

## სოფიო კუბლაშვილი

# შენ რას ხედავ?



– ნეფესა და პატარძალს. ვარდისფერი ფრილა კაბითა და თეთრი ჩოხით შემოსილ ქალ-ვაჟს გვერდს უშვებდნენ კვირტიბგამოსმული მეფეგარეები – ვაშლი და მსხალი. იყო ყიჟინა და მხიარულება, ისმოდა საქორწილო მარში... გზა იყო მოფარდაგებული და შენობები თავს უკრავდნენ მაყრიონს...

ეს დავწერე სხვაგვარად. სულ რაღაც ათამდე სტრიქონი. ამოვგლიჯე შუა ფურცელი და ზედ გადავწერე ლამაზად. მასხოვს, რომ ცოცხანობდი წაკითხვას, იმიტომ რომ არც გაზაფხული იყო და არც

რა მოხდა გაკვეთილზე:

მასხოვს, პირველ მერხთან ვიჯექი. გატრუნული. ნაღვლიანი სახით. დაწუნების მოლოდინით. მოვიდა ჩემი ჯერი. გაუბედავად ჩავიკითხე. თავი ვერ აწვიე. მისი ხელი მასხოვს, როგორ გამომართვა ფურცელი, და ხმა: ყოჩაღ! გავოცდი. მერე გვთხოვა მის დაბრუნებამდე ჩუმად ყოფნა და გავიდა საკლასო ოთახიდან. მალევე დაბრუნდა. ფურცელი აღარ ეჭირა.

შესვენებზე დამრიგებელმა, ქალბატონმა ცისანამ, მიაშო, რა ამაცად შესულა სამასწავლებლოში,

მასწავლებელს შეუძლია, დაძრას აზრის ისეთი ნაკადი მოსწავლის გონებაში, რომ მოიზიდოს ნიჭი და შრომის უნარი. მასწავლებელს შეუძლია, აღმოაჩინოს მოსწავლეს საუკეთესო ინტერესები და უფრო მეტიც, აარჩევინოს მართებული, გამართლებული წარმატების გზა.

ოღონდ დავალების პირობა უნდა იყოს ზუსტი და მკაფიო. თუნდაც ასეთი:

ფართოდ გამოაღეთ ფანჯარა და გადახედეთ. რასაც დაინახავთ, ისაა თქვენი სამყარო! შენ რას ხედავ?

„შენ ალბათ ამოცანის შინაარსი არ მოგწონს, არა?“ – ეკითხება ჯერი დარელს მისი ძმის მეგობარი და მასწავლებელი ჯორჯი მათემატიკის გაკვეთილზე და ცდილობს, მარტივი არითმეტიკა არა მშენებლების, არამედ მუხლუხობების მაგალითზე ასწავლოს, იმის გათვალისწინებით, რომ ბიჭი

ჭკმარიტი ხელოვნების ნიმუშები იყო“, – ჰყვება ჯერი დარელი და ხსნის, რა აქცევდა ათი წლის ბიჭის და მისი ახალგაზრდა მასწავლებლის მიერ დახატულ რუკებს ხელოვნების ნიმუშებად.

„ამ რუკებზე სიცოცხლე იყო, მათზე შეიძლებოდა რამე გესწავლა, ჩაფიქრებულიყავი და კიდევ

ძანა“, – ესეც ისტორიის სწავლების მაგალითი.

მიხედვებით, რომ ჯერი დარელი ცნობილი საბავშვო წიგნის ავტორი და ამავდროულად გიორგი წიგნი, რომელსაც „ჩემი ოჯახი და სხვა ცხოველები“ ჰქვია, ჩემს შვილებს ვუკითხავ და არც კი ვიცი, მერამდენად ვარ აღფრთოვანებული მისით.

პირველად რომ წავიკითხე, მეც ჩემი გოგონების ასაკის ვიქნებოდი და მახსოვს, ყველაზე მეტად იმ ადგილმა მომწონდა, სადაც ჯერის ოჯახი სამშობლო მიიჩნევს კუნძულ კორფუს ეკლესიაში სიწმინდების მთხვევას ინფექციების გავრცელებისა და გადადების საფრთხის გამო.

იმ დროს პანდემია ჯერ კიდევ შორს იყო და ჩემ გარშემო არავინ აყენებდა ეჭვს ამ წმინდა რიტუალის უსაფრთხოებას. კარგი წიგნი ალბათ ისაა, სადაც ყოველ ჯერზე ახალ ხელმოსაჭიდს იპოვი და ამჯერად ეს ჯერის „ჰოუმსტულინი“ აღმოჩნდა. ჯერი ჰყვება, როგორ გადაინაცვლა გაკვეთილებმა ზეთისხილის ბაღებში და ზღვის სანაპიროზე იმის გამო, რომ ბიჭს სახლში სულ ჩიტებზე ჭრიჭინებსა და მწერებზე ეფიქრებოდა.

ჩემმა შვილებმა თქვეს, რომ ისინიც სიამოვნებით დაესწრებოდნენ ასეთ გაკვეთილებს და ყველაფერს, სულ ყველაფერს ისწავლიდნენ ასეთი მასწავლებლის ხელში. მერე ჩიოდნენ, რომ სკოლაში ერთ ოთახში დიდხანს ჯდომა რთულია, გარე აქტივობა ცოტა აქვთ, საერთოდ, ქალაქში ბავშვების ცხოვრება უფრო მოსაწყენია, ვიდრე, მაგალითად, კუნძულ კორფუსზე ან რომელიმე ტყისპირა დასახლებაში, სადაც ბავშვებს შეუძლიათ მდინარეში ბანაობა, სანაპიროზე სეირნობა, ცხენით ჯირითი, კენკრის კრევა და ასე შემდეგ.

„ჩემი აზრით, ყველაზე მეტი დრო ბუნებისმეტყველებისთვის უნდა დაგვეთმოდეს და ვფორჯიც კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ მასწავლიდა, როგორ მეწარმეობა და კვირვებები და დღიურები. ამის შედეგად ბუნებით უთავბოლო გატაცებას გეზი მიეცა. მიგხვდით, რომ შთაბეჭდილების ჩაწერა მოვლენების უკეთესად შესწავლასა და დამახსოვრებაში მცხმარებოდა“, – წერს დარელი და ჩვენ ვთანხმდებით, რომ კარგი მასწავლებელი ისაა, ვინც ხვდება, რა ინტერესებს ბავშვს მთელი სულით და გულით და მხოლოდ ამას კი არ ასწავლის, არამედ იმასაც უხსნის, რომ ყველა საგანში, ყველა მოვლენაში, ყველა ამბავში შეიძლება იპოვოს თავისთვის საინტერესო რამე.

მასწავლებლობა რთული და საპასუხისმგებლო საქმეა და არცთუ ისე დახვეწილი სისტემის პირობებში მასწავლებლის ოსტატობაზე, მოთმინებაზე, ცნობისმოყვარეობაზე, ბავშვებისა და საქმის სიყვარულზე, მუდმივად ახლის ძიების უნარზე ათეულობით, ასეულობით ბავშვის ბედი და მომავალია დამოკიდებული. ჩვენი სისტემა, მცდელობების მიუხედავად, კარგად ვერ ხედავს ბავშვების ინტერესებს, ზოგ შემთხვევაში ვერც სასწავლო მასალა პასუხობს მათ და მოსწავლეებს ინტერესში ბევრად უფრო საინტერესო თავგადასავლების პოვნა შეუძლიათ, ვიდრე სასკოლო სახელმძღვანელოებში. ამ შემთხვევაში მასწავლებელს გადაეწყვეტი როლი აკისრია ბავშვებისთვის იმის ახსნაში, რომ არ არსებობს მოსაწყენი ამბავი ან უსარგებლო საგანი – არსებობენ მოსაწყენი ამბის მთხრობელები და ცუდად ახსნილი გაკვეთილები და მათ გამო არ ღირს, უარი თქვა სწავლასა და შემეცნებაზე.

უნდა იცოდეს, როგორ გამოადნო ყველაფერიდან შენთვის საინტერესო ნაწილი, როგორ დაინახო მოვლენები შენთვის სასურველ პრიზმაში და აიძულო უფროსები, შენთვის გასაგებად აგიხსნან ყველაფერი, რაც შეიძლება თავიდან ბუნდოვანი ან რთული ჩანდეს. სკოლა და მასწავლებელი ბავშვს სწავლას უნდა ასწავლიდეს – მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი კონკრეტული ცოდნის მიცემა. ბავშვმა უნდა იცოდეს, როგორ ჩამოიყალიბოს ხედვის კუთხე და როგორ გაატაროს ნებისმიერი ახალი ინფორმაცია სასურველ პრიზმაში. ამ პროცესში კი მას უფროსების დახმარება სჭირდება, მათი პატივისცემა და თანადგომა და გულწრფელობაც – რაღაც შეიძლება უფროსსაც არ ესმოდეს ან არ გამოსდიოდეს.

როცა იმაზე ვფიქრობ, რას არ აძლევს დღევანდელი სკოლა ჩვენს შვილებს, პირველ რიგში, ზუსტად ის უნარები მაფიქრდება, რომლებიც ჩვენც სუსტად გვექონდა განვითარებული და რომელთა დეფიციტით თაობიდან თაობამდე გამოწვევად რჩება.

კრიტიკული აზროვნება, ცნობისმოყვარეობა, მოვლენების სხვადასხვა კუთხით დანახვა და საკუთარი პოზიციების, ინტერესების, შეხედულებების დაცვა ისე, რომ სხვას შეურაცხყოფა არ მიაყენო, სხვისი გაგებაც შეძლო. ესაა ის, რასაც სკოლაში უნდა სწავლობდეს ადამიანი, სწავლის საწყის ეტაპზე, და როგორც ჯერი დარელის მონათხრობი ცხადყოფს, ამას არც განსაკუთრებული სასწავლო მასალები და არც საგანგებო წვრთნა არ სჭირდება. მხოლოდ მონდომება, საკუთარი თავისა და მოსწავლეების ინტერესებისა და სასაბაბის თავისებურებების გათვალისწინებაც კი შეიძლება საკმარისი იყოს.



ცხოველებით და მწერებით არის გატაცებული. „გეოგრაფიაში საქმე უკეთ მიდიოდა, რადგან ჯორჯმა ამ საგანს ზოოლოგიაც დაუკავშირა. ვნატავდით უზარმაზარ, მთაგრეხილებით დახაზულ რუკებს და შემდეგ სხვადასხვა ადგილს იქ გავრცელებული ცხოველებით და მცენარეებით ვავსებდით. ამგვარად გამოდიოდა, რომ ცვილონში უმთავრესად ტაპირები ბინადრობდნენ და ჩაიხარობდა, ინდოეთში – ვეფხვები და ბრინჯი, ავსტრალიაში – კენგურუ და ცხვარი, ხოლო ოკეანეში ზღვის ცისფერ დინებებს თან მოჰქონდა არა მხოლოდ გრიგალი, პასატები, დარი და ავდარი, არამედ ვეშაპები, ალბატროსები, პინგვინები და ლომვეშაპები. ჩვენი რუკები

რაღაც დაგემატებინა. ერთი სიტყვით, ეს რუკები ნამდვილად რაღაცას ნიშნავდა“, – იხსენებს ბიჭი და გადადის ისტორიის გაკვეთილების აღწერაზე, სადაც ასევე უხვად არიან ცხოველები, სხვადასხვა დროისა და ადგილის ფლორა და ფაუნა, ბუნებრივი თავისებურებები.

„სრულიადაც არ მაწუხებდა, რამ უბიძგა ჰანიბალს ასეთი მამაცობისკენ, ან რას აპირებდა მთების გადავლის შემდეგ. ამ, ჩემი აზრით, საკმაოდ ცუდად მოწყობილ ექსპედიციაში მე მხოლოდ სპილოების სახელები მაინტერესებდა. გავიგე ისიც, რომ ჰანიბალმა კაცს არა მხოლოდ მათი კვება დაავალა, ცივ ამინდში მათი ცხელი წყლით უზრუნველყოფაც უბრ-

„რა მოხდა #323 ავტობუსში? ავტობუსში მომხდარი მკვლელობის დეტალებზე ბრალდების მხარე ბევრს არაფერს ჰყვება. ამბობს მხოლოდ იმას, რომ 21 მაისს, დილის საათებში, 31 წლის სოფო კვარაცხელია, მისი მეუღლე – 38 წლის როინ მეზონია და მათი ორი მცირეწლოვანი შვილი #323 ავტობუსში ერთად იმყოფებოდნენ, როდესაც ბრალდებულმა ცივი იარაღით ათამდე ჭრილობა მიაციენა ქალს, ძირითადად ყელის არეში. ქალი ადგილზე გარდაიცვალა. კაცი დანაშაულის ადგილზე დააკავეს“ (რადიო „თავისუფლება“, 23 მაისი, 2022 წელი).

„46 წლის ქალი, რომელსაც 25 წლის განმავლობაში ქმარი გამუდმებით სცემდა და ბოლოს ამის გამო პოლიციაში იჩივლა, თანასოფელელებმა აქცია მოუწყვეს, შვილებმა კი საჩივრის გამოტანა აიძულეს. ახლა მიაა ქმართან დაშორებულია, მაგრამ ხუთი შვილიდან ორმა მასთან ცხოვრებას მამასთან ცხოვრება არჩია, თანასოფელელების ნაწილი კი დღემდე არ ემეზობლება“ („სამხრეთის კარიბჭე“, 18.06. 2018).

„სურამში ცოლის მკვლელობის ბრალდებით ქმარი დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, კაცმა გვიან ღამით მძინარე ცოლი, სავარაუდოდ, სანადირო თოფით მოკლა. სასიკვდილო ჭრილობით ქალი ადგილზე გარდაიცვალა. მკვლელობის დროს სახლში სამი მცირეწლოვანი იმყოფებოდა. მეზობლების თქმით, დანაშაულის ჩადენის შემდეგ ილია ქურბაძემ შვილები გააღვიძა და უთხრა, რომ მათი დედა მოკლა“ (formulanews.ge; 06.07.2020).

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თბილისში 65 წლის კაცმა 58 წლის ცოლი მოკლა. ის ამჟამად დაკავებულია. უწყება ამბობს, რომ ქალი მიყენებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა, კაცი კი ცხელ კვალზე დააკავეს“ („ნეტგაზეთი“, 8 ივლისი, 2022 წელი)

ეს ამბები ძალიან ჰგავს საშინელებათა ჟანრის ფილმებს, რომელთა ნახვისას სუნთქვა გეკერის, გული გიჩქარდება და თვალებზე ხელს იფარებ. მაგრამ, კინოსგან განსხვავებით, ასეთ შემთხვევებს რეალური მსხვერპლი ჰყავს და ჩვენს ქვეყანაში ფემიციდის მსხვერპლთა სტატისტიკა საგანგაშოდ იმატებს. ზოგჯერ ისე გადაეხმება ერთმანეთს ასეთი დღეები, გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკების მაყურებ-

ლები ვხდებით. თითქოს მკვლელი ვირუსი დაფრინავს ჰაერში და ლამაზი, ძლიერი, სიცოცხლის სურვილით სავსე ქალები მიჰყავს. მერე კი ყველაფერი ჩვეულებრივად გრძელდება, სანამ კიდევ ერთ საშინელ ამბავს არ გაივებით.

ფემიციდი გენდერული ნიშნით მოტივირებული სასტიკი დანაშაულია. მას უმეტესად წინ უძღვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა, რაც განპირობებულია მოძალადის მხრიდან ქალის გაკონტროლების სურვილით.

ერთ საღამოსაც ერთი ასეთი ამბავი წავიკითხე ფეისბუქზე. ჩემს საყვარელ ქალაქში კიდევ ერთი ქალი მოკვლეს. მკვლელი ყოფილი ქმარია. მეზობლებს კვილი შემოესმათ, კარი შეამტყრიეს და მოკლული ქალი იპოვეს. ამ ინფორმაციას ნაცნობ ქალთან ვაკავშირებ, რომელიც ამავე ქალაქში ცხოვრობს და მისი ამბავი თითქმის ერთი-ერთში ემთხვევა ფემიციდის მსხვერპლ ქალისას (სხვათა შორის, ამ ქალების ისტორიები ძალიან ჰგავს ერთმანეთს: ისინი გარბიან, ცდილობენ, დაუსხლტნენ მოძალადე ქმრებს, მერე კი მათ კლავენ). ვცდილობ, გადავამოწმო ინტერნეტში მისი ყოფნის დრო, რომ დავრწმუნდეს ის ნამდვილად არ არის. მესსენჯერი და ფეისბუქი გაუქმებული აქვს. უფრო მეტად მეშინია. მერე სხვა საკომუნიკაციო პლატფორმაზე ვეძებ, სადაც ჩანს, რომ რამდენიმე წუთის წინ აქტიური იყო. მაინც ვწერ მოგონილი მიზეზით და სახედნიეროდ, ის კარგადაა.

რიცხვების ენაზე ფემიციდის მსხვერპლთა რაოდენობა, საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, ასე გამოიყურება: 2021 წელს საქართველოში მოკვლეს 22 ქალი; 2020 წელს – 24 ქალი; 2019 წელს კი – 19 ქალი.

ქალების მკვლელობის მცდელობის სტატისტიკა ასეთია: 2021 წელს – 31 შემთხვევა; 2020 წელს – 27 შემთხვევა; 2019 წელს – 22 შემთხვევა.

ახლახან კიდევ ერთი ქალი მოკვლეს. ფეისბუქი მოკლული ქალის ატირებული მამის ვიდეოს მთავაზობს, სადაც ის შვილის ყოფილ ქმარზე ჰყვება. მამას ეგონა, სიძე გამოსწორდებოდა, ამიტომ არ ჩაერია, ფიქრობდა, რომ მისი შვილისთვის ასე აჯობებდა. სანამ ყველაზე სასტიკი შედეგი არ დადგება, საზოგადოება და ამ საზოგადოების წევრები – შშობ-

ლები, ნათესავები, მეზობლები, მეგობრები – განგრძობითი ძალადობის ფაქტებს არ ვიმჩნევთ, არ ვერევი „სხვისი ოჯახის საქმეში“. სამწუხაროდ, მგონია, რომ ასეთ ამბებს კიდევ მოვისმენთ.

ძალადობის მსხვერპლსაც არ სჯერა, რომ დაუფერებენ, რომ მიიღებენ, რომ ცუდი თვალით არ შეხედავენ, რომ არ იჭორავებენ მასზე და ოჯახის დანგრევის გამო არ დაადანაშაულებენ. ამ შემთხვევების გაანალიზებისას ყოველთვის იკვეთება განწყობა,

ასეთი ურთიერთობები ბავშვზე. ვთავაზობთ მცირე ამონარიდს ინტერვიუდან, სადაც კარგად ჩანს, რა შედეგები მოაქვს არაჯანსაღ ურთიერთობას ბავშვებისთვის და როგორ შეიძლება, ძალადობის მსხვერპლმა საგანგაშო სიგნალები ვერ ამოიცნოს.

„როდესაც ბავშვი იზრდება არაჯანსაღ ურთიერთობაში, ეს მისთვის ხდება საწყაროსთან ურთიერთობის მოდელი და იქცევა მის ბუნებრივ მდგომარეობად. მას ზრდასრულობამდე მიაქვს ეს



რომელიც ძალადობის მსხვერპლ ქალებს ეუფლებათ, როდესაც სცემენ და მოკვლით ემუქრებიან – მათ არ აქვთ იმედი, რომ ვინმე დაიცავს, ძალადობის მოჯადოებული წრიდან გამოიყვანს და გადაარჩენს. სწორედ ამიტომ არიან ჩუმად, ძალადობას შეგუებული რჩებიან ან ზოგჯერ გაქცევით შევლიან თავს.

როგორ გავზარდოთ გოგონები? როგორ დავიცვათ ისინი? რას მოვიქმედებდით, რომ გაგვეგო, ჩვენს შვილებს ცუდად ექცევიან? როგორ გავაძლიეროთ ისინი? რა ვასწავლოთ, რომ თავის დაცვა შეძლონ? – შემზარავი შემთხვევების პარალელურად მრავლდება კითხვები, რომელთა ავტორებიც შინით და რისხვით სავსე მშობლები არიან, უფრო ხშირად – დედები. ისინი უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე მამები.

კლინიკური ფსიქოლოგსა და ფსიქოთერაპევტ თამარ ფაცაციასთან რამდენიმე თვის წინ ჩავწერე ინტერვიუ წყვილებს შორის კონფლიქტურ ურთიერთობებზე და იმაზე, რა გავლენას ახდენს

მძიმე ტვირთი და შესაძლოა, მის რომანტიკულ ურთიერთობაშიც იგივე განმეორდეს, რადგან ასეთი ქცევა მისთვის ნაცნობია.

როდესაც ბავშვი იზრდება ჯანსაღ გარემოში, სადაც მშობლები ერთმანეთს პატივს სცემენ, უსმენენ, არ უყვირიან, ერთად არიან ჩართული აქტივობებში, ასეთი ქცევა ბავშვისთვის არის მაგალითი, ნაცნობი და ცხოვრებისეულ გზაზე ის, დიდი ალბათობით, ეცდება, იპოვოს მსგავსი გარემო და ქცევისა და ურთიერთობის ასეთი ფორმა განდგება მისთვის სტანდარტი. ამ შემთხვევაში შესაძლოა, ბავშვის ცხოვრების ხარისხი იყოს უფრო მაღალი, თავს გრძობდეს უსაფრთხოდ, მიღებულად, აღიარებულად, გრძობდეს, რომ ის უყვართ, არ გააჩნდეს დამაბრკოლებელი დანაშაულის გრძობა და ლაღად განვითარდეს, გამოთქვას საჭიროებები, უფრო თამამი იყოს გარემოს შემეცნებაში, ექსპერიმენტირებაში.

დასასრული 30-ე გვერდზე >>>

# ფემიციდის უხილავი მსხვერპლნი

დასასრული. დასაწყისი 29-ე გვერდზე

მაღალი თვითშეფასების მქონე ადამიანი ნაკლები ალბათობით დაუკავშირებს ცხოვრებას კონფლიქტურ პიროვნებას, რადგან ასეთი ქცევა მისთვის არ არის ნორმა – ის გაზრდილია ოჯახში, სადაც მიმღებლობა და პატივისცემა და როგორც კი აღმოჩნდება გარემოში, სადაც ამის საპირისპირო ხდება, ეს შესაძლოა იქცეს გამაფრთხილებელ ნიშნად, რომ ამ სიტუაციას უნდა გავცალოს, რომ ეს არ არის ჯანსაღი. ხოლო კონფლიქტურ გარემოში გაზრდილი ბავშვისთვის მსგავსი გარემოა ბუნებრივი, ნაცნობი და შესაძლოა, არ ჩაერთოს განგაშის სიგნალი, რომელიც ეტყვის მას, რომ ეს გარემო უნდა დატოვოს”.

რა უნდა გავაკეთოთ მშობლებმა, მასწავლებლებმა, სკოლამ და დანარჩენმა საზოგადოებამ, რომ ასეთი სასტიკი რეალობა თავიდან ავიცილოთ? – ამ კითხვებზე პასუხი თითქოს ძალიან მარტივია: მშობლებმა ყველა სიტუაციაში მზარი უნდა დაუჭიროთ შვილებს, მივიღოთ ისინი, როცა უჭირთ და არ მოვუხუჭოთ თვალი ძალადობას ჩვენ გარშემო.

როგორ შეგვიძლია შევიტანოთ წვლილი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში? – ალბათ, ისევე იმით, რომ ხშირად, მკაფიოდ და ხმაამაღლა ვისაუბროთ ასეთი დანაშაულების შესახებ მშობლებმა შვილებთან და მასწავლებლებმა მასწავლებლებთან.

რა უნდა მოვითხოვოთ სახელმწიფოსგან? – სახელმწიფომ და შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა იმოქმედონ ეფექტურად და დაიცვან ძალადობის მსხვერპლი ქალები, სანამ ისინი სასტიკი რეალობის წინაშე აღმოჩნდებიან.

იყო დრო, არ მესმოდა მათი, ვისაც რომანების კითხვას მოგონებების, სამოგზაურო ჩანაწერების, ათწლეულების წინანდელი მიმოწერის კითხვა ერჩივნა. გამონაგონის სილამაზეს ჩემს თვალში ვერაფერი შეედრებოდა. იმას კი ვერ ვხვდებოდი, რომ ზღვარი, ფაქტობრივად, არ არსებობდა და ვინც გვარწმუნებდა, ცხოვრების ამბავი უცვლელად გადმოვეცი, ავიც, კარგიც კეთილსინდისიერად აღვწერო, შეგნებულად იტყუებოდა. ორ წინადადებასაც ვერ დაწერ, ფიქრი სხვაგან რომ არ გაგექცეს, ხელმა თავისი სიტყვა რომ არ ჩაამატოს.

თედო სახოკიას „მოგონებანი“ (არტანუჯი, 2021), რომელიც ორ წიგნს აერთიანებს: „როგორ ვიზრდებოდი ძველად“ და „ჩემი საუკუნის ადამიანები“ – გატაცებით წავიკითხე. როგორც კი შესვენებას მოვიწოდებდი და საკითხავს გვერდზე გადავდებდი, ვხვდებოდი, რომ რაღაცას ვაშავებდი – თითქოს მთხრობელს მოურიდებლად ვაწყვეტივინებდი. გამორჩეულად დასამახსოვრებელი ის ნაწილი აღმოჩნდა, რომელშიც ავტორის ბავშვობაა აღწერილი – მარტივლის სასულიერო სასწავლებელში სწავლის მძიმე წლები, გამუდმებული შიმშილი, დამცირება... და ყმაწვილური ოცნებები.

სასწავლებლის მოგონებიდან: „სხვადასხვა პედაგოგიური ხერხების მაგიერ უმთავრესად მიემართნათ ფიზიკური შთაგონებისათვის: ცემა-ტყეპით უნდა შეეთვისებინათ ცოდნა. იმის შიში, რომ გაცვეთილების უცოდინარობისათვის ვაწყებულავა, სხვადასხვა სახის სასჯელი მოელოდა, მოწაფეს ჭკუაზე შლიდა. თუთიყუშისებრ ზეპირობას ფართო გასაგალი ჰქონდა. მოწაფენი მასწავლებლებს ისე უყურებდნენ, როგორც მტრებს, მათს საწამებლად მოვლენილთ, ხოლო სასწავლებელს – როგორც საშუალო საუკუნეების ინკვიზიციის დაწესებულებას”.

საბჭოთა სკოლაშიც მსგავსი სურათი დამხვდა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. არა, არ ვაჭარბებ. უმცროსკლასელმა სიტყვა „გოლგოთა“ არ ვიცოდი და მხოლოდ ამიტომ იყო, რომ, ამ ჩანაწერების ავტორისაგან განსხვავებით, ენაზე არ მადგებოდა. სხვა მხრივ კი სწორედ

მასავით ვიტანჯებოდი, სკოლის დაწვა-დანაცრებას ვნატრობდი.

„მასწავლებელი ერთი გაცივებული არ გვინახავს, – ვითხულობთ თედო სახოკიას მოგონებების წიგნში, – ჩვენთან მოქცევაში ყველას პირქუშად ეჭირა თავი. ჩვენ თვითონ ისე ვუცქეროდით, როგორც მტრებს და ჩვენი ავის მდომით. რომ დავინახავდით გზაში, თითქოს ალაღმა დაგეჭროლო, გავრბოდით სადმე დასამალავად, რომ თვალში არ ვჩვენებოდით“.

როგორც ჩანს, რაღაც მაინც შეცვალა ასმა წელმა – გა-

თუ გვიან გზას პოულობს: „ზოგჯერ მაღალი კლასების მოწაფენი საცემრად გაიმეტებდნენ საჭულველ მასწავლებელს. ასეთი შემთხვევა არა ერთი და ორი ყოფილა“. სასოწარკვეთა იმდენად დიდია, რომ სასულიერო სემინარიის მოსწავლეები წიგნებსაც არ ინდობენ: „გამოცდას რომ ჩააბარებდნენ, ჯირკვბე დასდებდნენ და ამხანაგების თანდასწრებით საჯაროდ ცულით დასჭრიდნენ და თან დაატანდნენ წყევლას: „წმინდა გიორგიმ ამოავდოს იმის ძე და მომავალი, ვინც შენ შეგადგინაო“. ამხანაგებიც „ამინს“ ეტყოდნენ



## ირმა ტაველიძე თედო სახოკია – ბავშვობის წლები

უცინარი მასწავლებლების, მოსწავლის ცემით თუ წამებით ნასიამოვნები მასწავლებლების მეტი რა მინახავს, მაგრამ სხვები, სხვანაირებიც მხვდებოდნენ – უდაბნოს ვარდები, კლდის შროშანები.

თედო სახოკიაც ახსენებს ორ მასწავლებელს, რომლებმაც სხვადასხვა დროს მოულოდნელად გაანათეს სასოწარკვეთი წყვილი და შესაძლებელი გახადეს, რომ რაღაც დაენახა, რაღაც მართლაც შეემეცნებინა. ერთი ქართულის მასწავლებელი პოლივეცტოს კვიციანი იყო, რომელმაც „გააცოცხლა წინა მასწავლებლის ხელში უსულგულო საგანი“ და „სახალისოდ, სატრფიალოდ გახადა“. მეორე კი, არც მეტი, არ ნაკლები, ვასილ ბარნოვი გახლდათ.

საუბედუროდ, ეს მხოლოდ ხანმოკლე გაელვებებია ბნელ ცაზე. არსებითად არც არაფერი იცვლება, რადგან ძალადობა ურთიერთობის ერთადერთ ფორმად და მიჩნეული. გაუსაძლის დღეში მყოფი მოზარდების ბრაზიც ადრე

გაგრძელებით“. ცულით დაკეპილ წიგნებს ბოლოს წვავენ, ნაცრად აქცევენ.

ზოგიერთი მოგონება თავბრუდამხვევად ლამაზია, დიდი მწერლისაა. ვკითხულობ და ვკითხულობ ერთსა და იმავე წინადადებებს: „თვალის დახამხამებზე სულ მაღალი ხეების კენწეროებს მოვექცეით, რომ იქიდან დაგვენახა ხანძრის ადგილი: თან გულში წმინდა გიორგისა ვთხოვდით, აესრულებინა ამდენი ხნის ნატვრა: დამწვარიყო ჩვენი მასწავლებელი შენობა. მართლაც, დავინახეთ, რომ ცეცხლი სწორედ სასწავლებელს ეკიდებოდა. რა ლამაზად გვეჩვენა შეწითლებული ცა, ზეცად ამაველი დახვეული, გველის მსგავსი ალი, ბოლქვა-ბოლქვად კვამლიანი!.. მას თან მიჰქონდა ჩვენი წამება, ჩვენი უძილო, შფოთიანი ღამეები, მარსულობა“.

ძნელად თუ გაიხსენებთ უკეთესად დაწერილ ბავშვობის წლებზე. მეტი გულწრფელობით, მეტი გულმოდგინებით დაწერილს.

**ნუ დავუდგენთ ბავშვს მეტისმეტად ბევრ წესს. პატარას ჯერ კიდევ არ ესმის ბოლომდე მოთხოვნებისა და შეზღუდვების მნიშვნელობა. ამიტომ თავდაპირველად მან მცირე რაოდენობის წესების დაცვა უნდა ისწავლოს.**

კი, რომლებიც არც ისე არსებითია, დაე, ბავშვმა არჩევანი თავად გააკეთოს. მაგალითად, საბავშვო ბაღისთვის მომზადებისას ვკითხოთ: „ლურჯი შარვალი გირჩევნია თუ წითელი კომბინეზონი?“ ბავშვი იგრძნობს, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია, რომ მას უსმენენ. ამასთან, არჩევანი არ უნდა იყოს მეტისმეტად ფართო, უკეთესი იქნება, თუ მას რამდენიმე ალტერნატივამდე დავიყვანთ. თუ ბავშვს დავუშვამთ ასეთ კითხვას: „რისი ჩაცმა გინდა ამ დღით?“ – სავსებით შესაძლებელია, შუა ზამთარში საზაფხულო შორტებში გამოწყობა მოითხოვოს. რა თქმა უნდა, ასაკის მატებასთან ერთად არჩევანიც უნდა გაიზარდოს.

დავიცვათ დღის რეჟიმი. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის დღის რუტინა და მისი დაცვა პრინციპულად მნიშვნელოვანია, ამიტომ კომპეტენტური აღმზრდელი მეცადინეობათა ორგანიზების დროს მკაცრად იცავს ერთხელ შემოღებულ დღის რეჟიმს. მაგალითად, მეცადინეობა იწყება სამაგიდო თამაშით, ამას მოჰყვება მოძრავი თამაში, შემდეგ – ზღაპრების კითხვა და ა.შ. მშობლები ხშირად გაოცებულები კითხულობენ: „ნუთუ არ სწყინდებათ ეს ყოველივე პატარებს?“ სრულიადაც არა. საქმე ის არის, რომ ჩვენ, უფროსები, მიჩვეულები ვართ გადარბენით ცხოვრებას, შთაბეჭდილებებისა და მოვლენების სწრაფ ცვალებადობას, ამიტომ არ გვესმის, რომ ბავშ-

ვებს კანონზომიერება და რიტმულობა სჭირდებათ. ეს მათ აძლევს ცხოვრებისეულ საყრდენს, იხსნის შფოთვისგან. საპირისპირო შემთხვევაში ბავშვს ქაოსის შეგრძნება ეუფლება და, როგორც წესი, გაუგონარი, დაუმორჩილებელი ხდება. თუ ზრდასრულ ადამიანს ცხოვრების არაპროგნოზირებადობა აღიზიანებს, პატარას ის ღლის და აზნევს. როდესაც მან წინასწარ იცის დღის „პროგრამა“, იცის, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს, უფრო ადვილად ანებებს თავს საინტერესო თამაშს და მიდის სამეცადინოდ, სასადილოდ ან დასაძინებლად. ბავშვი სწავლობს „დროსთან მეგობრობას“. მან იცის, რომ თუ მაგიდასთან დიდხანს არ იჯდება, თამაშსაც მოასწრებს. რა თქმა უნდა, ისეთი რეჟიმი უნდა შევუდგინოთ, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება მის ასაკს და საჭიროებებს და მკაცრად დავიცვათ ის გარკვეული ხნის განმავლობაში.

შევაქოთ ბავშვი კარგი ქცევისთვის, თუნდაც კარგად მოქცევის მცდელობისთვის. ნუ დავიშურებთ კეთილ სიტყვებს. ამ შემთხვევაში ბავშვს მოუწდება, კვლავ და კვლავ გაგვახაროს, ამისთვის კი მოუწევს, შეასრულოს დადგენილი წესები და იყოს დამჯერი.

როდესაც ბავშვს წესების მორჩილებას და დაცვას ვასწავლით, მაგალითს ჩვენ თვითონ უნდა ვაძლევდეთ. თუ უფროსები ვარღვევთ ამა თუ იმ წესს, ძნელი იქნება, მისი დაცვა მოვთხოვოთ ბავშვს – აღზრდის



საფუძველი ხომ პირადი მაგალითია.

დაბოლოს, გვახსოვდეს, რომ ჩვენ ჟანდარმები კი არა, მოსიყვარულე აღმზრდელები ვართ. მოვეძებნოთ პრობლემური სიტუაციის გადაჭრის გზები. ვეცადოთ, ვიყოთ ბავშვთან უფრო ახლოს, მეტი დრო გავატაროთ მასთან ერთად – ამ შემთხვევაში ალბათ ძალიან ცოტა აკრძალვა და წესი იქნება საჭირო, საკამათო საკითხებზე კი ადვილად შევთანხმდებით.





ანა ღვინიაიძე

# „უუნარო ვარ“ – გახსოვდი დამარცხებულნი?

**როდესაც ადამიანი აღმოჩნდება ისეთი სირთულის ან ამოცანის წინაშე, რომელიც მასში აცოცხლებს შეფასებას – „უუნარო ვარ“, ის ცდილობს, გაექცეს ამ რწმენის მაცოცხლებელ გარემოს თუ გამღიზიანებელს.**

ასეთი შეფასება ხშირად ჟღერს ჩემთან შეხვედრებზე. საკუთარი თავის შესახებ ამ რწმენის მატარებელი იტანჯებიან განცდით, რომ აწმყოში თუ არა, მომავალში მაინც მათ უუნარობად და უნიჭობად შეაფასებენ; ირგვლივ მყოფები აუცილებლად „მიხვდებიან“, „ამხელენ“ და „გამომამუდავებენ“, რომ ისინი „უუნაროები“ და „უნიჭოები“ არიან. ამ მოლოდინის თანმხლებ მტანჯველ, ძლიერ შფოთვისთან გასამკლავებლად ადამიანი ოთხ გზას მიმართავს:

**გაქცევა** – როდესაც ამ რწმენის მქონე ადამიანი აღმოჩნდება ისეთი სირთულის ან ამოცანის წინაშე, რომელიც მასში აცოცხლებს შეფასებას – „უუნარო ვარ“, ის ცდილობს, გაექცეს ამ რწმენის მაცოცხლებელ გარემოს თუ გამღიზიანებელს. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ ადამიანი გადააწყდა ტექსტის ისეთ მონაკვეთს, რომლის შინაარსის გაგებაც ერთი წაკითხვით გაუჭირდა. თუ მან ეს სირთულე შეაფასა როგორც მისი უუნარობის ან უნიჭობის დასტური, შესაძლოა, ტექსტის კითხვა შეწყვიტოს და ყურადღება სიამოვნების აღმძვრელი ან ისეთი საქმიანობისკენ მიმართოს, რომელიც მასში უნარიანობის განცდას აღძრავს. ნაცვლად იმისა, რომ ტექსტის მონაკვეთთან დაბრუნება და მასში ჩაღრმავება სცადოს, ვიდეოთამაშს არჩევს, რადგან იქ დაბრკოლებების გადალახვა, ერთი მხრივ, ცნობისმოყვარეობის აღმძვრელია, მეორე მხრივ კი შესაძლებელი. ანუ მას აქვს განცდა, რომ შეუძლია დასახულ მიზანს მიაღწიოს და, შესაბამისად, კმაყოფილება განიცადოს. კმაყოფილება და სიამოვნება კი ორი ისეთი რამაა, რისკენაც, როგორც წესი, მივიღებებით.

**დაპირისპირება** – თუ ადამიანი უუნარობის განცდასთან გასამკლავებლად დაპირისპირებას

ირჩევს, მას უჭირს ამ განცდის აღმძვრელი გარემოს მიტოვება. გაქცევის ნაცვლად ის ირჩევს თავაულებლად შრომას, ზოგჯერ უარს ამბობს სიამოვნების სხვა წყაროებზე, ვერ წყვეტს დაბრკოლებებზე ფიქრს, ვერ ივიწყებს მათ. გაიხსენეთ, რამდენჯერ გაგიგრძელებიათ მშფოთვარე ფიქრი ისეთ ამოცანაზე, რომლის ამოხსნაც მყისიერად ვერ შეძელით. ცნობისმოყვარეობით სავსე მიზანდასახულობისგან განსხვავებით, უუნარობის განცდასთან დაპირისპირებით გამკლავება გაჯერებულია უსიამოვნო შფოთვით, სულსწრაფი დაჟინებით. მეჩქარება დავამტკიცო, რომ უუნარო არ ვარ. „ვაითუ, ვერ შევძლო“, „ვაითუ, თავი ვერ გავართვა“. ამ შემთხვევაში დაჟინებას ამოძრავებს უუნარობის დადასტურების შიში და არა შემეცნების წყურვილი ან წრფელი ცნობისმოყვარეობისთვის საჭირო უსაფრთხოების განცდა, რომელიც, შეცდომის პასუხად, უპირველეს ყოვლისა, ირგვლივ მყოფებისგან მიღებული, თანმიმდევრულად გამოხატული, შემწყნარებლური დამოკიდებულების გაშინაგნების შედეგია.

**გამეშება** – თავი ხელებში მაქვს ჩარგული და ტექსტს დავყურებ. რაღაც ვერ გავიგე და ამის პასუხად ჩემს გონებაში თითქოს სრული სიცარიელეა; სხეული შებოჭილი მაქვს, გულსიცემა – ზოგჯერ შენელებული, ზოგჯერ აჩქარებული, მაგრამ ვხვდები, რომ საკუთარ თავში შევბრუნდი, გარემოს გავუუცხოვდი. რადგან გარემოს დატოვება და გაქცევა არ შემიძლია, თითქოს ყველაფერი, რაც ჩემს თავს ხდება, სულაც არ ხდება ჩემს თავს; სიტყვები, რომლებსაც ვკითხულობ, უშინაარსოა, მიჭირს ტექსტზე ყურადღების შეჩერება და, საერთოდაც, რა მოხდება, თუ ოცნებებში ჩავიკარგები, სადაც ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია?



**განრიდება** – განრიდება უუნარობის განცდასთან გამკლავების სხვა გზებისგან იმით განსხვავდება, რომ ადამიანი სრულიად განერიდება გარემოს, სადაც შესაძლოა მისი უუნარობა დადასტურდეს. მაგალითად, შესაძლოა უარი თქვას სიახლეებსა და წამოწყებებზე, რადგან ეშინია, რომ ცხოვრების რომელიღაც საფეხურზე მაინც აუცილებლად „ამხელენ“ „უუნარობასა“ და „უნიჭობაში“. „ვაითუ, მიხვდნენ, სინამდვილეში როგორც ვარ...“

ოთხივე გზა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ქცევასა და ოთხივე მათგანი მიზნად ისახავს უუნარობის რწმენის დადასტურებისგან თავის დაცვას.


**რატომ გვეშინია ასე უუნარობისა და უნიჭობის რწმენის დადასტურების?**

ადამიანების უმრავლესობისთვის ძირეული, უუნარობის შფოთვის „ამოფარებული“, მის მიღმა

მდგომი შფოთვა უარყოფის და მის საფუძველზე მივიწყების შფოთვაა. რა მოხდება ყველაზე უარესი, თუკი წარმოვიდგენთ, რომ მართლაც უუნაროდ და უნიჭოდ მივიჩნიეს? ამ კითხვებზე პასუხი ხშირად ასახავს გარიყვის, უარყოფისა და მიტოვება-მივიწყების შფოთვისა და მოლოდინს: „ადამიანები ჩემდამი ინტერესს დაკარგავენ, იფიქრებენ, რომ მოსაწყენი ადამიანი ვარ, რომ ჩემთან მეგობრობა არ ღირს, უფარვისად ჩამთვლიან და დამივიწყებენ“. ასეთი მტანჯველი, უკიდურესად მტკივნეული შფოთვა, როგორც წესი, განვითარების საკმაოდ ადრეულ საფეხურზე განცდილი მიტოვებისა და მივიწყების შფოთვის ანარეკლია.

როგორ უმკლავდებოდნენ ჩემს მარცხს ჩემი მშობლები თუ სხვა აღმზრდელები? მარცხი ჩემი განვითარების განუყოფელი ნაწილი იყო თუ მე, როგორც მარცხის განმცდელ (და არავითარ შემთხვევაში უუნარო ან უნიჭო) ადამიანს, მივიწყებდნენ? მშობლები და სხვა აღმზრდელები





**განრიდება უუნარობის  
განცდასთან  
გამკლავების სხვა  
გზებისგან იმით  
განსხვავდება, რომ  
ადამიანი სრულიად  
განერიდება გარემოს,  
სადაც შესაძლოა  
მისი უუნარობა  
დადასტურდეს.**

უგულებელყოფდნენ თუ არა იმას, რომ მეც შეიძლებოდა დამარცხებულიყავი, მეც შეიძლებოდა უზადოდ ვერ გამერთმია თავი ამოცანისთვის? რას მეუბნებოდნენ, როდესაც ხელი მეცარებოდა?

კიდევ უფრო ზუსტად: გახსოვდი დამარცხებული? თუ ზურგს მაქცევდი, მეზუტებოდი და ჩემთან კავშირის გაწყვეტა მარცხის პასუხად მიღებული სასჯელი იყო?

უუნარობის განცდისა და მისგან განრიდების მიღმა ხშირად სასოწარკვეთილი ვედრებაა: ხომ არ დამივიწყებ, თუ დავმარცხდი? ხომ დამიყრდნობ, თუ რამეს ვერ გავუმკლავდი? ოღონდ დამიყრდნობ დროებით და არა იმისთვის, რომ სამუდამოდ შენზე დავრჩე დამოკიდებული, რადგან ჩემი ძირეული მოთხოვნილება, უსაფრთხოების განცდასთან ერთად, სწორედ უნარიანობის განცდაა, სირთულეებთან შეჭიდებისა და მათი დაძლევისკენ ლტოლვა. შენგან მჭირდება თანაგრძნობა და შემწყნარებლობა – არა როგორც სამუდამო თავშესაფარი, რომელშიც ზრდას შევწყვეტ,

არამედ დროებითი, იმისთვის, რომ შევძლო, ისევ გავიდე სამყაროში, საკუთარ უსაფრთხოებაში დარწმუნებული, იმ განცდით, რომ შემოიძლია შევიმეცნო, გავიზარდო და განვვითარდე – არა როგორც გზაბნეული, შფოთვით სავსე ადამიანი, რომელიც, არც კი ვიცი, საით მიემართება (ჩემი ქცევები უწესრიგო, განსაზღვრულ მიზანს მოკლებულია, რადგან არ მეგულები), არამედ ადამიანი, რომელსაც, საკუთარი უსაფრთხოების განცდისგან გამომდინარე, უნარი შესწევს, დაგეგმოს, გაიზაროს, აწონ-დაწონოს, რა ელის და ასე შეაბიჯოს ზრდასრულთა სამყაროში, რომელიც სავსეა პირობებით და სადაც მარცხი მართლაც გარდაუვალია.

გახსოვდი დამარცხებული?



# სამოქმედო გეგმა ახალი სასწავლო წლისთვის



ლელა კოტორაშვილი

ზაფხულის განმავლობაში ბევრს ვფიქრობდი, რას გავაკეთებდი სკოლაში დაბრუნებისას. საჭიროებების გაანალიზებით დავიწყე, გავითვალისწინე წინა წელს წამოწყებული პროექტები, ვინიშნავდი ახალ იდეებს და ამასობაში სამოქმედო გეგმა თანდათან გაიზარდა. გიზიარებთ ამ გეგმას. საქმიანობათა ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია, მაგრამ შევცვლდები, ბევრი საქმის გამო მოსალოდნელი შფოთვა თავიდან ავიცილო და მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები ახალი სასწავლო წლის შემართებით დაწყებისთვის გამოვიყენო.

## დიაგნოსტიკური მასტირება

გასულ წელს, უდიდესი სურვილის მიუხედავად, დიაგნოსტიკური ტესტირება ვერ ჩავატარე, რის გამოც ძალიან ვწუხდი. მცირე საგაკვეთილო დრო, დისტანციური სწავლების ფორმატი, მწირი რესურსები – გველემპაპის თავებივით მეღობებოდა პრობლემები. გადავწყვიტე, დაწყებით საფეხურზე პირველივე კვირაში ჩავატარო დიაგნოსტიკური ტესტირება, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს გავიმეორებ, რაც ანალიზისა და შეფასების საშუალებას

ბას მომცემს. დიაგნოსტიკური ტესტირება ეფექტური სტრუქტურა იქნება – მოსწავლეებს თვითშეფასებაში დავეხმარებით და თითოეულის შესაძლებლობებს სწორ მიმართულებას მივცემთ, მშობლებს, დამრიგებელსა და სხვა საგნების მასწავლებლებს საქმის კურსში ჩავაყენებთ, ამგვარად, სასკოლო სივრცისთვის ძალიან საჭირო ერთსულოვან განწყობას შევქმნით.

## რემედიაცია

თამთა დოლიძე, ინტერნეტ-ჟურნალ „Mastsavlebeli.ge“-ს ავტორი, რემედიაციის შესახებ სტატიაში წერს: „რემედიაცია მიზნობრივი აქტივობების საშუალებით არსებული პრობლემის შემცირებას ან გადაჭრას ნიშნავს. იგი დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პრობლემის დროულად აღმოჩენა და ჩარევა სასურველი შედეგის მიღწევას მნიშვნელოვნად აადვილებს“. ხშირად კლასში რამდენიმე მოსწავლე საგრძნობლად ჩამორჩება დინებას, რაც მასწავლებლისგან მეტ ძალისხმევასა და მიზნობრივი აქტივობების დაგეგმვას მოითხოვს. დიაგნოსტიკური ტესტირება და ყოველდღიური დაკვირვება გვეხმარება მიზნების გარკვევა-

ში: ზოგს დეკოდირება უჭირს, ზოგს – გაწაფული კითხვა და აზრის წერილობით ჩამოყალიბება, ზოგს – ინსტრუქციის გაგება, ზოგი კი სწავლისადმი გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს. წინა წელს რამდენიმე კლასში შევადგინე მიზნობრივი ჯგუფი, დავთქვით დრო და კვირაში ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ, ერთმანეთს ვხვდებოდით. სახალისო აქტივობებმა, არაფორმალურმა გარემომ, წახალისებამ დიდ შედეგამდე მიგვიყვანა, ბავშვები მოუთმენლად ელოდნენ დამატებით შეხვედრას, გულმოდგინედ ასრულებდნენ შეთავაზებულ აქტივობებს. ვიყენებდი თხრობის კამათლებს, ფაზლებს, წერდნენ, კითხულობდნენ, ჰყვებოდნენ და საკუთარ შესაძლებლობებში რწმუნდებოდნენ. ამაღლებული განწყობა საკლასო ოთახშიც მიჰყვებოდათ. იმისთვის, რომ არცერთი მოსწავლე არ დამრჩეს უყურადღებოდ, სარემედიაციო პროგრამის განხორციელებას კვლავ ვაპირებ.

## ლექსიკური მარაგის გამდიდრება

მწირი ლექსიკური მარაგი გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, სიტყვების საყოველთაო დავიწყება

**მწირი ლექსიკური მარაგი გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, სიტყვების საყოველთაო დავიწყება სენად.**

**მწერლები,  
ფოტოგრაფები,  
სამოქალაქო  
აქტივისტები,  
რედაქტორები,  
მთარგმნელები...  
სხვადასხვა პროფესიის  
ადამიანების  
გამოცდილების  
მოსმენა მოზარდებს  
ჰაერით სჭირდებათ,  
რადგან მათი  
მიკროსოციუმი,  
როგორც წესი,  
თანატოლებით არის  
შემოფარგლული,  
უფროსებთან  
ურთიერთობა კი  
მათ ცნობიერებას  
აამაღლებს,  
მოქმედების სურვილს  
გაუღვივებს, საქმის  
სიყვარული პირად  
მაგალითად ექცევათ.**

შეგვეყარა სენად. სწორედ ამიტომ ლექსიკური მარაგის გაძლიერებაზე მუშაობა ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად დავისახე. სიტყვის კედელი, დღის სიტყვა, სახალისო ვიქტორინები, მარკირებული კითხვისას სიტყვების მონიშვნა, ტესტები – ოთხივე კლასს, რომლებსაც ვასწავლი, ამ პროცესში ჩაერთავ.

**დიფერენცირება  
სწავლება**

დიფერენცირებული სწავლება თითოეული მოსწავლის საჭიროებების, ინტერესებისა და მზაობის გათვალისწინებას გულისხმობს. არჩევანის თავისუფლება, დამოუკიდებლობისა და ინდივიდუალობის განვითარება სწავლა-სწავლების მამოძრავებელი ღერძია. დროდადრო მოსწავლეებს ვთხოვდი, თავად აერჩიათ უკვე გავლილი აქტივობებიდან რომელიმე ან თავად მოეფიქრებინათ დავალების ინსტრუქცია და ერთ გაკვეთილს ვუთმობდით არჩეული დავალებების წაკითხვას, ერთმანეთისთვის გაცნობას. ასეთი დღეები ძალიან უყვარდათ. სტატუსის ასამაღლებელი გამოცდისთვის მზადებისას გავეცანი დიფერენცირებული სწავლების ერთ-ერთ ინსტრუმენტს – „სასწავლო მენიუს“, რომელიც გულისხმობს მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი – სავალდებულო, არჩევითი და არასავალდებულო – დავალებების შეთავაზებას. გადავწყვიტე, ერთი წლის განმავლობაში თითოეულ კლასს შევთავაზო „სასწავლო მენიუ“. ვფიქრობ, ეს საშინაო თუ საკლასო დავალებებისადმი დამოკიდებულებას სასიკეთოდ შეცვლის.



**ლიტერატურული კაფე**

ლიტერატურულ კაფეს თითოეულ კლასთან სამი წელია გმართავ. ასეთი დღეები ყველასთვის დღესასწაულად იქცა, კითხვის მოტივაციაც ამაღლა და სასწავლო პროცესი სიხარულით აავსო. მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარ ენერჯიას მოითხოვს, სასიკეთო შედეგებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, კვლავ ვაპირებ ლიტერატურული კაფეების გამართვას.

**უბნის ბიბლიოთეკა**

უბნის ბიბლიოთეკასთან ურთიერთობამ დაუფიქარო

თავგადასავლები დაგვიტოვა. სოციალური ურთიერთობების ხელშეწყობისა და წიგნიერების დონის ამაღლებისთვის ისევე ვესტუმრებით უბნის ბიბლიოთეკას, ჩავატარებთ საინტერესო შეხვედრებს და წიგნებს ახალ სიცოცხლეს ვაჩუქებთ.

**კლასის საკითხავი  
წიგნი**

თითოეული კლასისთვის სემესტრში თითო საკითხავ წიგნს ვარჩევ. ასე გავიცანით თანამედროვე ქართველი ავტორების – დიანა ანჯიმიადის, თამარ გეგეშიძის, ნატო



დავითაშვილის, ტორესა მოსის წიგნები. უცხოელი მწერლებიდან წავიკითხეთ მარია ფარის, ლინდა მაღალი ჰანთის საბავშვო რომანები, კლასიკოსებიდან კი – არჩილ სულაკაური, ტუვე იანსონი, ანე-კატარინე ვესტლი და მორის დრიუონი.

ახალი სასწავლო წლისთვის შემდეგი წიგნები შევარჩიე:

მეოთხე კლასი – არჩილ სულაკაურის „ცისფერი ირემი“, „სალამურას თავგადასავალი“;

მეექვსე კლასი – ონჯალი რაუფის „გმირი ღამის ავტობუსში“;

მერვე კლასი – ნატო დავითაშვილის „ამბავი ლილე იროელი-სა“, თამარ გეგეშიძის „ჩუმაღ უნდა იჯდე“.

კლასის საკითხავი წიგნი გვერთიანებს, საერთო ღირებულებებს აყალიბებს, თავგადასავლებს გვჩუქნის, სიტყვათა მარაგს ამდიდრებს, მშობლის ჩართულობას ზრდის, საინტერესო დავალებებისთვის იძებს გთავაზობს, კითხვისადმი ინტერესს აღვივებს.

#### სკოლის ბლოგი

სკოლის ბლოგზე სასკოლო პროექტებისა და აქტივობების

შესახებ დროდადრო ვწერ. ბლოგი მოსწავლეებსაც გაეცანი, მაგრამ, დიდი სურვილის მიუხედავად, მათი ჩართულობა ვერ გავზარდე, რადგან ბლოგს მხოლოდ მე ვმართავ და თითოეული მასალის მომზადება ძალიან ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვს. ვფიქრობ, სკოლის ბლოგისთვის უფრო ხშირად ვწერო და მისი მართვის პროცესში მოსწავლეებიც ჩავება.

#### განმავითარებელი კომენტარები

მთელი წლის განმავლობაში ყველაზე შრომატევადი

წერილობითი კომენტარების წერა იყო. ხშირად გამთენიისას ვიწყებდი და რამდენიმე საათი ვწერდი. მერე სკოლაში დიდი სიხარულით მივაქროლებდი რვეულებს, რომლებიც მცირე დროში თითოეულ მოსწავლესთან პირადი ურთიერთობის დამყარების ეფექტურ ფორმად იქცა. ამ ზაფხულს 13 წლის გოგონამ გამომიგზავნა თავისი ოთახის კედლის ფოტო, რომელზეც მიკრული იყო ქართულის რვეულიდან ამოჭრილი ჩემი კომენტარები. ამგვარი უკუკავშირი მარწმუნებს, რა დიდი ძალა აქვს წერილობით გაცემულ განმავითარებელ კომენტარებს.

**დიფერენცირებული  
სწავლება თითოეული  
მოსწავლის  
საჭიროებების,  
ინტერესებისა  
და მზაობის  
გათვალისწინებას  
გულისხმობს.  
არჩევანის  
თავისუფლება,  
დამოუკიდებლობისა  
და ინდივიდუალობის  
განვითარება  
სწავლა-სწავლების  
მამოძრავებელი  
ღერძია.**

## კომპლექსური დავალებები

ეროვნულ კონფერენციაში მონაწილეობისას ჩემი კოლეგების კომპლექსურ დავალებებს გავეცანი და დიდი სურვილი გამიჩნდა, უფრო გულისხმიერად მოვეკიდო თითოეულ კლასში ასეთი დავალების შეტანას. ჩემი დაკვირვებით, კომპლექსური დავალება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, კალაპოტში მოაქციოს სასწავლო პროცესი და მოსწავლეებს საკუთარ თავზე მუშაობისკენ უბიძგოს. ასევე, ვაპირებ, კომპლექსური დავალების თითოეული ეტაპი ნამუშევრების სახით საკლასო ოთახში გამოვფინო.

## ლიტერატურული კლუბი

ლიტერატურული კავეს უმთავრესი მიზანი თითოეული მოსწავლის ჩართვაა. იმ მოსწავლეებისთვის კი, რომლებიც ძალიან ბევრს და ხშირად კითხულობენ, ლიტერატურული კლუბის დაარსება გადავწყვიტე. კლუბში გაწევრიანება მოსწავლის კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული. შეხვედრები ყოველკვირა გაიმართება. ერთმანეთს გაიცნობენ საერთო ინტერესების მქონე სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები და წაკითხულის გაზიარებას შეძლებენ.

## ინტეგრირებული გაკვეთილები

რამდენიმე მასწავლებლის მიერ ერთი თემის ირგვლივ ჩატარებული გაკვეთილი სასწავლო პროცესს შინაარსს სძენს. მაგალითად, გასულ წელს ინგლისურის მასწავლებელთან ერთად

ამერიკული ჯგუფის Cheers Elephant-ის სიმღერაზე ინტეგრირებული გაკვეთილი ჩავატარე. ერთად დაგეგმილი გაკვეთილი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვისაც დიდი სიხარულის მომტანი აღმოჩნდა. მთელი წელი შეიძლება ინგლისურენოვანი სიმღერების ირგვლივ ინტეგრირებული გაკვეთილების აკინძვა და აქტივობების მოფიქრება. ძალიან მიყვარს ავსტრალიელი მომღერლის ნიკ ქეივის სიმღერა „O children“, რომელიც ჰარი პოტერის შესახებ გადაღებული ფილმების ერთ-ერთ სცენაშია გამოყენებული. სიმღერის ტექსტი იმდენად ღრმა და ფილოსოფიურია, რომ მრავალფეროვანი ინტერპრეტაციისა და პარალელების გაგების საშუალებას იძლევა.

## შეხვედრა საინტერესო ადაშიანებთან

შეწერლები, ფოტოგრაფები, სამოქალაქო აქტივისტები, რედაქტორები, მთარგმნელები... სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გამოცდილების მოსმენა მოზარდებს ჰაერით სჭირდებათ, რადგან მათი მიკროსოციალურ უმრავლესობაში, თანატოლებით არის შემოფარგლული, უფროსებთან ურთიერთობა კი მათ ცნობიერებას აამაღლებს, მოქმედების სურვილს გაუღვივებს, საქმის სიყვარული პირად მაგალითად ექცევათ. ამიტომ მათი ჯვანსალი განვითარებისთვის დიალოგის ფორმატში შეხვედრების გამართვას ვეცდები.

## მუზეუმები

მუზეუმში სტუმრობა სასწავლო პროცესის განუყოფელ

ნაწილად უნდა იქცეს. ქალაქში ბევრი მუზეუმი და შეიძლება მათი ეტაპობრივად მონახულება სხვადასხვა მიზნით. ჩემი დაკვირვებით, რომელიმე ერთი ექსპონატის ირგვლივ აქტივობების დაგეგმვა უფრო შედეგიანია. მაგალითად, მესამე კლასს გავაცანი ქართული ხალხური ლექსი „საბრალო დედაბრისასა“. ცისფერ გალერეაში გამოფენილია ნიკო ფიროსმანის სურათი „კალოს ლეწვა“. სწორედ მის სანახავად ვაპირებ მოსწავლეების წაყვანას, რათა ლექსში ასახული პროცესი ვიზუალურად აღიქვან. გასულ წელს ოთხივე კლასი რამდენჯერმე წავიყვანე სხვადასხვა მუზეუმში. ეს არაფორმალური გასვლები იმდენად საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებთან ერთად კვლავ ვგეგმავ მუზეუმებში სტუმრობას.

## ყოველდღიური ჩანახარები

სკოლაში გატარებული დღეები ფერად ხალიჩას მაგონებს. ამბები ძაფებივით ეწვნის ერთმანეთს და თხრობის სურვილს გიჩენს. თანამედროვე სამყარო ამბის თხრობის ერთ-ერთ ფორმად მედიას იყენებს, რაც პრაქტიკის გაზიარების სწრაფი და მოხერხებული გზაა. გადავწყვიტე, დღის ტექსტებსა და ბავშვებზე დღიურში ვწერო. საინტერესო იქნება სასკოლო ცხოვრების ერთწლიან ამბებზე დაკვირვება.

## კვლევა საშინაო დავალების ირგვლივ

რეაქლიანმა პრაქტიკამ საშინაო დავალების შესახებ პირადი

შენდულებები ჩამომიყალიბა. კერძოდ, როდესაც ბავშვს საშინაო დავალება არ აქვს შესრულებული, ძირითადად საკუთარ თავს ვაბრალებ: ან ინსტრუქციის მისაცემად დრო არ მეყო, ან დავალება არ აღმოჩნდა საკმარისად საინტერესო, ან ოჯახური მდგომარეობა გამომეპარა. საშინაო დავალების უქონლობის გამო ბრაზი ენერჯის ფუჭი ხარჯვაა. ხშირად ვაკვეთილზე ვაძლევ საშუალებას, დავალება შეასრულონ. მინდა, საშინაო დავალების შესახებ ჩავატარო კვლევა და შედეგები კოლეგებს, მშობლებსა და პედაგოგებთან დაინტერესებულ ადამიანებს გაუზიარო.

### პირადი წერილების კვირეული

მრავალრიცხოვან სკოლებში ბავშვები ერთმანეთს არ იცნობენ, რაც გაუცხოებას, შიშს, შფოთვის იწვევს. ერთმანეთის გასაცნობად და საკუთარი განცდების გასაზიარებლად ხშირად ვიყენებ პირად წერილებს. პერსონაჟების გარდა, წერილები მიგვიწერია მწერლისთვის, საგნის მასწავლებლისთვის, კლასელისთვის, კლასელის დედისთვის, წიგნის ავტორისთვის, პარალელურკლასელისთვის... სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეების დასამეგობრებლად პირადი წერილების კვირეულის გამართვას ვაპირებ.

### საექტაკლები

საექტაკლის დადგმა ჩემი ოცნებაა, რომელიც ქალაქის საჯარო სკოლაში პანდემიის გამო ვერ ავიხდინე. ეს წლის ყველაზე დიდ სირთულედ მესახება ახლაც,

რადგან საექტაკლისთვის დრო არ არსებობს - დაირეკება თუ არა ზარი, ბავშვები შინ გარბიან. არადა, საექტაკლში მონაწილეობით ბავშვები უნიკალურ გამოცდილებას იძენენ.

მტკიცეულად განვიცდი საექტაკლის გარემო ჩავლილ წლებს. ერთადერთ გამოსავლად მესახება სემესტრის ბოლოს ორი კვირის გამონახვა სცენარის გასაცნობად, როლების გასანაწილებლად, რეპეტიციების გასამართავად, რეკვიზიტების მოსამზადებლად.

### კლასის ბიბლიოთეკა

გასულ წელს მესამე კლასში ფანჯარას საღებავით „კლასის ბიბლიოთეკა“ დავაწერე და შინიდან წაღებული წიგნები და საბავშვო ჟურნალები რაფაზე განვათავსე. შესვენებებზე ბავშვები ინტერესით ათვალიერებდნენ წიგნებს და ჟურნალებს, აკვირდებოდნენ ილუსტრაციებს. კვლევების მიხედვით, ქართველი ბავშვების უმეტესობას შინ საბავშვო წიგნები არ აქვს. ჩემი მიზანია, სკოლაში მანაც ჰქონდეთ წიგნი-ერთი გარემო, რაც მათ მრავალხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. ახალი სასწავლო წლიდან თითოეულ კლასში ბიბლიოთეკის მოწყობას მეტ ყურადღებას დავუთმობ და შევეცდები, ამაში სასკოლო თემიც ჩავართო.

### გამოფენა-გაყიდვა მენარმოების განვითარებისთვის

ხელნაკეთი წიგნების გამოფენა-გაყიდვამ და ჩრდილების თეატრში სტუმრობამ მე და ჩემს მოსწავლეებს, მათ მშობლებს

და სკოლის ადმინისტრაციას ერთხელ კიდევ დაგვანახა, რადიდი ძალა აქვს ერთი საქმის ირგვლივ გაერთიანებას. ამ ყველაფრით უფროსკლასელებიც დაინტერესდნენ და სურვილი გამოთქვეს, თავადაც გამართონ ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. სასკოლო ასაკში სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ზრუნვა საჭირო და დროულია.

ჩემ მიერ აღწერილ აქტივობათა უმრავლესობას პირადი პრაქტიკიდან გთავაზობთ. ისინი ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზეა ორიენტირებული. მასწავლებლის საქმიანობაში ბალანსის დაცვა ძალიან რთულია. ხშირად ძილიც მიფრთხება რომელიმე ბავშვზე დარდით, რესურსების დამზადებას, ვაკვეთილის დაგეგმვას მთელი დღე მიაქვს. გადავწყვიტე, ვაკვეთილების შემდეგ რამდენიმე საათით დავრჩე სკოლაში და შინ აღარ წავიღო რვეულები თუ ტესტები გასასწორებლად, იქვე მოვემზადო მეორე დღისთვის და ამგვარად მასწავლებლის ცხოვრების თანამდევ სტრესი და შფოთვა შევამცირე.

თითოეულ მასწავლებელს მთელი გულით ვუსურვებ ჯანმრთელობას, ენერჯიას, ხალისს, პროფესიულ სიხარულსა და მადლიერებას. მწამს, რომ სამყაროსა და ჩვენი ქვეყნის უკეთესობისკენ შეცვლა შეგვიძლია.



**დიფერენცირებული სწავლება თითოეული მოსწავლის საჭიროებების, ინტერესებისა და მზაობის გათვალისწინებას გულისხმობს. არჩევანის თავისუფლება, დამოუკიდებლობისა და ინდივიდუალობის განვითარება სწავლა-სწავლების მამოძრავებელი ფერძია.**



ნინო ლომიძე

# ფრანკლინის მეთოდი – თუ „წერა არ შეგიძლია“, სცადე ეს!

**წერილობითი მეტყველება – ეს არის უნარი, რომელსაც ყოველდღიური რამდენიმეწუთიანი ვარჯიშით აუცილებლად განივითარებ. საკვანძო სიტყვა კი „შრომაა“. სისტემატური შრომა ნაყოფს გამოიღებს.**

„წერა არ შეგიძლია“, „წერის ნიჭი არ მაქვს“, „წერილობით აზრების მოწესრიგება არ გამომდის“, – ხშირად იმეორებენ ისინი, ვინც დარწმუნებული არიან, რომ წერას განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება.

არადა, ჩემი მრავალწლიანი გამოცდილება ადასტურებს: წერა შეუძლია ყველას, ვისაც ფიქრი შეუძლია. თუ ფიქრი ძალგაძის, ნაფიქრალის სიტყვებში მოქცევა და ფურცელზე გადმოტანა მხოლოდ ტექნიკური საკითხია.

წერილობითი მეტყველება – ეს არის უნარი, რომელსაც ყოველდღიური რამდენიმეწუთიანი ვარჯიშით აუცილებლად განივითარებ. საკვანძო სიტყვა კი „შრომაა“. სისტემატური შრომა ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს.

ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდი წერილობითი მეტყველების გასაუმჯობესებლად, ნებისყოფის განსამტკიცებლად და ჩვევის ჩამოსაყალიბებლად ფრანკლინის მეთოდია. მას დღესაც აქტიურად იყენებენ სკოლებსა და უნივერსიტეტებში.

### ვინ იყო ბენჯამინ ფრანკლინი?

ის არ ყოფილა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, როგორც ხშირად ჰგონიათ.

ის იყო:

- 🍏 ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი დამფუძნებელი მამა;
- 🍏 პოლიტიკოსი;
- 🍏 მეცნიერი;
- 🍏 გამომგონებელი;
- 🍏 გამომცემელი;

- 🍏 მოქალაქე;
- 🍏 საზოგადო მოღვაწე;
- 🍏 დიპლომატი;
- 🍏 მკვლევარი.

მას ხელი აქვს მოწერილი ამერიკის შეერთებული შტატების როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისთვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებზე. უშუალო მონაწილეა სახელმწიფოს შექმნისა და აღმშენებლობის.

გარდა ამისა, ის იყო ადამიანი, რომელმაც თვითაღზრდის, თვითდისციპლინის წყალობით მიაღწია ამ ყველაფერს, იცხოვრა ხანგრძლივი, ნაყოფიერი, საინტერესო თავგადასავლებით სავსე ცხოვრებით და უკეთესობისკენ შეცვალა არა მარტო საკუთარი, არამედ ქვეყნის მომავალი.

ყველა ქვეყანას ჰყავს ეროვნული გმირი, გამორჩეული ადამიანი, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქვეყნის ისტორიაში. არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ქმედებით, იდეებით, საქმით ეპოქალურ ძვრებს ახდენენ. ასეთი იყო ბენჯამინ ფრანკლინიც. ის დაიბადა მე-18 საუკუნის დასაწყისში. გარდაიცვალა ამავე საუკუნის ბოლო ათწლეულში.

### რამდენიმე ბიოგრაფიული ცნობა

ბენჯამინი 16-შვილიანი ოჯახის ნაბოლარა ვაჟი იყო (მის შემდეგ ერთი გოგონა ეყოლა). მამა ხელობით არჩენდა ოჯახს. სკოლაში შესვლა მხოლოდ 8 წლისამ შეძლო, მაგრამ ორ წელიწადში, უსახსრობის გამო, მისი მიტოვება მოუხდა. სისტემური განათლება მას შემდეგ აღარ მიუღია.



თავად, დამოუკიდებლად, წიგნების საშუალებით შეისწავლა არითმეტიკა, შეიმუშავა მეთოდი, რომლის გამოყენებითაც გაიუმჯობესა წერითი მეტყველება, დაინტერესდა ნავიგაციით და ამ დარგშიც გათვითცნობიერდა.

ბენჯამინ ფრანკლინის ოჯახს არ ჰქონდა საშუალება, სათანადო განათლება მიეცა ბიჭისთვის. მამას სურდა, მის შვილს რაიმე ხელობა ესწავლა და თავი ისე ერჩინა. ადრეულ ასაკშივე ბენჯამინს ტიპოგრაფიას შეასწავლიან და ოსტატის თანაშემწედ დაიწყებს მუშაობას. ტიპოგრაფია საგამომცემლო საქმიანობის წინაპარია. ერთი მხრივ, ბენჯამინს საშუალება მიეცა, საყვარელი წიგნები ეკითხა, მეორე მხრივ კი მას მოგზაურობა, სიახლეების შეცნობა და საკუთარი გზის პოვნა სურდა.

17 წლის ბენჯამინი შინიდან გაიქცა და გემით ფილადელფიაში ჩავიდა. ჯიბეში ერთი დოლარი და რამდენიმე შილინგი ედო. ამ ქალაქში არავის იცნობდა, მაგრამ ხელობის წყალობით მალევე იშოვა სამუშაო, მცირე ხანში მოახერხა საკუთარი საქმის წამოწყება და ამ დარგში ერთ-ერთი ავტორიტეტიც გახდა. მას შემდეგ ბენჯამინ ფრანკლინი ფილადელფიაში დაფუძნდა.

### ორი საინტერესო მოგონება მისი ბავშვობიდან:

- პატარა ფრანკლინი და მისი მეგობრები მდინარის პირას ბევრ დროს ატარებდნენ. მდინარესთან ჩასასვლელი შლამიანი და

ტალახიანი იყო. ფრანკლინმა შემოიკრიბა ბიჭები და მოშორებული ადგილიდან „ჭიანჭველების პრინციპით“ ქვების გადმოზიდვას შეუდგა. ცოტა ხანში წყლის დონეს აცდენილი „პირსი“ მზად იყო. თუმცა ბიჭებს გვარიანად მოხვდათ მშენებლებისგან, რომლებსაც ეს ქვები თავიანთი საქმისთვის სჭირდებოდათ. ავტობიოგრაფიაში ბენჯამინი აღნიშნავს, რომ ამ პირსის მშენებლობამ ორი მნიშვნელოვანი რამ ასწავლა: ერთი – რაიმე საქმისთვის ადამიანების გაერთიანება ადვილია, თუ მათ საყოველთაო სიკეთეში დაარწმუნებ, თუ დაანახვებ, რომ ერთობლივი საქმიანობის ნაყოფი ყველას გამოადგება და მეორე – არაკეთილსინდისიერი გზით რამის მოპოვება, თუნდაც სასიკეთო საქმისთვის, არ შეიძლება.

• ბენჯამინმა ცურვა ადრევე ისწავლა, მეგობრებსაც ასწავლა და დაიწყო იმაზე ფიქრი და ზრუნვა, როგორ ეცურათ უფრო სწრაფად, უფრო მოხერხებულად. დაკვირვების შედეგად მან „აღმოაჩინა“, რომ ადამიანის ტერფები და მტევნები, ზომისა და ფორმის გამო, საგრძნობლად ანელებს სისწრაფეს, ამიტომ მტევნებსა და ტერფებზე ჩამოსაცმელი ოვალური ფორმის პატარა „ნიჩბები“ გააკეთა, დაიმატრა და სწრაფადაც გაცურა.



**ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდი წერილობითი მეტყველების გასაუმჯობესებლად, ნებისყოფის განსამტკიცებლად და ჩვევის ჩამოსაყალიბებლად ფრანკლინის მეთოდია. მას დღესაც აქტიურად იყენებენ სკოლებსა და უნივერსიტეტებში.**

**დაგვიკვირებელი და მოქმედი, სასიკეთო ცვლილებების შემოქმედი**

დაკვირვება, სასიკეთო ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება – ამგვარი ცხოვრებისეული დამოკიდებულების წყალობით ბენჯამინ ფრანკლინმა შეძლო, ქალაქის ყოველდღიურობა გაეუმჯობესებინა. მოიფიქრა, როგორ გაენათებინათ ბნელი ქუჩები იაფად და ისე, რომ ხშირად არ დასჭირვებოდათ ლამპიონების შეკეთება; შექმნა წყალსადინარი სისტემა, რომელიც წვიმის დროს წარმოქმნილ ნიაღვარს ქუჩების დასასუფთავებლად გამოიყენებდა. ამ დროს სიბოხს მთავარი წყარო სახლებში ღუმლები იყო. ფრანკლინმა შეიმუშავა ღუმლის ახალი ფორმა, რამაც ისინი უფრო ეკონომიური გახადა. როდესაც პატენტის აღება შესთავაზეს, უარი თქვა. „საზოგადოებისთვის სასარგებლო გამოგონებისგან მოგების მიღება არ მსურს. მე ბევრი რამით ვარ დავალებული კეთილი ადამიანებისგან. უანგაროდ მიღებული სიკეთე ასევე უანგაროდ უნდა გაიცეს“, – ამბობდა ის. მან დააარსა ბიბლიოთეკა (დაიწყო პატარა სამკითხველოთი – დღეს ეს სამკითხველო ამერიკის შეერთებული შტატების პირველ საჯარო ბიბლიოთეკად არის ცნობილი), სასწავლებელი, რომელიც დღეს ამერიკის ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი უნივერსიტეტია (პენსილვანიის უნივერსიტეტი), შექმნა სახანძრო უსაფრთხოების სამსახური და პატრულირების სისტემა, რამაც ფილადელფია უსაფრთხო, მოწესრიგებულ, მშვიდ, მოწინავე ქალაქად აქცია.

ბენჯამინ ფრანკლინის გამოგონებათა შორისაა მენამრიდი.

**ფრანკლინის მეთოდი – „ასწავლე წერა საკუთარ თავს!“**

როდესაც ბენჯამინ ფრანკლინმა აღმოაჩინა, რომ არ შეეძლო, წერილობით სათანადოდ გამოეხატა საკუთარი მოსაზრებები, დაიწყო წერილი მეტყველების უნარის გაუმჯობესება. მის მიერ შეიმუშავებულ მეთოდს დღესაც წარმატებით იყენებენ მასწავლებლები.

ფრანკლინის მეთოდი ასეთია:

ბენჯამინი ხარბად ეწაფებოდა წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებს. მის ერთ-ერთი საყვა-

რელ ჟურნალში იბეჭდებოდა სადა, მარტივი, ნათელი, დახვეწილი ენით დაწერილი სტატიები. ბენჯამინმა ჩვევად შემოიღო ყოველდღიურად ჟურნალიდან საუკეთესო სტატიების დამუშავება. დამუშავებაში შედიოდა კითხვა, ლექსიკური სამუშაო და წერა.

- 🍎 თავდაპირველად ის ყურადღებით კითხულობდა ტექსტს.
- 🍎 შემდეგ ყოფდა მონაკვეთებად და თითოეული მონაკვეთის მიხედვით წერდა მთავარ საზრისს, ერთი ან ორი წინადადებით, საკუთარი სიტყვებით გადმოჰქონდა აზრი რვეულში. ორი-სამი დღის შემდეგ ის უბრუნდებოდა საკუთარ თეზისებს და მეხსიერებით აღადგენდა სტატიას. ცდილობდა, რაც შეიძლება მიემსგავსებინა თავისი ნაწერი ორიგინალისთვის.
- 🍎 ამის შემდეგ ის ამოწმებდა ნაწერს და აჯერებდა ჟურნალის სტატიას. ყველა ცდომილებას ცალკე ამუშავებდა.

ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად და გასააქტიურებლად ხშირად თხზავდა ლექსებს – „ეს მეხმარებოდა სწორი სიტყვების გახსენებასა და აზრის ცხადად გამოხატვაში. ლექსების წერამ კარგად გამიწაფა წერილი მეტყველება. ყველასთვის საბედნიეროდ, მეყო გონება ან უბრალოდ გამიმართლა და არ გავხდი პოეტი“, – ხუმრობს ის ავტობიოგრაფიაში.

ბენჯამინ ფრანკლინის მეთოდი თავადაც შეგიძლია გამოიყენო. შედეგს აუცილებლად შეამჩნევ.

- 🍎 ბენჯამინ ფრანკლინი იყო იმვითი დისციპლინისა და ნებისყოფის მქონე ადამიანი. ცხოვრების განსაზღვრულ პერიოდში მან უარი თქვა ხორცის ჭამაზე. დროც ეზოგებოდა (საკვების მიღების პროცესი უფრო სწრაფი იყო) და ნებისყოფაც ეწრთობოდა. შეიმუშავა რამდენიმე პრინციპი, რომლებითაც მთელი ცხოვრება ხელმძღვანელობდა.
- 🍎 ბენჯამინ ფრანკლინი მონებით ვაჭრობის წინააღმდეგი იყო. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, როგორც ფერადკანინათა მონობისგან განმათავისუფლებელი საზოგადოების თავმჯდომარემ, მან დაწერა კონგრესში წარსადგენი პეტიცია, რომლითაც მონობის გაუქმებას ითხოვდა.



# ალბერსის ხელოვნების გაკვეთილები



ირენა მახრაძე

იოზეფ ალბერსი (1888-1976) მეოცე საუკუნის მოდერნიზმის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა (მხატვარი, მწერალი, ფერის თეორეტიკოსი, დიზაინერი, მასწავლებელი), რომელმაც თავისი ნამუშევრებით და გავლენიანი პედაგოგიური მოღვაწეობით (ბაუჰაუზში, შავი მთის კოლეჯ-სა და იელის უნივერსიტეტში) თანამედროვე ხელოვნებაში ახალ ხედვას და იდეებს გაუკვალა გზა. *(სურ. 1)*

იოზეფ ალბერსი 1888 წლის 19 მარტს ბოტროპში, გერმანიაში დაიბადა. 1905-1908 წლებში ბურენში მასწავლებლის პროფესიას ეუფლებოდა. 1908-1913 წლებში ვესტფალიის დაწყებით სკოლაში ასწავლიდა. ბერლინის სამეფო ხელოვნების სკოლის დასრულების შემდეგ (1913-1915) კი სერტიფიცირებული ხელოვნების მასწავლებელი გახდა. 1920 წელს ხელოვნებას სწავლობდა ვაიმარში, ესენსა და მიუნხენში, სადაც მინაზე ხატვით იყო გატაცებული. 1923 წლიდან საბაზისო დიზაინის კურსს ასწავლიდა. როდესაც 1925 წელს ბაუჰაუზი დესაუში გადავიდა, ალბერსი პროფესორი გახდა. იქ ის ასევე მინასა და ლითონზე მუშაობდა, ავეჯის დიზაინს და ანაბეჭდებს ქმნიდა.

1930-იან წლებში იოზეფ ალბერსს ემიგრაციაში წასვლა მოუხდა (ამერიკის შერთებულ შტატებში გადასახლდა), რადგან ნაცისტებმა ბაუჰაუზი – ხელოვნებისა და აზროვნების ეს მოდერნისტული ცენტრი – დახურეს. 1933 წელს ალბერსი ჩრდილოეთ კაროლინაში ახლად დაარსებული შავი მთის კოლეჯის ხელოვნების დეპარტამენტის

ხელმძღვანელი გახდა და 1949 წლამდე ასწავლიდა იქ.

ალბერსმა და მისმა მეუღლემ, ანიმ, თანამედროვე ტექსტილის ხელოვნების ფუძემდებელმა, ბაუჰაუზში მიღებული ცოდნა და გამოცდილება შავი მთის კოლეჯში ჩაიტანეს.

შავი მთის კოლეჯი 1957 წელს დაიხურა, მაგრამ თანამედროვე მხატვრობაზე, მუსიკაზე, ცეკვაზე, თეატრზე, დიზაინსა და ლიტერატურაზე მისი გავლენა დღემდე იგრძნობა.

ეს სასწავლებელი ხელოვნებაში სწავლა-სწავლების ახლებურ იდეებს ქადაგებდა, რომლებიც ამერიკელი ფილოსოფოსის, ფსიქოლოგისა და განათლების სპეციალისტის ჯონ დიუის (1859-1952) პროგრესული განათლების კონცეფციას ეყრდნობოდა. დიუის აზრით, განათლება უნდა ემყარებოდეს გამოცდილებას, რადგან გამოცდილება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანის მომავალს; განათლება სოციალური ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს, რადგან სწორედ იდეებისა და გამოცდილების გაზიარებით მიიღწევა სოციალური პროგრესი<sup>1</sup>.

შავი მთის კოლეჯში იოზეფ ალბერსი სკოლის მასწავლებლობის გამოცდილებას ეყრდნობოდა, სწავლების დროს გაცვეთილების გეგმებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ ლექციების ნაცვლად პრაქტიკული ექსპერიმენტებით ცდილობდა სტუდენტების წახალისებას. პროცესი ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც საბოლოო პროდუქტი.

**ალბერსის აზრით, მხატვრებს თვალები ფართოდ უნდა ჰქონდეთ გახელილი მგრძობიარე ხაზების, ფორმებისა და ელფერების დასანახავად, რომლებიც ხშირად შეუმჩნეველი რჩებათ.**

**შენიშვნა:**

<sup>1</sup> დიუის განათლების კონცეფცია To Open Eyes How to Be an Artist, According to Josef Albers, Sarah Gottesman Josef Albers – guggenheim.org



იოზეფ ალბერსი, 1968,  
© ანრი კარტიე ბრესონის ფოტო

და ეს მეთოდი ეფექტური აღმოჩნდა. მიუხედავად ინგლისური ენის არც ისე კარგი ცოდნისა, უცხოებით და პერფომანსით ალბერსი მშვენივრად ახერხებდა სტუდენტებთან კომუნიკაციას, რომ მხატვრობა და ხელოვნება ახლებურად, ცოცხალი პერსპექტივებით დაენახებინა (სურ.2).

როდესაც შავი მთის კოლეჯში სტუდენტებმა ჰკითხეს, რას გვასწავლითო, ალბერსმა უპასუხა: „თვალის გახელას“. ხედვისა და წარმოსახვის გავარჯიშების ეს მარტივი პრინციპი მის სახელგანთქმულ ნახატების სერიასაც „პატივის მიგება კვადრატს“ (Homage to the Square) შეიძლება მივუსადაგოთ. ის ასეულობით ნამუშევარს მოიცავს, სადაც მხატვარი ერთმანეთში ჩასმული კვადრატების ქრომატულ ურთიერთობებს მკაცრად იკვლევს. ეს აბსტრაქციები მასონიტზე ზეთის საღებავებით მასტეხინით არის შესრულებული. ერთი შეხედვით, ეს მინიმალზმი ან მარტივი აბსტრაქცია შეიძლება გვეგონოს. მაგრამ ნახატები მნახველისგან გაცილებით მეტს მოითხოვს – ფერისა და ფონის ურთიერთობის აღქმას: კვადრატები იდეალურად ცენტრში არ არის განლაგებული – ოპტიკურ ილუზიას ქმნის, თითქოს ქვევით მიიწევს და დაკვირვების დროს

მოძრაობას იწყებს. ისინი ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ, ერთი ფერი მეორეს აძლიერებს, ხან უკანა პლანზე აბრუნებს, ხან წინ წამოსწევს. (სურ. 3)

ალბერსი იშვიათად ურევდა ფერებს, სუფთა ფერებით ხატავდა. მისთვის ნახატი ფერის, ფონის, ფორმისა და მაყურებლის თანაობაა. თავის წიგნში „ფერების ურთიერთქმედება“ (1963) ის წერდა: „მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ფერი, ტონი, ნახევარტონი არსებობს, ყოველდღიურად მხოლოდ 30-მდე ფერის სახელს ვიყენებთ“. მას მიაჩნდა, რომ ჩვენი ლექსიკა მეტისმეტად მწირია, რათა ფერების ნიუანსები გადმოსცეს. ალბერსი სტუდენტებს ექსპერიმენტებს ატარებინებდა, რომ თავად დაჰკვირვებოდნენ და შეესწავლათ ფერების ურთიერთქმედება: როგორ შეუძლია ერთ ფერს სხვა ფერების გარემოცვაში განსხვავებული ინტენსივობა და ხარისხი შეიძინოს.

გაკვეთილზე ალბერსი სტუდენტებს სთხოვდა სამი სხვადასხვა ფერის ფურცლის აღებას და ისე დალაგებას, რომ ოთხი განსხვავებული ფერი მიეღოთ. მეორე ექსპერიმენტის დროს კი საპირისპიროდ უნდა მოქცეულიყვნენ – ოთხი ფერისგან

სამი გამოცევიანათ. ალბერსის აზრით, ფერადი ფურცლები ფერისა და ფონის ურთიერთქმედების გასააზრებლად იდეალური იყო - იაფი, სწორი, მთლიანად დაფერილი და, რაც მთავრია, ნაკლები ნარჩენით. (სურ. 4)

„ფერის ეფექტურად გამოსაყენებლად აუცილებელია იმის აღიარება, რომ ფერი მუდმივად გვატყუებს“, – წერდა ალბერსი ამ დავალებების შესახებ. ფერის მისეული აღქმა ნაკლებად ჰგავდა ფიზიკურ თვისებებს, რომლებიც სამეცნიერო პრიზმულ სისტემებშია ასახული. ფერი, მისი თეორიით, ურთიერთფარდობითი და უსასრულოდ ცვალებადია.

2013 წელს, „ფერთა ურთიერთქმედების“ 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად, იელის უნივერსიტეტმა ალბერსის ფერთა თეორიის აიპადის ვერსია (Interaction of Color App Demo Trailer) გამოუშვა. აპლიკაციას ვირტუალური ფერადი ქალაქი აქვს და მომხმარებელს მისი დაჭრა, გადაადგილება, ჩასმა, სხვა ტონებთან შეხამება შეუძლია – იმისთვის, რომ ფერთა თამაშის ილუზია თვალმა აღიქვას.

ნახატის სწავლებისას ალბერსი მოწაფეებს მარტივ სავარჯიშოს ასრულებინებდა. ის მათ ფურცელზე თავიანთი სახელების დაწერას და დასრულებისთანავე ხელის მაღლა აწევას ავალებდა. სტუდენტები დავალებას თვალის დახამხამებაში ასრულებდნენ. შემდეგ ალბერსი სახელების უკუღმა დაწერას სთხოვდა და სტუდენტებს ცოტა აგვიანდებოდათ ხელის აწევა, რადგან ახალგაზრდა მხატვრები გონებაში ასოების ფორმებს უნდა დაკვირვებოდნენ, წარმოსახვისა და ფიქრისთვის კი დრო სჭირდებოდათ. ალბერსი ასწავლიდა მათ, რომ ხატვის ყოველ ნაბიჯს გონების ინტენსიური კონცენტრაცია სჭირდება.

იელში მუშაობისას, როდესაც ალბერსი რომელიმე მოწაფეს გაფანტულობას შეატყობდა, მოპირდაპირე ქუჩაზე სამხატვრო მასალების მაღაზიაში გაგზავნიდა, რომ სამდოლარიანი სახატავი ქალაქი ეყიდა, რომელიც მამინ საკმაოდ ძვირი იყო. ამით შეგირდებს ასწავლიდა, ისევე მოფრთხილებოდნენ იმ იაფფასიან ქალაქსაც, რომელზეც ფიგურულ ნახატებს ხატავდნენ.

ალბერსის ყოფილი სტუდენტი რობ როი კელი იხსენებს, რომ სემესტრის ბოლოს მასწავლებელი

სტუდენტების ჩანახატების წიგნაკებს მოაგროვებდა ხოლმე და ამოწმებდა, როგორ ჰქონდათ გათავისებული მასწავლებლის რჩევები. და თუ იქ, სერიოზულ ჩანახატებთან ერთად, მიჩნაპნილ ტელეფონის ნომრებს, მულტფილმების გმირებს, მინაწერებს ან რამე სხვას ნახავდა, საშინლად ბრაზდებოდა. უფრო მეტიც: მოითხოვდა, ყოველი გვერდი გულდასმით შესრულებული ნახატით ყოფილიყო შევსებული და წიგნაკებში ფურცლებსაც კი ითვლიდა, რომ დარწმუნებულიყო – არ ატყუებდნენ და გაფუჭებული ნახატების გამო ფურცლებს არ ხევდნენ.

„ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენ არ ვართ მდიდრები, ღარიბები ვართ, – ასე განაცხადა ალბერსმა ბაუჰაუზში თავისი შესავალი კურსის კითხვისას, თან ხელში გაბეთების დასტა ეჭირა, – ყველა ხელოვნება მასალით იწყება... მე მსურს, პატივი სცეთ მასალას და ის გონივრულად გამოიყენოთ – შეინარჩუნოთ მისი თავდაპირველი მახასიათებლები“.



**ალბერსს გააზრებული ჰქონდა, რომ ვიზუალურ ველში ყველაფერი კონტექსტში არსებობს, რომ ყოველი ხაზი და ფერი ზემოქმედებას ახდენს მომიჯნავე ხაზსა და ფერზე.**

იოზეფ ალბერსი თავის კლასთან ერთად შავი მთის კოლეჯში, კადრი Life magazine-სთვის © შენევივ ნეილორის ფოტო / Corbis via Getty Images

შემდეგ ალბერსი სტუდენტებს პირველ დავა-  
ლებას აძლევდა: გაზეთები მხოლოდ თითების  
დახმარებით უნდა გარდაესახათ. მაკრატილისა და  
წებოს გამოყენება აკრძალული იყო. სტუდენტებს  
შემოქმედებითობა, ფაქტობრივად, ცარიელი ხე-  
ლებით უნდა გამოეფინათ, ახალი შესაძლებლო-  
ბები მასალის საშუალებით უნდა აღმოეჩინათ.

ალბერსის დაკვირვებით, მისი მოწაფეები დიდი  
თავისუფლების გრძობით მუშაობდნენ უც-  
ნობი, არატრადიციული მასალებით. თიხისა  
და მარმარილოს ნაცვლად მან თავისი კლასები  
გოფირებული მუყაოთი, ქალაღის ლენტებით,  
მავთულით, საღებავით რეზინით გაავსო და სტუდენტ-  
ტებს აქებებდა, რომ ამ ნივთებისთვის საინტერე-  
სო გამოყენება ეპოვათ.

ამ მეცადინეობათა მიზანი სულაც არ ყოფილა  
ხელოვნების ნიმუშის შექმნა. სინამდვილეში ალ-  
ბერსს სურდა, სტუდენტებს მასალების ყურადღე-  
ბით გამოყენება ესწავლათ.

ალბერსის მეთოდი პირდაპირ დაკვირვებას და  
თვითაღმოჩენას ეყრდნობოდა. ყურადღების


კონცენტრირებასთან ერთად, ის სტუდენტებს  
ასწავლიდა, ბოლომდე შეეგრძნოთ სამყაროს  
ვიზუალური ფენომენები – სინათლის ციციმი  
ტელევიზორის ჩართვისას, ფერის მოძრაობა,  
როდესაც ჩაის პაკეტი ცხელ წყალს ეხებოდა.  
ალბერსის აზრით, მხატვრებს თვალები ფართოდ  
უნდა ჰქონდეთ გახელილი მგრძობიარე ხაზების,  
ფორმებისა და ელფერების დასაანახავად, რომლე-  
ბიც ხშირად შეუმჩნეველი რჩებათ.

როგორც მისი ნამუშევრები მოწმობს, ალბერსს  
გააზრებული ჰქონდა, რომ ვიზუალურ ველში  
ყველაფერი კონტექსტში არსებობს, რომ ყოველი  
ხაზი და ფერი ზემოქმედებას ახდენს მომიჯნავე  
ხაზსა და ფერზე. სკამის ფეხებს შორის, რძის ბოთ-  
ლებს შორის, ფორთოხლებს შორის, მცენარის  
ფოთლებს შორის არსებული სივრცეების ხატვა  
დაეხმარება მხატვარს, განივითაროს ეს აღქმა.  
სივრცე არასდროს არის მთლიანად „ცარიელი“.  
თუ სტუდენტები ამ დეტალებს უფრო მეტ ყურად-  
ღებას მიაქცევენ, ისინი ძლიერი კომპოზიციების  
შექმნას შეძლებენ და იქნებ უკეთესი ადამიანე-  
ბიც გახდნენ.

ალბერსის გაკვეთილები სტუდენტებს ხშირად  
ვერდნახულ ვიზუალურ რეალობას აცნობდა.  
მოწაფეები, თავიანთი სახელების უკულმა ან  
თავდაყირა წერით, ასოების გამოყვანით, ან  
ყურადღებით ჩახატული სივრცეებით, რომლებ-  
საც ხალიჩებსა და სკამებს შორის ხედავდნენ,  
„ნეგატიურ“ ან „შეუცხებელ“ ფორმებს ეცნობოდ-  
ნენ, თავისუფალი ხელით შესრულებული ხაზების  
მარტივი სავარჯიშოებით კი აღმოაჩენდნენ, რომ  
ხაზები და ფორმები ერთმანეთს აწვებიან ან ავსე-  
ბენ, კავშირებს, რიტმს, დაძაბულობას ქმნიან. თა-  
ვიანთი სახელების უკულმა ხატვით თუ გაზეთის  
ტექსტის იმიტაციით ისინი აღმოაჩენდნენ, რომ ეს  
განსხვავებული ხასიათის ფორმები იყო.

მარტივი მასალებით (ქალაღი ან მავთული)  
კონსტრუირებისას სტუდენტები სწავლობდნენ,  
რომ ღრმული და სიცივლე ისეთივე მნიშვნელო-  
ვანია, როგორც სიმყარე. ასამბლაჟებში ფერების  
გადაკვეთით ან განსხვავებული მასალების  
კომბინირებით ისინი ერთი ელემენტის მეორეზე  
ზემოქმედებას იკვლევდნენ. ამ სავარჯიშოების  
სიმარტივე შესაძლებელს ხდის, დააკვირდე  
უმცირეს, უფაქიზეს მოვლენებს – ფერის ნიუანსს,  
მრუდის ზუსტ ბუნებას, ქალაღის მოხეული  
ნაწილის ხასიათს.


Homage to the Square: Apparition,  
1959, Oil on Masonite, Solomon R.  
Guggenheim Museum, New York,  
© 2018 The Josef and Anni Albers  
Foundation/Artists Rights Society  
(ARS), New York



# La interacción del color

Josef Albers

ALIANZA FORMA



Josef Albers, Interaction of Color, #slide7

ალბერსისთვის ხელოვნების გაკვეთილები ცხოვრების გაკვეთილები იყო. და მას სჯეროდა, რომ სტუდენტებს, რომლებიც „ვიზუალურ ემპათიას“ ივითარებდნენ, აუცილებლად ექნებოდათ სოციალური თანაგრძობაც. „პატივი ეცი სხვა მასალას ან ფერს... ან შენს მეზობელს. პატივი ეცი მას, ვისაც ყურადღებას არ აქცევდით“, - ეუბნებოდა ის მოსწავლეებს.

იოზეფ ალბერსისეული ხელოვნების სწავლება წესების, სტილის ან ტექნიკის ახსნას არ გულისხმობდა. ის სტუდენტებს ნანახის გაცნობიერებას, „თვალის ახელას“ ასწავლიდა. მისთვის ხელოვნების სწავლების საფუძველი იყო მძაფრი ხედვის უნარის განვითარება, ვიზუალური ველის გააზრე-

ბულად შესწავლა ძირითადი ელემენტების – ხაზის, ფორმის, ფერისა და ტექსტურის მემვეობით. რეალურად რას ვხედავთ, რამდენად კარგად შეგვიძლია დანახვა, როგორ შეგვიძლია, ჩვენი აღმოჩენები აზრიან ნამუშევრებად ვთარგმნოთ – ალბერსი გრძნობდა, რომ ხელოვნების გაკვეთილებზე მთავარი არა ფორმის შესახებ თეორიები, არამედ ეს საკითხები უნდა ყოფილიყო.

ვიზუალური აღქმის უნარის განვითარების გზების პოვნაში ალბერსს ალბათ ვერაგინ შეედრება. ეს სავარჯიშოები მისი პედაგოგიკის ძლიერი მხარე იყო. მისი აღტაცების გრძნობა და ხილული სამყაროს სხვებისთვის გაზიარების შესანიშნავი უნარი აცოცხლებდა ყველაფერს, რასაც კი შეეხებოდა. ალბერსი თავის მოსწავლეებს ეუბნებოდა: „ისწავლეთ ცხოვრების დანახვა და შეგრძნება“, „წარმოსახვა ამუშავეთ, რადგან ჯერ კიდევ არის საოცრებები სამყაროში, რადგან ცხოვრება საიდუმლოა და ყოველთვის ასე იქნება. მაგრამ გახსოვდეთ, ხელოვნება ნიშნავს – გჯეროდეს, გწამდეს, რაც ხედვის განვითარებას გულისხმობს“.

იოზეფ და ანი ალბერსების ფონდის მიერ შექმნილი ვებგვერდი „ალბერსი ბავშვებისთვის“ (Albers for kids) საინტერესო სავარჯიშოებს გვთავაზობს. აქ ალბერსების ნამუშევრების მიხედვით შედგენილი სახალისო დავალებები შეგხვდებათ ვიდეონსტრუქციებით, რაც ბავშვებს და მოზარდებს ფერებით ექსპერიმენტების ჩატარებაში დაეხმარება, თანაც მარტივად და მზიარულად – როგორ შეიძლება, ერთი ფერი გახდეს ორი, როგორ შეიძლება სახლში ნაპოვნი სათამაშოებით ფერების ბორბლის შექმნა, მარილით ხატვა და ა. შ.





მაია ბლიაძე

# გეოგრაფიის როლი თანამედროვე სამყაროში

**ამა თუ იმ მეცნიერების როლი თანამედროვე სამყაროში და მისი მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარების პროცესში მის მიერ შესრულებული ფუნქციებით განისაზღვრება.**

ამა თუ იმ მეცნიერების როლი თანამედროვე სამყაროში და მისი მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარების პროცესში მის მიერ შესრულებული ფუნქციებით განისაზღვრება.

გეოგრაფია ერთადერთი ფუნდამენტური მეცნიერებაა, რომელიც ერთდროულად სწავლობს საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთგამომკმედების პრობლემებს. იგი აქტიურად თანამშრომლობს მეცნიერებათა პრაქტიკულად ყველა ჯგუფთან: სოციალურ-თან, საბუნებისმეტყველოსთან, ტექნიკურთან და ა.შ. ცოდნის ურთიერთგამდიდრება ხელს უწყობს მეცნიერული ცოდნის მთელი სისტემის ფართო გეოგრაფიზაციას.

„გეოგრაფი არ უნდა იყოს მოსიარულე ენციკლოპედია, მაგრამ მან უნდა განავითაროს საკუთარ თავში ენციკლოპედიური ცნობისმოყვარეობა... გეოგრაფია ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ პროფესიას: იგი უფრო მეტად სამყაროს გაგების გზაა. გეოგრაფი არა მხოლოდ უყურებს და აკვირდება გარემოს და მასში მიმდინარე მოვლენებსა და

ცვლილებებს, არამედ ავტომატურად ცდილობს გაიაზროს, რას ხედავს, რატომ იცვლება ის, რასაც ხედავს, როგორია სხვა ადამიანების საქმიანობა, ცხოვრება და როლი ამ ცვლილებებში და უფრო ობიექტურად შეაფასოს საკუთარი ცხოვრება“, - ასე აფასებს გეოგრაფიის როლს გამოჩენილი ფრანგი გეოგრაფი, სორბონის უნივერსიტეტის პირველი ქალი პროფესორი ჟაკლინ ბოჟე-გარნიე.

XXI საუკუნეში გეოგრაფიული მეცნიერების შემეცნებითი ფუნქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ადამიანის კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და საზოგადოებასა და ბუნებას შორის ურთიერთგამომკმედების კანონზომიერებათა გააზრებას ემსახურება. ადამიანის მიერ დედამიწის შესწავლის საბოლოო შედეგიც ხომ სამყაროს გეოგრაფიული სურათია, რომელიც დედამიწისა და მისი განვითარების სივრცულ-დროითი მახასიათებლების შესახებ ჰოლისტურ გეოგრაფიულ წარმოდგენას გვიქმნის. გეოგრაფიის კონსტრუქციული როლი კაცობრიობის ცხოვრებაში გამოყენებითი გეოგრაფი-

ული კვლევის განვითარებით გამოინატება, რაც უახლესი მეთოდების, კომპიუტერული და დისტანციურ-კოსმოსური სივრცის გეოინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზეა დაფუძნებული.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გეოგრაფია დიდ როლს ასრულებს ბუნებრივი რესურსების, ბუნებათსარგებლობისა და გარემოსდაცვითი პრობლემების, ეკონომიკური პროექტების გარემოსდაცვითი ექსპერტიზის, ადამიანის საცხოვრებელი გარემოს მონიტორინგისა და სხვა სახის კვლევებსა და პრობლემების გადაწყვეტაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიის იდეოლოგიურ, კულტურულ-შემეცნებით, საგანმანათლებლო და საინფორმაციო ფუნქციებს. მას უდიდესი როლი აკისრია სამყაროს და მასში ადამიანის ადგილის შესახებ ცოდნის საფუძვლების ჩამოყალიბებაში. გეოგრაფია აფართოებს პიროვნების თვალსაწიერს, ეხმარება მას გლობალური პრობლემების გაგება-გააზრებაში, შესაბამისად, მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში, ხელს



უწყობს ადამიანებში ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთების ფორმირებას და, საზოგადოდ, სამყაროს მიმართ ადამიანის დამოკიდებულებას აყალიბებს.

მეტად მრავალფეროვანია გეოგრაფიის კულტურული და საგანმანათლებლო ფუნქციები. გეოგრაფიული კულტურა ნებისმიერი ხალხის კულტურის ნაწილია, რომელიც ამ ხალხის გარემოსთან ურთიერთობის კულტურას, ეთნიკური ურთიერთობების კულტურასა და საქმიანობის რეგიონულ კულტურას მოიცავს. გეოგრაფიულ კულტურას უკავშირდება აღმზრდელობითი ფუნქციებიც, რაც პიროვნების მაღალი ზნეობრივი და მორალური თვისებების ფორმირებითა და განვითარებით, სამშობლოს სიყვარულითა და ბუნების პატივისცემით, მიზნების დასახვისა და მიღწევის მდგრადობით ვლინდება.

გეოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია მისი ინფორმაციულობაა. აქ განსაკუთრებული ადგილი საგანმანათლებლო გეოგრაფიას უკავია, რომელიც ადამიანებს გეოგრაფიული ცოდნით „ამარაგებს“ და მათ გარემოსა და ადამიანების ურთიერთზემოქმედების შესახებ ინფორმაციის სწორად აღქმისა და გააზრებისთვის ამზადებს.

ჩვენს დროში გეოგრაფების საქმიანობის სფეროები და

ფუნქციები მეტად მრავალფეროვანია, თანაც მუდმივად ფართოვდება, რაც კაცობრიობის განვითარებაზე გეოგრაფიული მეცნიერების გავლენის შესაძლებლობას ზრდის. გეოგრაფების პროფესიული საქმიანობის ფორმები სხვადასხვა გეოგრაფიული დისციპლინით არის წარმოდგენილი და დაახლოებით 90-მდეა. ის მოიცავს: სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, გეოგრაფიული განათლების განვითარებას უნივერსიტეტებსა და სასწავლო





**გეოგრაფია ერთადერთი ფუნდამენტური მეცნიერებაა, რომელიც ერთდროულად სწავლობს საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთხეობრივ ურთიერთქმედების პრობლემებს.**

დაწესებულებებში, გეოინფორმაციულ საქმიანობას, სასკოლო გეოგრაფიის სწავლებას, გეოგრაფიულ განათლებასა და გეოგრაფიული ცოდნის მნიშვნელობის პოპულარიზაციას, გეოგრაფების საქმიანობას სამთავრობო სტრუქტურებსა და კერძო სექტორში სხვადასხვა მიმართულებით.

გეოგრაფიის განვითარების პერსპექტივები XXI საუკუნის პირველ ათწლეულებში მკაფიოდ გამოიკვეთა. გეოგრაფიის ახალი ამპლუა გარემომცველი სამყაროს შესახებ შემდგომ ცოდნასა და, კაცობრიობის ინტერესებიდან გამომდინარე, მის მიზანმიმართულ ტრანსფორმაციას, კერძოდ კი რეალურ ცხოვრებაში მისი გამოყენებითი მნიშვნელობის კიდევ უფრო გააქტიურებას გულისხმობს. ასევე აუცილებელია გეოგრაფიაში ინტეგრაციის პროცესების განვითარება, იმ დარგებისა და მიმართულებების სრულყოფა, რომლებიც ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლას აერთიანებს.

ტექნოლოგიების საუკუნეში ძალიან სწრაფად ვითარდება „საინფორმაციო“ გეოგრაფიაც. მრავალფეროვანი ინფორმაციის სწრაფად შეკრების შესაძლებლობები ელექტრონული რუკების სახითაა რეალიზებული. ინტერაქციული ელექტრონული რუკები გვაწვდიან ინფორმაციას ატმოსფერული დაბინძურების, მდინარეებში, ტბებსა და ზღვებში წყლის დონის, ტყეების ჩეხვისა და გაშენების, დანაშაულის მაჩვენებლების, პოლიტიკური დაძაბულობის, ვალუტის კურსების, საბაზრო ფასების, რეალურ დროში მიმდინარე ცვლილებების შესახებ.

აქტუალური იქნება გეოგრაფიის როლი ბუნებრივი, ტექნოგენური, ანთროპოგენური, კოსმოსური წარმოშობის კატასტროფების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და ფინანსური ინვესტიციების მიმდინარე რისკების შეფასებისა და პროგნოზირების დროს. გეოგრაფია როგორც ადამიანისა და ბუნების ურთიერთხეობრივ ურთიერთქმედების პროცესების მართვისა

და საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ინსტრუმენტი სწრაფი პროცესების გეოგრაფიად გარდაიქმნება.

გეოგრაფიამ უნდა იპოვოს თავისი ნიშა ამ გრანდიოზული ცვლილებების ეპოქაში და საპატიო ადგილი დაიკავოს როგორც თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში, ისე მეცნიერებათა სისტემაში. მომავალში გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემა უფრო მოქნილი უნდა გახდეს, ხოლო მისი ცალკეული ნაწილები, სავარაუდოდ, ერთმანეთს „გადაფარავს“ და კიდევ უფრო მეტ გადაკვეთის წერტილს დავიანახავთ. შედეგად გაჩნდება სრულიად ახალი „ინტეგრაციის არეალები“, რასაც გეოგრაფიული და მასთან დაკავშირებული მეცნიერებების შერწყმა გამოიწვევს.



# ბედნიერი ბავშვობის უბედურებები

10 უცნაური შეცდომა, რომლებსაც მშობლები უნებლიეთ ვუშვებთ



გურამ მეგრელიშვილი

ჩემი უფროსი შვილი მალე თინეიჯერი გახდება. გარდატეხის ასაკი, რომელიც ყველა ადამიანმა უნდა გაიაროს და სასურველია, გაიაროს სწორ დროს, მალე თავს იჩენს. ამისთვის შინაგანად ვემზადები და თავსაც შემოვუძახებ ხოლმე: აბა, მზად ხარ, შვილის გვერდით იდგე თუ შენც გჭირდება გაზრდა იმისთვის, რომ ამ მომენტს სწორად შეხვდე?

ბოლო თვეებია, კიდევ უფრო მეტს ვფიქრობ ბავშვებზე. წიგნის „როგორ ველაპარაკოთ შვილებს“ გამოცემის შემდეგ თითქოს პასუხისმგებლობა გამიორმაგდა. უცნაურია, მაგრამ საკუთარი შეცდომები კიდევ უფრო ცხადად დავინახე. რაღაცას აღარაფერი ეშველება. როგორც ყველა სხვა მშობელი, მეც საკუთარი შვილების ცნობიერად ან არაცნობიერად მატრავმირებლად დავრჩები. რაღაცის გამოსწორება კიდევ შესაძლებელია, სხვა რამეს იქნებ თავიც ავარიდო.

იქნებ ჩემი გამოცდილება, დაკვირვება ვინმესთვის სასარგებლო აღმოჩნდეს და გაიზიაროს კიდევ.

თანამედროვე კვლევებს ფსიქოლოგიასა თუ პედაგოგიკაში თვალს ვადევნებ ხოლმე. ამასწინათ ერთ საინტერესო სტატიას წავაწყდი, რომელშიც დამუშავებული იყო ფსიქოლოგთა ჯგუფის მიერ ნაკვლევი ასამდე ცდისპირის გამოკითხვის ფორმულარები. ისინი დეპრესიას მკურნალობდნენ და სწორედ ამ მიმართულებით ჩატარდა კვლევა.

როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა დიდ ნაწილს ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა. მათ არ გადაუტანიათ რაიმე სერიოზული ტრავმა, გაიზარდნენ მეტ-ნაკლებად კომფორტულ გარემოში. რა არის მათი სულიერი მდგომარეობის სიმძიმის მიზეზი?

ხშირად ვფიქრობთ ხოლმე, რომ შვილების მიმართ გულგრილობაა ის მთავარი ტრავმა, რომელსაც მომავალი თაობა „კლდის პირას“ მიჰყავს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხანდახან პრობლემა ისეთ ყუთში იმალება, სადაც ყველაზე უკეთ დაცული გვეგონია საკუთარი თავი.

როდესაც წიგნს „როგორ ველაპარაკოთ შვილებს“ ვწერდი, უკვე მეფიქრებოდა სულ სხვა, ჩვენი და კიდევ ბევრი სოციუმისთვის საჭირობო საკითხზე, რომელსაც მშობლისა და შვილის ურთიერთობის პრობლემებთან მივყავართ. მაგრამ გამომხაურებამ, შეხვედრებმა და წერილებმა, რომლებსაც აუდიტორიისგან ვიღებდი, ამ ახალი ტექსტის დაწერის აუცილებლობაში დამარწმუნა.

მშობლები ხშირად გამოთქვამენ წუხილს ჩემთან საუბრისას და ეს წუხილი მეც მაქვს. სად ვუშვებთ შეცდომას აღზრდისას, როდესაც თითქოს „არაფერს ვაკლებთ“ ოჯახის უმცროს წევრებს, ისინი კი იზრდებიან და ხშირად დეპრესიული ფონი უვითარდებათ?

მოზარდებში გახშირებულმა სუიციდის ფაქტებმა ეს პრობლემა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა.

**მშობლებს შვილებისთვის უსიამოვნებების არიდება საკუთარ მოვალეობად მიგვაჩნია, არადა, უსიამოვნებაც ხომ ისეთივე ნაწილია ცხოვრებისა, როგორიც სიამოვნება.**

ამ საკითხზე თანამედროვე მსოფლიო აქტიურად ფიქრობს. ფიქრობენ ფსიქოლოგები, პედაგოგები, ექიმები – რატომ იმატებს დეპრესიისა და თვითმკვლელობების რიცხვი ისეთ ოჯახებშიც კი, სადაც თითქოს „არავის არაფერი აკლია“?


ხშირად ვკითხულობ უახლეს კვლევებს, რჩევებს, რეკომენდაციებს. ვიზრებ მათ კლასიკური ფსიქოლოგიის პრიზმაში. ვადარებ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ მაგალითებს და შესაძლოა, ერთგვარი სურათის დახატვაც შევძლო, რაც, ცხადია, მთის წვერის ცალი მხრიდან დანახვის მცდელობა იქნება, მაგრამ მაინც.

რატომ არიან ჩვენი ნალოლიაგები შვილები უბედურები?

რას აკეთებს მშობელი, როდესაც ბავშვი მიწაზე ეცემა?

ამ კითხვაზე პასუხი იქიდან უნდა დავიწყოთ, რომ ჩვენ მანამდე ვწუხვართ, სანამ პატარა წაიფორხილებს. მშობლებს არ გვსურს (რაც ლოგიკურია), შვილმა ხანდახან უსიამოვნებაც ნახოს ცხოვრებაში და ამისთვის ვებრძვით ყველა არსებულ თუ შესაძლო განსაცდელს.

ის უნარ-ჩვევები, რომლებიც პატარ-პატარა პრობლემების გადაჭრისას გამოუმუშავდება მოზარდს, ზრდასრულობაში დიდ უსიამოვნებებთან გამკლავებაში ეხმარება.



არადა, წარმოიდგინეთ, რომ გაუვალ ჯაგნარში, რომელსაც დასასრული არ აქვს, მიგვყავს შვილები. წლები გადის, ჩვენ კი მივდივართ, მივდივართ, მივდივართ. ვცდილობთ, ვბა იმგვარად გავკაფოთ, რომ ჯერ პატარა, მერე კი უკვე ზრდასრული ჩვენი შვილები ეკლებმა არ დაკაწროს. დრო მიდის, ისინი არხეინად მოგვყვებიან უკან და უცებ ჩვენ სადღაც ვქრებით, ისინი კი შუაგულ ტყეში, გაუვალ ეკალ-ბარდებში თავიანთ შვილებთან ერთად რჩებიან...

მშობლებს შვილებისთვის უსიამოვნებების არიდება საკუთარ მოვალეობად მიგვაჩნია, არადა, უსიამოვნებაც ხომ ისეთივე ნაწილია ცხოვრებისა, როგორც სიამოვნება. ის უნარ-ჩვევები, რომლებიც პატარ-პატარა პრობლემების გადაჭრისას გამოუმუშავდება მოზარდს, ზრდასრულობაში დიდ უსიამოვნებებთან გამკლავებაში ეხმარება. ვისაც ჩაქუჩით ლურსმნის დაჭედებას არ ვასწავლით, სახლს თავისით ვერასოდეს ააშენებთ. ამიტომ ასაკისთვის შესაფერისი პრობლემების წინაშე შვილების მართლ დატოვება ლოგიკური და აუცილებელიც კია.

ცნობილი ამერიკელი ფსიქიატრი პოლ ბონი ასეთ საინტერესო რამეს ამბობს: „მშობელი ცდილობს, შვილი დისკომფორტს აარიდოს და ამ დროს ხელიდან აცლის მას სიამოვნების ჰორმონებს, სიამოვნებისა, რომელსაც ორგანიზმი პრობლემის გადაჭრისას განიცდის!“

დიახ, ჩვენი ჰიპერმზრუნველობით, ხელის ჩაჭიდებითა და შიშით, რომ „ეს თაობა“ დაუზმარებლად ვერ გადარჩება, ბავშვებს რაღაც მნიშვნელოვანს ვაცლით ფეხქვეშ და ერთ დღესაც ისინი მტკივნეულად ეცემიან.

მაშ ასე, რომელია ათი ყველაზე გავრცელებული შეცდომა, რასაც მშობელი უშვებს? საკუთარი გამოცდილებით და მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული შემთხვევების შეჯამებით დავწეროთ:

## შეცდომა N1 – ჩემი შვილი ჩემი ღმერთია!

ვის არ უყვარს, როცა უყვართ? მეტიც: ერთი ჩემი მეგობარი მღვდლის, გიორგი წეროძისა არ იყოს, ხანდახან ადამიანისთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, უყვარდეთ, ვიდრე თავად უყვარდეს, რათა ფიზიკურად გადარჩეს.

შვილებს ჩვენი სიყვარული წყალივით სჭირდებათ, მაგრამ როგორც კი მათ ვაკერაბებთ, მათ სულში ჭია იწყებს ძრომიას და რაღაც ყროლდება. ეს პატარა საყვარელი ადამიანები თავს სამყაროს ცენტრად წარმოიდგენენ და, როგორც ყველა კერპს სჩვევია, ზრდასრულობაშიც ითხოვენ თავყვანისცემას – მეუღლისგან, თანამშრომლისგან, შვილებისგან, უცხოებისგანაც კი. კაცობრიობა კი ასე არ არის მოწყობილი. აბა, დაფიქრდით, რამდენ თქვენგანს უხარია, როდესაც ვიღაც უცხო ადამიანი უპირობო თავყვანისცემას ითხოვს? რას პასუხობთ? სწორედ ამ პასუხს მიიღებენ ჩვენი შვილებიც, რადგან დასაწყისში ისინი დავაზიანეთ.

## შეცდომა N2 – ჩემი შვილი უნაკლოა

ჩემი სამასწავლებლო გამოცდილებიდან ვიცი, რომ მშობლებს შვილები ხშირად უნაკლებად წარმოუდგენიათ.

უნაკლო ადამიანები არ არსებობენ – ეს აქსიომაა. არც ისეთი ნაკლი არსებობს, რომელიც გამოსწორებას არ ექვემდებარება, მაგრამ როგორც ნაკლოვანებებზე ჩაცვივლა და ამით თვითგვემა იწვევს ბავშვის შინაგან ნგრევას (ხშირად ეს შედეგია ჩვენი, მშობლების, არაცნობიერი პრობლემების სხვაში მოგვარების მცდელობისა, რასაც ფროიდი გადატანას უწოდებს), ასევე რეალურ პრობლემებზე თვალის დახუჭვას მძიმე შედეგებამდე მივყავართ.

მე ვიცნობ ბავშვებს, რომლებსაც აშკარა პრობლემა აქვთ – სხვა ბავშვებს აბუღინებენ. მშობლები ამ პრობლემას ვერ ხედავენ, უარყოფენ და მძიმედ განიცდიან საგანმანათლებლო დაწესებულებისა თუ დაბუღინებული ბავშვების მშობლებისგან მიწოდებულ ინფორმაციას.

ვიცი ასეთი შემთხვევა – ბავშვი დანას ატარებდა და სკოლამ საქმის კურსში ჩააყენა მშობელი, რომელმაც კატეგორიულად უარყო მსგავსი ფაქ-



**ხშირად მშობელი არაცნობიერად ცდილობს, შვილისგან აღიარება მოიპოვოს და ამისთვის მასთან „თანასწორი“ ურთიერთობის ფიქციას მიმართავს, რითაც უარს ამბობს თავისი ბუნებრივი ფუნქციის შესრულებაზე.**

ტის არსებობა და პრობლემის ცივილიზებულად გადაჭრის ნაცვლად შვილს სკოლა შეუცვალა.

მეორე ამბავი მოზარდებში ადრეული დეპრესიის ნიშნებია, რასაც მშობელი პრობლემად კი არა, სასირცხვილო ამბად მიიჩნევს და უარყოფს, რაც მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს.

**შეცდომა N3 – ჩემი შვილის საუკეთესო მეგობარი მე ვარ!**

ხშირად მშობელი არაცნობიერად ცდილობს, შვილისგან აღიარება მოიპოვოს და ამისთვის მასთან „თანასწორი“ ურთიერთობის ფიქციას მიმართავს, რითაც უარს ამბობს თავისი ბუნებრივი ფუნქციის შესრულებაზე. არადა, მშობელი მაინც მშობელია. პატივისცემა, გულახდილობა და პრობლემების დროს გვერდით დგომა ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენ შვილების საუკეთესო მეგობრები ვერ გავხდებით და არც უნდა ვიყოთ. რატომ? – ეს ძალადობის ერთგვარი ფორმაა. ასე გვსურს, ისინი მუდმივად საკუთარ ორბიტაზე გვყავდნენ და ვაკონტროლოთ. ამას შვილები ხვდებიან და არაცნობიერი პროტესტის განცდა უჩნდებათ, კარგავენ ჩვენდამი პატივისცემას და როცა „ნამდვილ საუკეთესო მეგობარს“ პოულობენ, სრულიად გვემორდებიან.

მეგობრობა არჩევანის ნაწილია, პიროვნული გადაწყვეტილებაა და ვალდებულებასთან კავშირი არ აქვს. მშობელი და შვილი შეიძლება ძალიან კარგი მეგობრებიც იყვნენ, მაგრამ როლური ურთიერთობა ასევე მნიშვნელოვანია. მამისა და დედის ხატი მთელი ცხოვრება თან დაჰყვება ადამიანს და მის ბევრ გადაწყვეტილებაზე ახდენს გავლენას. თუ მშობელი შვილის პიროვნებას თრგუნავს, რა ილეთებიც არ უნდა გამოიყენოს, მისი მცდელობა, გახდეს შვილის საუკეთესო მეგობარი, წარუმატებლობისთვისაა განწირული. ჩვენსა და შვილებს შორის, სულ მცირე, თაობა დგას, თაობათა შორის ღირებულებითი სხვაობა თავისას შვრება. ის, რაც ჩემი შვილისა და მისი გარემოცვისთვის სასააცილოა, მე აღარ მაცინებს და რაზეც მე მეღიშება, მათთვის გაუგებარია. როგორც არ უნდა ვეცადო, ცხვრის ტყავი გადავიცვა, ცხვარი ვერ გავხდები და სიმართლე სადღაც გამოაშკარავდება.

იყავით შვილის მეგობარიც, მაგრამ საუკეთესო მეგობარი თუ თქვენ ხართ, იცოდეთ, რომ სადღაც შეცდომა დაუშვით.

**შეცდომა N4 – რასაც მე ვერ მივაღწიე, ის იზამს**

ერთხელ ერთ ნაცნობს, ყოფილ მოჭიდავეს, ვკითხე: როგორ მოიქცევი, შენმა ერთადერთმა ვაჟმა ჭიდაობას თავი რომ დაანებოს და ბალერონობა გადაწყვიტოს-მეთქი? ჯერ დაიბნა, გაუკვირდა კიდევ, რადგან არასოდეს დაუშვია მსგავსი ფიქრი, ჩემმა კითხვამ კი აამღვრია და ცხოვრება გაუშწარა, შუბლი დაელარა და ბევრი გინება ამოუშვა პირიდან საკუთარი შვილის მიმართ.

შვილს კი სრულიად სხვა ინტერესები ჰქონდა. მაგრამ მამას, ვერშემდგარ მოჭიდავეს, შვილის მიღწევებით სურდა იმის კომპენსაცია, რაც თავად არ გამოუვიდა.

ეს ამბავი სევდიანად, თუმცა კლასიკურად დასრულდა: ბევრი იჭიდავა, ბევრი სცადა შვილმა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ახლა ერთი დაბნეული ახალგაზრდა კაცია, რომელიც 32 წლისა ცხოვრების თავიდან დაწყებას ცდილობს. ძალიან კი უჭირს.

მშობლებს ძალიან გვიჭირს იმის განსაზღვრა, სად ვმთავრდებით ჩვენ და სად იწყება ჩვენი შვილი. ჩვენი ვერრეალიზებული და გაზრდილი ეგოს სხვა ადამიანით რეალიზება შეუძლებელია და შედეგი რომც მოიტანოს (ასეთებიც ხდება – გავისხენოთ ბეთჰოვენის მაგალითი), კაცმა არ იცის, რა ჯობია პიროვნებისთვის: იყოს ბედნიერი თუ ვიღაცის სურვილების ასრულებას შეეწიროს.

მშობლის მოვალეობა უფრო მეტად შვილის ნებისმიერი არჩევანის შემთხვევაში მის გვერდით დგომა მგონია. რასაც მე ვერ მივაღწიე, სხვა მიაღწევს, მაგრამ ეს სხვა შეიძლება ჩემი შვილი არ იყოს.

**შეცდომა N5 – ვერაჟინ უნდა გავლობო!**

სადაც კი მისწავლებია, ყველგან მოსულა ერთი მშობელი მაინც, შემინებული, განწირული ადამიანის თვალებით და უკითხავს: რას შვრება ჩემი შვილი? პასუხი ღიდად არც აინტერესებთ, რადგან კითხვის განმარტება ტურის კუთხვზე ადგათ და ამატებენ ხოლმე: ისეთი მორცხვია, ყველა თავზე გადასდის და ჯაბნის. არ მინდა, უკანასკნელი იყოს კლასში.

„არ მინდა, უკანასკნელი იყოს!“ – ამ სიტყვების მიღმა ბევრი მშობელი სინამდვილეში იმას გულისხმობს, რომ სურს, მისი შვილი ყოველთვის და ყველგან იყოს პირველი, რაც ყველას ხასიათის ნაწილი არ არის. ზოგი ბუნებრივად ცდილობს, ჩრდილში დარჩეს და ასე დაიმკვიდროს თავისი ადგილი მზისქვეშეთში.

### შეცდომა N6 – გამოიცვალე ასაკი, სამოსივით!

მასსოვს, ბავშვობაში ძილის წინ ოცნება მიყვარდა. უშუქობაში, რომელიც მაშინდელ თბილისს არ უკვირდა, ძლივს ჩამთბარ ლოგინში, თავზე საბანგადაფარებული რაღაცებზე ვოცნებობდი. ეს იყო სრულიად ბავშვური და სასაცილო ოცნებები, რომლებსაც კეთილი სიზმრები მოჰქონდა. ტყეში ხეტიალი, თანატოლებთან ერთად გართობა – უფროსების გადმოსახედიდან, უაზროც კი – ჩემთვის ახალი დღის სიხარულით გათენების საწინდარი იყო.

ჩემს მოსწავლეებს რომ ვეკითხები, რით ერთობიან, პასუხი გულს მიკლავს, რადგან მათ ხშირად არც კი აქვთ საამისო დრო, ან მათი ერთადერთი გასართობი „გაჯეტია“, რომელსაც მაშინვე მოიგდება ხოლმე ხელში, როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავენ. ვინ წაართვა ბავშვს თავისუფალი დრო? მშობელმა, ვისაც კარგის მეტი ალბათ არაფერი სურს შვილისთვის. როგორ? ისე, როგორც თავად წარმოუდგენია: ცეკვა, ხატვა, უცხო ენები... სპორტიც ხომ უნდა ბავშვს? ტყეში სეირნობის ნაცვლად – რეპეტიტორიდან რეპეტიტორის კარზე ხეტიალი, შაბათ-კვირას – საკვირაო სკოლა... მერე თვითონ სკოლაც რამდენ დავალებას იძლევა? ბავშვს ამოსუნთქვის საშუალება არ აქვს, ვერ ერთობა, ვერ თამაშობს, როცა სწორედ თამაშში უნდა გაიზარდოს და განვითარდეს როგორც ინდივიდი. ლომიც კი უტოვებს ბოცერს თამაშისა და გაართობის საშუალებას, რადგან იცის, რომ ასე სწავლობს პატარა ცხოვრებას, ასე ემზადება დაუნდობელ გარემოსთან პირისპირ დასარჩენად და ასე შეიძლება გამოიწერთოს ნამდვილი მონადირე.

ბავშვობა ჩვენი ცხოვრების ის მონაკვეთია, რომელიც აღარასოდეს განმეორდება. თუ პატარაობაშიც ისე ვაცხოვრებთ შვილს, როგორც დიდს, მას მალე მოგებრდება ყველაფერი, რადგან ორჯერ მოუწევს იმ გზის გავლა, რომელიც ერთხელ უნდა

გაიაროს ადამიანმა. ორჯერ შუახანი, ორჯერ სიბერე, თუნდაც ორჯერ ახალგაზრდული მსუბუქი ტვირთი – როგორი გადასატანია? იქნებ ამიტომ ილღება ადამიანი მალე და ეკარგება ცხოვრების ინტერესი?

რაც გავიზარდე, ვაკვირდები თავს და აღარ ვოცნებობ. ის დრო კეთილ მოგონებად დამრჩა. მადლობის მეტი რა მეთქმის ჩემი მშობლებისთვის – ყოველთვის მიტოვებდნენ თამაშის დროს და ეს წლები ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი მგონია.

### შეცდომა N7 – „რა შევუკვეთე და რა ჩამოვივიდა“

მშობლების ნაწილი შვილის ჩასახვის დღიდან გეგმავს მის მომავალს. წარმოუდგენია მისი თვალის ფერიც, ხასიათიც და პროფესიაც კი და მოულოდნელად აღმოჩნდება ხოლმე, რომ „ჩვენი სისხლი და ხორცი“, ჩვენი ნაწილი სულ სხვანაირია. სხვანაირი გარეგნობით თუ სურვილებით, ჩვევებით და წესებით. მაგრამ ჩვენ ხომ ასე არ დაგვიგეგმავს, სხვანაირად წარმოგვედგინა და სხვანაირად გვინდოდა, რადგან არაცნობიერად საკუთარი ეგოსთვის მოედანს ვამზადებდით შვილების სახით.

თუ პიროვნების უნიკალურობას ვადასტურებთ, პატივიც უნდა ვცეთ ამას. თუ ვფიქრობთ, რომ საკუთარი ასლი გვჭირდება, რომელიც ისეთი იქნება, როგორც ჩვენ ვერ გავხდით, გვახსოვდეს, რომ, ცხოვრების კანონების მიხედვით, ყველაფერი თავდაყირა დადგება.

### შეცდომა N8 – დამიჯარე, შვილო!

როგორც ბევრი სხვა მშობელი, მეც ვუშვებ ამ შეცდომას – შვილს ვეუბნები ერთს და ვაკეთებ მეორეს.

ამას, ცხადია, ვერ ვამჩნევ, მაგრამ ბავშვებს არაფერი გამოუპარებათ, რადგან ჩვენ გვერდით იზრდებიან და ყველაფერს ლუპით აკვირდებიან. რამდენიც უნდა შეგაგონო შვილს, ერთი საპირისპირო მოქმედება ყველაფერს წყალში ჩაყრის და შეიძლება უარესიც მოხდეს, რადგან ბავშვი თავს მოტყუებულად ჩათვლის და ეცდება, სწორედ ის გააკეთოს, რასაც მთელი ცხოვრება უკრძალავდნენ.

**თუ პიროვნების უნიკალურობას ვადასტურებთ, პატივიც უნდა ვცეთ ამას. თუ ვფიქრობთ, რომ საკუთარი ასლი გვჭირდება, რომელიც ისეთი იქნება, როგორც ჩვენ ვერ გავხდით, გვახსოვდეს, რომ, ცხოვრების კანონების მიხედვით, ყველაფერი თავდაყირა დადგება.**

**შვილების  
შეცდომებისთვის  
თვალის გასწორება  
ძნელია. ძნელია ამ  
დროს თავის ხელში  
აყვანაც. მაგრამ,  
ისევ ლიტერატურის  
კანონებს და ერთ  
ჩინურ ანდაზას თუ  
მოვიხმობთ, უნდა  
ვიცოდეთ, რომ რაც  
უფრო დიდია მარცხი,  
მით მეტად გვმართებს  
ძვირფასი ღვინის  
გახსნა, რადგან  
სადღაც იქვე დიდი  
წარმატება მომდგარა  
კარს.**

**შეცდომა N9 –  
მეზვერისა და ფარისევლის იგავი**

ჩვენ არ ვიცით, რას უშაადებს ცხოვრება ჩვენს შვილებს, რა შეცდომას დაუშვებენ და როგორ წარიმართება მათი ბედი. პროგრამა, რომელსაც მშობელი დებს საკუთარ შვილში, ხანდახან ისეთი ძლიერია, რომ ბევრ რამეს განსაზღვრავს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სწორი კოდების მოფიქრება ან კოდებზე საერთოდ უარის თქმა.

როდესაც შვილის თანდასწრებით სხვა მოზარდს ან მის მშობელს განვსვით, სწორედ ასეთი კოდები იწერება ბავშვის არაცნობიერში. კრიტიკულ ვითარებაში, იმავე შეცდომის დაშვების მომენტში (და ამისგან არავინაა დაზღვეული) ჩვენი შვილი ასეთი პროგრამირების წყალობით შესაძლოა უფსკრულის პირას აღმოჩნდეს, უკანასკნელი დასაყრდენის იმედი აღარ დარჩეს და უბედურებაც მოხდეს.

პრაქტიკაში (გმართავ წერიტი თერაპიის ჯგუფს) მქონია შემთხვევა, როდესაც მონაწილემ სუიციდური ფიქრების შესახებ ილაპარაკა, რომლებიც თინეიჯერობისას ჰქონდა. მიზეზი ბანალური, მაგრამ მისთვის ძალიან მტკიცენი იყო. თინეიჯერობისას ნაადრევი სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა შეყვარებულთან, რომელსაც მიზეზთა გამო დაშორდა. თვითმკვლელობაზე ფიქრი მას შემდეგ დაიწყო, რაც ფაქტი გააანალიზა და წარმოიდგინა, რას იტყოდა მამამისი, ეს რომ გაეგო. კაცი ხომ მთელი ცხოვრება „გარყვნილ“ გოგოებს და მათ მშობლებს ლანძღავდა. საბედნიეროდ, გოგონამ სიცოცხლეზე უარი არ თქვა, მაგრამ ტრავმებს დღემდე ებრძვის.

**შეცდომა N10 –  
ნაიპითხე პარსონაჟი სწორად!**

მზატვრული ნაწარმოების აგებისას ერთ-ერთი უმთავრესი რამ, რაც ავტორმა უნდა მოახერხოს, პროტაგონისტის სრულყოფილად დანახვაა. იმის გაგება, ვინ არის ის რეალურად, როგორი ხასიათი აქვს, როგორ მოქმედებს და რითია უნიკალური, საშუალებას გვაძლევს, დამაჯერებელი და საინტერესო ტიპაჟი შევქმნათ.

შვილებთან ურთიერთობისას ერთ-ერთი ფუნდამენტური შეცდომა მათი ამგვარად გააზრების უუნარობაა.

მშობელი თითქოს კარგად იცნობს – ან უნდა იცნობდეს – საკუთარ შვილს, მაგრამ ჰოი, საოცრებაც, მის წინაშე სრულიად უცნობი ადამიანია, რომელსაც იმ თვისებებს მიაწერს, რაც თავად წარმოუდგენია ან უნდა, რომ მას ჰქონდეს.

შვილის შემყურე, ბევრი მშობელი წუხს, რადგან „რაღაც ვერ არის რიგზე მის თავს“ და მოზარდს ასაკისთვის შეუფერებლად აფასებს, ავიწყდება, რომ 7-8 წლის ბავშვი სურვილების მოკლევადიან დაკმაყოფილებაზე ბუნებრივად ზრუნავს (წარმოიდგინეთ პატარა, კომუნალურ გადასახლებაზე ფიქრით ნაყინზე უარს რომ ამბობდეს). ეს ტრაგედია არ არის და თავს ტყუილად ნუ ატიკვიებთ.

დაბადებიდან მოყოლებული, კარგი იქნება, თუ დაწვრილებით შეისწავლით შვილის ჩვევებს, ხასიათს, მიდრეკილებებს და მათ გარდაქმნას კი არა, გამოყენებას ეცდებით. არ არსებობს ცუდი და კარგი თვისება – არსებობს თვისებები, რომლებიც ცუდად ან კარგად განვითარდა და ამაში მშობელს არცთუ უკანასკნელი წვლილი შეაქვს.

შვილების შეცდომებისთვის თვალის გასწორება ძნელია. ძნელია ამ დროს თავის ხელში აყვანაც. მაგრამ, ისევ ლიტერატურის კანონებს და ერთ ჩინურ ანდაზას თუ მოვიხმობთ, უნდა ვიცოდეთ, რომ რაც უფრო დიდია მარცხი, მით მეტად გვმართებს ძვირფასი ღვინის გახსნა, რადგან სადღაც იქვე დიდი წარმატება მომდგარა კარს.

ასეა ლიტერატურაშიც – მხოლოდ დიდი ქარტეხილების შემდეგ ხდება უზრალო პერსონაჟი დაუვიწყარი გმირი, რადგან თუ მის პრობლემებს სულ სხვა მოაგვარებს, ვილაზე დაწეროს მწერალმა?

ალბათ ღირს დახსომებად, რომ სანამ შვილის პრობლემის მოგვარებას შევუდგებოდეთ, თავს ვკითხოთ: შეძლებს ჩვენი შვილი მის დაძლევას? იქნებ ჯერ ადრეა ხისტად ჩარევა? იქნებ მხოლოდ გვერდით დგომა და გამხნევებაც საკმარისია, იქნებ ვაცადოთ, თავადვე გაძლიერდეს?

ხანდახან ხანმოკლე ტკივილი ხომ დიდი და ხანგრძლივი სიხარულის საწინდარია! აარიდებ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და შეიძლება ცხოვრება წაართვა ადამიანს.

ზღაპრებშიც ხომ ასეა!

